პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და ხაღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20 %-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სომხეთის ათი წლისთავი

შაბათი, 29 ნოემბერი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 280 (2928)

ՅԵՂԲԱՅՐԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՏԱՍՆԱՄՅԱԿԻ ՈՐԸ

ՋԵՐՄ ԲՈԼՇԵՎԻԿՅԱՆ ՎՈՂՋՈՒՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՎՐԱՍՏԱՆԻ ԲԱՆՎՈՐ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻՑ

ԼԵՆԻՆՅԱՆ ԱԶԳԱՅԻՆ ՔԱՂԱՔԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԱՆՇԵՂ ԿԻՐԱՌՄԱՄԲ ԱՐՄԱՏԱՀԱՆ ԱՆԵԼՈՎ ԱՆԻԾՎԱԾ ԱՆՑՅԱԼԻ՝ ՄԵՆՇԵՎԻԶՄԻ, ԴԱՇՆԱԿԻԶՄԻ ՅԵՎ ՄՈՒՍԱՎԱԹԻԶՄԻ ԱԶԳԱՅՆԱԿԱՆ ԹՈՒՅՆԻ ՎԵՐՋԻՆ ՄՆԱՑՈՐԴՆԵՐԸ, ԵՎ ԱՎԵԼԻ ԱՄՐԱՊՆԴԵՆՔ ԱՆԴՐԿՈՎԿԱՍՅԱՆ ՅԵՂԲԱՅՐԱԿԱՆ ԺՈՂՈՎՈՒՐԴՆԵՐԻ ՄԻՋԱԶԳԱՅԻՆ ՀԱՄԵՐԱՇԽՈՒԹՅՈՒՆԸ ՅԵՎ ԱՄԵՆ ԿԵՐՊ ՈՒԺԵՂԱՑՆԵՆՔ ԱՆԴՐԿՈՎԿԱՍՅԱՆ ՖԵԴԵՐԱՑԻԱՅԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ՅԵՎ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐՈՂՈՒԹՅՈՒՆԸ՝ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹՅԱՆ ԳԼԽԱՎՈՐ ԳԾԻ ՀԻՄԱՆ ՎՐԱ։

ԿԵՑՑԵ՜ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԸ, ԿԵՑՑԵ՜ ԱՆԴՐԿՈՎԿԱՍՅԱՆ ՅԵՎ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՖԵԴԵՐԱՑԻԱՆ,
ԿԵՑՑԵ՜ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՄԵԾ ՄԻՈՒԹՅՈՒՆԸ։

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მხურვალე ბოლშევიკური სალამი ძმურ საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკას

მისი არსებობისა და ბრძოლის ათი წლის თავზე

ლენინის ნაციონალური პოლიტიკის ურყევი გატარებით, შავბნელი წარსულის შოვინისტური შხამის—მენშევიზმის, დაშნაკიზმის და მუსავატიზმის უკანასკნელი ნაშთების ამოწყვით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ამიერ-კავკასიის ძმურ ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობა და მთელი ენერგიით გავამაგროთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე

გაუმარჯოს საბჭოთა ჰაისტანს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციას! გაუმარჯოს საბჭოთა დიდ კავშირს!

ძირს იმპერიალისტური ინტერვენტები და მათი აგენტები! გაუმარჯოს საბჭოთა საზღვრების მედგარ დარაჯს—ჩვენს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ჰაისტანს

დღეს ათი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი თანამოძმე რესპუბლიკის — სომხეთის მიწა-წყალზე — პირველად აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროშა. პროლეტარული ხელისუფლების დამკვიდრება საბჭოთა სომხეთში უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის მშრომელი მოსახლეობის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ჯერ დერჟიმორდული მეფის რუსეთის მიერ ფეხქვეშ გათელილი, შემდეგ დაშნაკური სატრაპების განუკითხავ მფლობელობაში მომწყვდეული, ეკონომიურად და კულტურულად გაჩანაგებული, ეროვნული შუღლისაგან დარბეულ - აოხრებული ქვეყანა, — აი რას წარმოადგენდა სომხეთი მაშინ, როცა იქ ძალაუფლება ხელთ იგდეს მუშებმა და გლეხებმა.

შეიძლება ითქვას, რომ დაშნაკიზმი, მენშევიზმი და მუსავატიზმი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „თავიანთი" ქვეყნების აწიოკებაში ოღონდ კი იმპერიალიზმის გული მოეგოთ და საკუთარი დანაშაულებრივი არსებობა გაეხანგრძლივებიათ.

დღეს უკვე ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაშნაკელების ფეხი აღიგავა სომხეთის მიწიდან. ათი წლის განმავლობაში ქვეყანა თითქმის არარაობიდან აღსდგა და სხვა თანამოძმე რესპუბლიკებთან ერთად ჩაება სოციალისტურ მშენებლობის საერთო ფერხულში. სომხეთის მშრომელ მასებს პირველად გაეხსნა ფართო გზა შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად. ამიერ - კავკასიის ფედერაცია, რომელშიაც გაერთიანდა სამი მოძმე რესპუბლიკა, ამიერკავკასიის ყველა ეროვნებათა შორის ნაციონალური სოლიდარობის უმტკიცეს გარანტიად გადაიქცა. განვლილი ათი წლის მანძილზე ამიერკავკასიაში არ გავარდნილა თოფი, არ დაღვრილა წვეთი სისხლი ეროვნული შუღლის ნიადაგზე. ეს არის კომუნისტური პარტიის უდიდესი მიღწევა. საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება, რომელთაც ამიერ - კავკასიის ყველა ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამართლება.

თავისთავად ცხადია, რომ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარება კიდევ არ ნიშნავდა მენშევიზმის, მუსავატიზმისა და დაშნაკიზმის საბოლოო დამარცხებას. ნორჩ საბჭოთა ხელისუფლებას, გარშემორტყმულს მოსისხლე მტრებით, უდიდესი ბრძოლის ჩატარება შეუხვდა იმისათვის, რომ გაეტეხა ეროვნული გესლის მთესველთა, იმპერიალისტური ინტერვენციის აგენტთა— მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების გავლენა. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას უდიდესი მუშაობის ჩატარება შეუხვდა იმისათვის, რომ აღმოეფხვრა სომეხ-თურქთა, თურქ-ქართველთა და ქართველ-სომეხთა ომებისა და ხოცვა-ჟლეტის უმტკივნეულესი შედეგები. ამიტომ, გასაკვირი არაა, თუ როგორი კბილების ღრჭენით შეხვდა ბნელეთის ყველა მოციქული ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციის დაარსებას. ასეთმა განწყობილებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სამივე ძირითად რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიებშიაც კი, სადაც თავი იჩინა ნაციონალურ-უკლონისტურმა მიმდინარეობებმა. საჭირო იყო გაბედული, ბოლშევიკური ბრძოლა, რომ კომუნისტურ პარტიას დაემსხვრია ჩვენი მტრები და მათი აგენტების მთელი ეს წინააღმდეგობა და ამიერ - კავკასიის ფედერაციისათვის მტკიცე საძირკველი ჩაეყარა. ეს ამოცანა კომუნისტურმა პარტიამ სასახელოდ გადასჭრა. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ განვლილი 9 წლის მანძილზე სრული გამართლება ჰპოვა. მორიგი ამოცანაა განვამაგროთ მისი ეკონომიური ბაზა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ის და მით შევასრულოთ საკ. კომპ. (ბ) ცეკას წარსული წლის ნოემბრის დირექტივა.

ჩვენ უთუოდ გვაქვს ამის სრული შესაძლებლობა. საბჭოთა სომხეთს, ისე როგორც ამიერ - კავკასიის სხვა რესპუბლიკებს, უდიდესი მიღწევები აქვს მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში. ძნელია ძველი სომხეთის ცნობა იმ გმირული მუშაობის შემდეგ, რომელსაც ათი წლის განმავლობაში აწარმოებს განთავისუფლებული სომეხი მუშა და გლეხი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელექტრო - მშენებლობა. სომხეთი იფინება მძლავრი ჰიდროელსადგურებით (ძორაჰესი, ქანაქერჰესი, ახლო მომავალში სოლაკის ჰიდროელსადგური, სევანის ტბის ენერგიის გამოყენება ახალი ჰიდროელსადგურების მშენებლობისათვის და სხვ.). ელექტროფიკაციას საბჭოთა სომხეთში საიმედო და მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ენერგეტიული ბაზის ასეთი სიმძლავრე მძიმე ინდუსტრიის განვითარების ფართო გასაქანს იძლევა. უკვე შენდება უდიდესი ქიმიური ქარხნები, განზრახულია მთელი რიგი ახალი ქიმიურ საქარხნო ერთეულის აგება. ფართო შესაძლებლობა იქმნება სამთო მრეწველობის განვითარებისათვის. აღარაფერს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ მსუბუქი მრეწველობის განვითარებაც მკვიდრ ნიადაგზე დგას. ეს ერთნაირად შეეხება საფეიქრო, ტყავის, ცხიმეულის და სხვ. სახის მრეწველობას.

დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა სომხეთს სოფლის მეურნეობის დარგშიც. გლეხური მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია სწრაფი ტემპებით ტარდება. სულ რაღაც ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სომხეთს შეემატა 250 ტრაქტორი. გლეხური მეურნეობის 10,4% გაერთიანებულია სოციალისტურ სექტორში. გაცხოველებული მუშობა მიმდინარეობს მაღალ და შრომის ტევად კულტურების ფართო განვითარებისათვის, რისთვისაც დიდი შესაძლებლობანი არსებობს სომხეთში.

ასეთია ის სომხეთი, რომელიც დაღუპვის კარამდე მიიყვანა მაუზერიზმის თავაწყვეტილ პარპაშმა და რომელსაც 1920 წლის ზაფხულზე შემდეგნაირათ ახასიათებდა ცნობილი დაშნაკი პუბლიცისტი ნ. აღამალიანი:

„სახელმწიფო სახალხოა (!), პარტია და პარლამენტიც სახალხოა (!), სახელმწიფო ხალხის დამცველია (ეს ყველაფერი დაშნაკურ სომხეთზეა ნათქვამი დაშნაკელი პუბლიცისტის მიერ. **რედ.**) გლეხის ხარი და ცხვარიკი ჩალის ფასად იყიდება რომ სოფელმა პური შეიძინოს. მომაკვდავი ბავში პურის გამოცხობას ველარ უცდის და საკუთარ თითს სწოვს. უნდა გამოჩნდეს, თუ არა მტკიცე ხელი, რომელიც ორმოებიდან ამოიღებს პურს და ბოსლებიდან გამოიყვანს პირუტყვს, რომ გაუნაწილოს ისინი გაჭირვებულს?"

აი, დაშნაკური სომხეთის სურათი, მოცემული თვით დაშნაკელის მიერ.

ეს ათი წლის წინად მიწაზე განართხმული სომხეთი, დღეს დანარჩენ მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, გამოსულია ფართო სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე, დაშნაკელების მიერ მრავალწამებულ სომხეთის მშრომელი ხალხი თავისი გამარჯვების უდიდეს ზეიმს იხდის დღეს.

ყველა ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა სწორი ბოლშევიკური პოლიტიკის გატარებით. ამიერ - კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს დიდი შინაპარტიული ბრძოლის გადატანა შეუხვდა სწორედ ეროვნულ საკითხში. დამახასიათებელია, რომ ყოველგვარი გადახრა პარტიულ ხაზისაგან ამიერ - კავკასიაში თავის გამოხატულებას პოულობდა და პოულობს ნაციონალურ უკლონიზმში. აქ, როგორც ფოკუსში, თავს იყრიდა ყველა ანტიპარტიული მიმდინარეობანი, დაწყებული მემარჯვენეებიდან და გათავებული კონტრ - რევოლიუციონური ტროცკიზმით და მისი ნაშთებით.

პარტია არავის მისცემს უფლებას ითამაშოს ამიერ - კავკასიის მშრომელი მასების სვე-ბედით. კომუნისტური პარტია როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც გასტეხს ყველა მათ, ვინც შეეცდება ძირი გამოუთხაროს ამიერ - კავკასიის მშრომელი მოსახლეობის ეროვნულ სოლიდარობას. ეს ერთხელ კიდევ უნდა ითქვას დღეს, საბჭოთა სომხეთის არსებობის და ბრძოლის ათი წლის თავზე, ვინაიდან საბჭოთა სომხეთის და მასთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების დღევანდელი ზეიმი პარტიის ლენინური ხაზის განუხრელად გატარების შედეგია.

სომხეთის მშრომელი მოსახლეობა კვლავ სწრაფი ნაბიჯით ივლის წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით, სომხეთის მუშები და გლეხები განაგრძობენ თავგანწირულ ბრძოლას ახალ დიდ მიღწევებისათვის იმ ღრმა რწმენით, რომ საქართველოს და აზერბეიჯანის მშრომელი მასები, საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან ერთად ამ გმირულ მუშაობაში მათთან არიან.

ჩვენი მხურვალე ძმური სალამი სომხეთის მშრომელთ!

გაუმარჯოს საბჭოთა ჰაისტანს!

სომხეთის ს.ს.რ. ათი წლის თავი

(1920 წ.—29 ნოემბერი—1930 წ.)

ჩვენი მოძმე სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, განუყრელი და დამოუკიდებელი ნაწილი ძლიერი ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკისა, რომელიც ერთ-ერთი რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში შემავალ შვიდი რესპუბლიკებიდან, თავისი არსებობის ათი წლის თავს დღესასწაულობს. წითელი და მშვენიერი ჰაისტანის ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით, მოახერხეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დიდი ოქტომბრის რევოლიუციიდან დაახლოვებით სამი წლის შემდეგ.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა მძიმე კვალი დასტოვეს სომხეთში: შიმშილი, სიღატაკე, ნაციონალური შუღლი და მორალურ-პოლიტიკური ჩაგვრა — აი რა მიიღო მემკვიდრეობით საბჭოთა ხელისუფლებამ დაშნაკელებისაგან — საერთაშორისო კაპიტალის და მტაცებლურ იმპერიალიზმის ლაქიებისაგან.

დიდმა ოქტომბერმა მიანიჭა სომხეთს თავისუფალი კულტურულ-სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების სრული საშუალება ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან და

სომხეთის ს.ს. რ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. კასიანი

ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ძმური თანამშრომლობით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბჭოთა სომხეთის ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ენტუზიაზმით მიჰყვეს ხელი მუშაობას და საძირკველი ჩაუყარეს სოციალისტურ მშენებლობას. აღდგენილია წარმოება, რომელიც ბევრ დარგში ომის წინად არსებულ დონეს გასცილდა. ხდება მთელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, წარმატებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ტეხნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე.

საგრძნობლად ამაღლდა ქალაქისა და სოფლის მასების კულტურულ-პოლიტიკური დონე. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა სომხეთი ა.-კ. სხვა რესპუბლიკებთან და მთელ საბჭოთა კავშირთან ძმური ერთობით და თანამშრომლობით უახლოეს მომავალში უფრო სწრაფი ნაბიჯით გასწევს წინ, სოციალიზმისაკენ. სიძნელეები დიდია, ბევრი ვიწრო ადგილია, მათ ბოლშევიკურად გადალახავენ ლენინური კომპარტია და სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის, ა.-კ. ს.ფ.ს.რ. და ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის მუშებისა და მშრომელი გლეხების საბჭოთა ხელისუფლება.

დღეს, სომხეთის ს.ს.რ. გასაბჭოების ათის წლის თავზე, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა, კერძოდ საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს ვუგზავნით საბჭოთა სომხეთის მუშებს და მშრომელ გლეხებს, რომლებიც ლენინური საკ. კომპარტიის (ბოლშევიკების) და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით წარმატებით სჭრიან დიადი სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხებს და მაქსიმალური ბოლშევიკური ტემპებით ანხორციელებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს.

გაუმარჯოს სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპულიკას თავისი არსებობის ათი წლის თავზე!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებელს, ხელმძღვანელ-მშენებელს და ბელადს კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტი შეტევის პერიოდში — ლენინურ საკავშირო კომპარტიას!

ძირს ჩვენი მეურნეობის და რევოლიუციის განვითარების ეხლანდელ ეტაპზე ყველაზე უფრო საშიში მემარჯვენე გადახრა და კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტები, მემარჯვენე-„მემარცხენეთა" ახალი სახის ოპოზიციის ბლოკი და მათთან შემარიგებლები!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების და სოციალისტური მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელს სომხეთში —სომხეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს ძმური კომპარტიების მუდამ შემჭიდროებულ მთლიანობას!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. განახლებულ საოლქო კომიტეტს — ამიერ-კავკასიის ფედერაციის უშუალო ხელმძღვანელს!

ძირს იმპერიალისტური ომები და ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ძირს მსოფლიო კაპიტალის ყაჩაღები — მტაცებელი იმპერიალისტები!

გაუმარჯოს რევოლიუციის დიდ ბელადს და შტაბს — ლენინურ კომინტერნს, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

წინ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ და მის ნიადაგზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისაკენ!

მიხა ცხაკაია.

სამი თარიღი

1920 29 ნოემბერს, მაშინ, როდესაც თბილისში, ფ. მახარაძის (ყოფ. პასკევიჩის) ქუჩაზე მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის არალეგალური ყრილობა, ტელეგრაფმა გვამცნო სასიხარულო ამბავი, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ.

ამ შთაბეჭდილებით ჩვენ მხნედ განვაგრძეთ ყრილობა და თვითეული მონაწილე დარწმუნებული იყო, რომ მუსავატების, რომლებიც განდევნილ იქნენ აზერბეიჯანის ტერიტორიიდან 1920 წლის 28 აპრილს, და დაშნაკების, რომელნიც განდევნილ იქნენ სომხეთის ტერიტორიიდან 1920

სომხეთის კომპ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ხანჯიანი

წლის 29 ნოემბერს, აუცილებლად უნდა მიჰყოლოდნენ მენშევიკებიც, ბურჟუაზიის ეს დაქირავებული აგენტები და საქართველოს მუშათა და მშრომელთა მოღალატენი.

მოხდა ესეც. 1921 წლის 11 თებერვალს „ნეიტრალურ ზონაში", რომელიც „ბალკანეთს" წარმოადგენდა დაშნაკებსა და მენშევიკებს შორის მოხდა აჯანყება, რომელიც მოაწყო საქართველოს და სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ (ბ).

წითელი მუშურ-გლეხური არმიის დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს მენშევიკური მთავრობაც დაემხო, საქართველო გადაიქცა საბჭოთა ქვეყნად, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების უმცროს დათ.

ეს სამი თარიღი: 1920 წლის 28 აპრილი და 29 ნოემბერი, აგრეთვე 1921 წლის 25 თებერვალი ისტორიული თარიღებია ამიერ-კავკასიის მუშათა კლასისა და მშრომელთათვის.

სამივე რესპუბლიკა — აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო, საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით პოლიტიკურად და ეკონომიურად ამაგრებს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

10 წლის მანძილზე სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის მუშათა კლასი და მშრომელნი სძლევენ ყველა სიძნელეს, ულმობლად ებრძვიან ანტი-საბჭოთა ელემენტებს, მათ შესძლეს აღედგინათ დაშნაკელებისაგან მემკვიდრეობით მიღებული გაღატაკებული მხარე და შეუდგენ დიად შემოქმედებითი მუშაობას, სომხეთის ს.ს. რესპუბლიკა, როგორც აღმოსავლეთის შესავალი კარი, მაგალითად უნდა გადაიქცეს მთელი აღმოსავლეთის მშრომელთათვის.

სალამი სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს და მუშა-ქალებს, მშრომელ გლეხებს და გლეხ.-ქალებს, კოლმეურნეებს და კოლმეურნე-ქალებს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს!

ვანო სტურუა.

სომხეთის ელექტროფიკაცია

სომხეთის ელექტროფიკაციის დასაწყისი ეკუთვნის 1920 წელს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღო ელექტრომშენებლობამ დიდი გასაქანი. ამ ზრდამ გამოხატულება ჰპოვა უკვე აგებულ და აგების პროცესში მყოფ ელექტრო-სადგურებში. თუ 1921 წელს იყო 7 ელსადგური 3.095.000 კილოვატ-საათის ენერგიის გამომუშავებით, 1927 წელს გვაქვს 23 სადგური 20.270.000 კილოვატსაათით. აქ შედის, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის ელექტრო სადგურები. სადგურების ძალოვნების ზრდა წარმოდგენას გვაძლევს ელექტრომშენებლობის ინტენსივობაზე.

რამდენადაც ელექტრომშენებლობის განვითარება უნდა წარმოადგენდეს ბაზას განვითარების პროცესში მყოფ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კომუნალურ საჭიროებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, განვიხილოთ ის დატვირთვა, რომელიც გათვალისწინებულია გეგმით. 1932-33 წელში მრეწველობაზე, ტრანსპორტზე, კომუნალურ საჭიროებაზე და სოფლის მეურნეობაზე გათვალისწინებულია 347,6 მილ. კილოვატსაათი, ხოლო 1933-34 წელს — 410 მილ. კილოვატსაათი.

ელექტროენერგიის უმთავრეს მომხმარებლად სომხეთში ითვლებიან ალავერდის (4060 კილ. საათი), და ზანგეზურის (2800 კილ. საათი) სპილენძის მაღაროები, არტიკ-ტუფი (32,0), ანი-პემზა (1650), ალავერდის, კარაკლისის და ერევნის ქიმიური კომბინატების (26,3 ათასი კილ. საათი), ერევნის, ლენინაკანის და კარაკლისის სამრეწველო საწარმოები და კომუნალური მეურნეობა (11 ათასი კილ. საათი), მექანიკური მორწყვა და ამოშრობა (11550 კილ. საათი) და სოფლის მეურნეობა (1500 კილ. საათი).

ელექტრო-ენერგიის ძირითად მომმარაგებელ ბაზებს 1930-31 წლამდე წარმოადგენენ ერევნის 4560 კილოვატის ძალოვნობით და ლენინაკანის 5280 კილოვატის ძალოვნებით.

1931 წლის ოქტომბერში ექსპლოატაციაში გაიშვება ძორაჰესის ჰიდრო-სადგური 14.800 კილოვატის ძალოვნებით. შემდგომი განვითარება ხასიათდება ასე: 1932 წლის 1 ოქტომბრიდან ამუშავდება კანაკირის ჰიდრო-სადგური 40.000 კილოვატის ძალოვნებით და დამატებით დაიდგმება 3 ტურბინა ძორაჰესში.

ჰიდრო-ცენტრალების (ძორაჰესის და კანაკირის) ადგილმდებარეობა, მათი ენერგეტიული შესაძლებლობანი და ცალკე რაიონების მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა ამავე დროს სვამენ ყველა სადგურების დაჯგუფების ამოცანას მათი გადამცემი ხაზების შეერთებით, რაც შესაძლებელს გახდის გამოასწოროს შეფერხებები ზოგიერთი სადგურების მუშაობაში.

გარდა ამისა არსებობს მთელი რიგი სადგურები ადგილობრივი და სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობისა, რომლებიც დამოუკიდებლად სამსახურს უწევენ პატარა რაიონებს.

ამგვარად, თუ შევადარებთ სომხეთის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ელექტრო ენერგიაში და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ინთარების პირობებში, საგრძნობი ხდება დეფიციტი ენერგიაში.

ამ გარემოებამ წამოაყენა ახალი წყაროების გამონახვის ამოცანა. წინასწარი გამოკვლევებით ასეთი წყაროებია კახსი-გიუმუშის სადგური მდ. ზანგზე კანაკირის სადგურს ზემოთ.

სომხეთის ელექტრომშენებლობის ზრდის შედეგები თვალსაჩინოა. 2630 კილოვატის ძალოვნება 1920 — გაიზრდება 125.240 კილოვატამდე 1933 წელს.

ხ.

მისალმებანი

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მიმართვა

საბჭოთა სომხეთის მუშების, გლეხებისა და ყველა მშრომელებისადმი

მოსკოვი, 27 ნოემბერი. ათი წლის წინად სომხეთის მშრომელმა მასამ დაამხო სომხეთის ბურჟუაზიის დამცველთა — დაშნაკთა ხელისუფლება და დაარსა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

1920 წლის 29 ნოემბრის ისტორიული თარიღით იწყება სომხის ხალხის ცხოვრებაში ახალი ფურცელი, ახალი ერა, როცა სომხეთის მუშებს და გლეხებს საშუალება მიეცათ თვითონვე შესდგომოდნენ თავიანთი ნაციონალური სახელმწიფოებრივი ერთეულის მოწყობასა და შენებას საკუთარი ნებისყოფის თავისუფლად გამოაშკარავების საფუძველზე საბჭოთა პირობებში.

როგორც მეფის მთავრობის უღელ ქვეშ, ისე დაშნაკთა „დამოუკიდებელი" სომხეთის ხანმოკლე არსებობის დროს ამ ქვეყნის ტერიტორია წარმოადგენდა ერთა შორის ბრძოლის ასპარეზს, წარმოადგენდა გაღრმავებული ეროვნული შუღლის ასპარეზს, რასაც თან სდევდა განუწყვეტელი ომი, მკვლელობა, ამიერ - კავკასიის ერების ხელოვნურად გადამტერება და ერთის მეორის წინააღმდეგ წაქეზება. სომხეთის მშრომელი მასების დაშნაკთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება განსაკუთრებული სიცხადით გვეუბნება, რომ ბურჟუაზიული წყო-

სომხეთის ს. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტერ-გაბრიელიანი

ბილების დროს შეუძლებელია ხალხთა შორის თანამშრომლობის მოგვარება, რომ ნაციონალური შუღლი, ნაციონალური ჩაგვრა და აწიოკება ერთნაირად ახასიათებს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, რა ფორმაშიაც არ უნდა გვევლინებოდეს იგი — რუსეთის თვითმპყრობელობის, თუ ადგილობრივი ნაციონალისტური პარტიის ბატონობის ფორმაში.

გავერანებული მინდვრები, დანგრეული სოფლები და დაშნაკთა მთავრობის დროს ნაციონალური მტრობის ცეცხლში დაღუპული მრავალი ათასი მუშისა და მშრომელი გლეხის სიცოცხლე, — ყოველივე ეს აშკარად ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია უძლურია, რომ მას არ გააჩნია უნარი დაამყაროს ერთა შორის მშვიდობიანობა.

მხოლოდ დაშნაკთა დამხობის შემდეგ სომხეთის მშრომელებმა, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, შემოიკრიბეს თავიანთ ირგვლივ მოსახლეობის უმრავლესობა, მოსპეს ნაციონალური ჩაგვრა და ამ მხრივ სავსებით დაემყარენ საბჭოთა კავშირის დაარსების დროს გამოცემულ დეკლარაციას, შექმნეს ურთიერთისადმი ნდობის პირობები და საფუძველი ჩაუყარეს ხალხთა ძმურ თანამშრომლობას.

მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარების საფუძველზე სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა ამ ათი წლის განმავლობაში არა თუ აღადგინეს იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს დანგრეული მეურნეობა, არამედ მათ რევოლიუციის წინადროინდელი ჩაგრული სომხეთი თავისი პრიმიტიული მეურნეობით გადააქციეს ისეთ ქვეყნად, სადაც შეუჩერებლივ იზრდება და ვითარდება საკუთარი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომელიც გადაყვანილ იქნა ახალ ტეხნიკურ ბაზაზე და დაადგა მექანიზაციის გზას, გადააქციეს ისეთ ქვეყნად, სადაც ფორმით ნაციონალურმა, ხოლო შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ თავისი განვითარების პროცესში მიაღწია ბრწყინვალე შედეგებს, სადაც განუწყვეტლივ უმჯობესდება მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა. აშენებულია მრავალი ათასი ახალი სკოლა, სადაც სომხეთის მშრომელთ საშუალება ეძლევათ მიიღონ დაწყებითი მომზადება სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. ნაციონალური ლიტერატურა და ნაციონალური ხელოვნება გაიფურჩქნა და განმტკიცდა სომხეთის მუშებისა და მშრომელი გლეხობის მასის თავისუფალი შემოქმედების პირობებში. მრავალი ათასი მშრომელი სომეხი უშუალოდ იღებს მონაწილეობას ქვეყნის მართვა - გამგეობაში საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საშუალებით.

საიუბილეო დღეს სომხეთის საბჭოთა სოც. რესპუბლიკას მოუსწრო უდიდესი სოციალისტური მშენებლობის პირობებში, როდესაც მისი მშრომელი მასები, საბჭოთა სოც. რესპუბლიკების მთელ კავშირთან ერთად, გადადიან იერიშზე სოფლად და ქალაქად დარჩენილი კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, აწარმოებენ გაშლილ სოციალისტურ შეტევას და მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ახდენენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ეს ისტორიული ამოცანები პირნათლად იქნება შესრულებული საბჭოთა სომხეთის მშრომელების მიერ და ლოზუნგი „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში" მათ მიერ განხორციელებული იქნება დაწესებულ ვადებზე.

საბჭოთა სომხეთმა უკვე გვიჩვენა სოციალისტური მშენებლობის საუცხოო ნიმუში, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს, საბჭოთა კავშირის მიჯნას იქით მცხოვრებ ხალხებს შეუძლიათ ისწავლონ, თუ როგორ უნდა აშენონ და განავითარონ თავიანთი ეკონომიკა და კულტურა.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ავალებს ა. კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთავრობას —მიიღოს ყოველი ზომა საბჭოთა სომხეთის როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მით უზრუნველჰყოს მისთვის იმის შესაძლებლობა, რომ დროზე დაამთავროს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის დიადი საქმე.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
კალინინი
მდივანი — ენუქიძე

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტისაგან

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს და მათ ხელმძღვანელ სომხეთის კომუნისტურ პარტიას სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებამ უზრუნველყო გადამჭრელი გარდატეხა საბჭოთა სომხეთის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში და მჭიდრო ძმური კავშირი ამ.-კავკასიის ფედერაციის ყველა ერებთან.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ სომხეთის მუშები და გლეხები მომავალშიაც წარმატებით იბრძოლებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მისი გენერალური ხაზის დროშის ქვეშ სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადასაწყვეტათ, ამ.-კავკ. ფედერაციის ბოლშევიკურად განმტკიცებისათვის და ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის დასამთავრებლად საბჭოთა ქვეყანაში.

საკ. კ.პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტი.

გენერალური ხაზის ურყევი გატარებით, მემარჯვენე-„მემარცხენე" ლიკვიდატორების და მათთან შემარიგებლების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლით

უზრუნველვყოთ ა.-კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ფედერაციის ძლევამოსილი მსვლელობა სოციალიზმის გზით

მისალმებანი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მისალმება

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მისი არსებობის ათი წლის თავზე. ათი წლის წინად სომხეთის მშრომელმა მასებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოაწყვეს რევოლიუციონური აჯანყება დაშნაკთა გათავხედებული ბანდის და მისი მთავრობის წინააღმდეგ. 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში ამაყად აფრიალდა საბჭოების წითელი დროშა. სომხეთის მუშათა კლასმა და გლეხობის ძირითადმა მასებმა, ბოლშევიკთა შტაბის — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ათი წლის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე—მრეწველობის განვითარებისა, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლების სფეროში. ეს წარმატებანი და სომხეთის როლის განუწყვეტელი ზრდა ამიერ-კავკასიის ეკონომიკაში შედეგია ლენინურ პარტიის სწორი ეროვნული პოლიტიკისა და მისი შეურიგებელი ბრძოლისა ორ ფრონტზე—მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან, გადახრებისადმი შემარიგებლობასთან და დიდმპყრობელურ და ადგილობრივ ნაციონალიზმთან. საბჭოთა სომხეთი იშვა დაშნაკელებთან და სხვა ნაციონალისტებთან შეიარაღებული ბრძოლის ცეცხლში. სომხეთის მშრომელთ მაღლა ეჭირათ და უჭირავთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. ისინი სასტიკ პასუხს აძლევენ ყველა ჯურის შოვინისტებს, რომელნიც ცდილობენ დათესონ შუღლი და მტრობა ამიერ-კავკასიის ერებს შორის იმ მიზნით, რომ შეასუსტონ საბჭოთა ხელისუფლების ავანპოსტი აღმოსავლეთში—ამიერ-კავკასიის ფედერაცია — და დახმარება გაუწიონ ინტერვენტებს. სომხეთი დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყველა ერების ძმური კავშირის განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მოძმე სომხეთი უფრო მეტად განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ძლიერებას და მომავალშიაც მაღლა დაიჭერს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას და უფრო დიდ გამარჯვებებს მოიპოვებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს და მის ხელმძღვანელს—სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყველა ერების და ხალხების მშრომელთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მუშათა კლასის ძლევამოსილ რაზმს, სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელ და ორგანიზატორს ლენინურ საკავშირო კომპარტიას და მის გამობრძმედილ ბოლშევიკურ შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

კავკასიის წ.-დროშოვან არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოსაგან

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო წითელარმიელებისა და უფროს შემადგენლობის სახელით ულოცავს სომხეთის მუშებს და მშრომელებს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ათი წლის თავს.

ამ წლების განმავლობაში რესპუბლიკა გამოვიდა იმ სამეურნეო-ეკონომიური ნგრევის პერიოდიდან, რომელშიაც ის მოექცა იმპერიალისტური ომის და სომხეთის ბურჟუაზიული პარტიის დაშნაკების პოლიტიკის შედეგად. პროლეტარიატის და მისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო მშრომელი მასების ფართო მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში, მიაღწია საბჭოთა სომხეთის სახალხო მეურნეობის ნამდვილ აყვავებას და მის განვითარებას სოციალისტური გზით და განამტკიცა ყველა მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირი. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და ამიერ-კავკასიის მშრომელთა დახმარებით სომხეთი ახერხებს სიძნელეების დაძლევას და მტკიცედ მიდის წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით.

სოციალისტური გზა, რომლითაც სომხეთი მიდიოდა და მიდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, არის საბჭოთა სომხეთის მშრომელთა ეკონომიური, ნაციონალური და კულტურული განვითარების ერთად-ერთი გზა. საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა სომხეთის მშრომელნი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ ძირითად დებულების სისწორეში. მასების ეს გამოცდილება, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები— მრეწველობის სწრაფი ზრდა, საბჭოთა მეურნეობების და საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლა — ნათელჰყოფენ თვითეულისათვის, რომ მშრომელი მასები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აწარმოებენ სოციალისტურ შეტევას და საბოლოოდ გასტეხენ კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების და მათი აგენტების წინააღმდეგობას, რომლებიც ხელს უშლიან სოციალიზმის მშენებლობას.

კულაკობა, გრძნობს რა თავის საბოლოო დაღუპვას, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს სოციალისტურ შეტევას.

სომხეთის პროლეტარები, კოლმეურნენი, ღარიბ- საშუალო გლეხთა მასები სძლევენ ამ წინააღმდეგობას კომუნისტური პარტიის და მისი გენერალური ხაზის ირგვლივ დარაზმვით. ეს საწინდარია სოციალისტური შეტევის წარმატებით დამთავრებისა.

დასავლეთის ბურჟუაზია, იყენებს რა თავის დაქირავებულ აგენტებს —მავნებლებს საბჭოთა კავშირში, ამზადებს შეიარაღებულ ინტერვენციას სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ საუკეთესო პასუხს კონტრ-რევოლიუციონური ომის საფრთხის წინააღმდეგ უნდა წარმოადგენდეს დაუცხრომელი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

კავკასიის მრავალეროვანი წითელდროშოვანი არმიის წითელი არმიელნი და უფროსი შემადგენლობა ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებზე სდგას, მაგალითის მიმცემი იქნება დიად სოციალისტურ სამუშაოთა შესრულებაში და ბოლშევიკური ენერგიით ლენინურად გაატარებს პარტიის გენერალურ ხაზს.

უზრუნველვყოთ გამარჯვება კლასობრივ მტერზე! განვამტკიცოთ პროლეტ. დიქტატურის შეიარაღებული დასაყრდენი—წითელი არმია!

დავამთავროთ სოციალიზმის მშენებლობა!

გაუმარჯოს სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის ათი წლის თავს!

გაუმარჯოს ა.-ქ. ს. ფ. ს. რ. მშრომელთა ინტერნაციონალურ კავშირს!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს — დიად სოციალისტურ გამარჯვებათა ბელადს და ორგანიზატორს!

სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს და ამ.-კავ. წითელდროშოვანი არმიის სარდალი
აქსენტიევსკი.

სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს წევრები: **იპპო, ელიავა, ჟარაევი.**

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის ყველა მუშებს და მუშა-ქალებს, ყველა გლეხებს და გლეხ ქალებს, ა.-ქ. ს. ფ. ს. რ. ყველა მშრომელთ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავზე მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა კლასს და ყველა მშრომელთ.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სომხეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა და მშრომელმა მასებმა გაანთავისუფლეს თავიანთი ქვეყანა იმპერიალიზმისა და ნაციონალისტური ბურჟუაზიის ჩაგვრისაგან, აღმართეს წითელ ჰაიასტანში ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის წითელი დროშა.

განვლილი ათი წელი წარმოადგენს საბჭოთა სომხეთის პროლეტარიატის და მშრომელი მასების გმირული ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში ბრწყინვალე გამარჯვების წლებს დიდ რევოლიუციონური აღფრთოვანების და მტკიცე ნებისყოფისა და ენერგიის წყალობით, სომხეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა მასებმა, ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაუზოგავ ბრძოლაში მემარჯვენე-„მემემარცხენე" გადახრებთან და გადახრებისადმი შემარიგებლობასთან, საბჭოთა ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან თანამშრომლობით, ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის და მისი აგენტების—დაშნაკ-მაუზერისტების ბატონობის წყალობით ნანგრევებად იყო ქცეული, **მოკლე ხნის განმავლობაში გადააქციეს დამოუკიდებელ, აყვავებულ კულტურულ ქვეყნად.**

ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა სომხეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა მასებმა აღადგინეს და ახალ საფეხურზე გარდაქმნეს მრეწველობა, დიდ შედეგებს მიაღწიეს ელექტროფიკაციის, მელიორაციის, ტრანსპორტის, საბინაო მშენებლობის და სხვა დარგში და ამით **მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნის გარდაქმნას ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად.** მრეწველობის ზრდით და რეკონსტრუქციით სომხეთის მუშათა კლასმა განვლილ წლებში თვალსაჩინოდ გაადიდა თავისი რიგები, რითაც მტკიცე საფუძველი შექმნა სოციალიზმისაკენ ძლევამოსილი მსვლელობისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში საბჭოთა სომხეთის მშრომელ მასებს უდიდესი მიღწევები აქვთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, საბჭოთა სომხეთის მშრომელი გლეხნი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაადგა საბჭოთა პერიოდამდე არსებულ სილატაკისა და სიძნელისაგან, ცარიზმის და დაშნაკური ჩაგვრისაგან და ფიზიკური განადგურებისაგან განთავისუფლების გზას.

სომხეთის პროლეტარიატს და მშრომელ მასებს უდიდესი მიღწევები აქვთ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. საბჭოთა სომხეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა მასებმა ისტორიის შორეულ წარსულში დასტოვეს ეკონომიური და კულტურული ჩაგვრის და ეროვნული შუღლის მძიმე მემკვიდრეობა. ისინი დღეს გაბედულად მიდიან წინ—სოციალიზმისაკენ.

სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე წარმატებანი მრეწველობაში და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს კლასობრივი მტერის მხრით, რომელიც ყოველნაირად ცდილობს გამოიყენოს დროებითი დაბრკოლებანი სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობის გზაზე და ყოველი ძალღონით ხელს უშლის გლეხობის ღარიბ და საშუალო მასების უდიდეს ლტოლვას მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ, ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობისაკენ. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა და არსებულ სიძნელეთა შემდგომი დაძლევის აუცილებლობის შეგნება უფრო მეტად შეამჭიდროებს საბჭოთა სომხეთის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ფართო მასებს ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო სოციალიზმის დაჩქარებით განხორციელებისათვის, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის და საერთაშორისო იმპერიალიზმის დამარცხებისათვის. ამ ბრძოლაში საბჭოთა სომხეთის მშრომელთ მუდამ მჭიდრო კავშირი ექნებათ მთლიანი ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მოძმე მშრომელ ერებთან.

გაუმარჯოს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეათე წლის თავს!

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთის პროლეტარიატს და მშრომელთ!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერების ძმურ კავშირს—ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიად კავშირს!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

საქართველოს ცაკისაგან

სომხეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განუწყვეტელი შრომის და ბრძოლის ათი წელი მშვენიერი ჰაიასტანის საუკუნოებით ტანჯული მშრომელი ხალხის პოლიტიკური და სოციალ-კულტურული აყვავების მთელ ეპოქას წარმოადგენს.

სომხეთის მუშებს და მშრომელ გლეხებს, რომელთაც საკუთარი სისხლით მოიპოვეს საბჭოთა წყობილება, სრული შესაძლებლობა მიეცათ განეხორციელებიათ თავიანთი კლასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ინტერესები სოციალიზმის—კომუნიზმის დიადი იდეის საფუძველზე, იმ სოციალიზმის — კომუნიზმის, რომელიც დიდი ლენინის საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკებისა) ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მძლავრი ნებისყოფით უკვე პრაქტიკულად ხორციელდება გიგანტური ბოლშევიკური ტემპებით.

სომხეთის მიწა-წყალს მთელი საუკუნოების განმავლობაში არ უნახავს ის გიგანტური მშენებლობა და საერთო-საყოფაცხოვრებო და კულტურული აღორძინება, რომელიც ხდება სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

ყველა ფაბრიკები და ქარხნები, რომელნიც მუშაობენ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე, ყველა სკოლები, კლუბები და სხვა მუშურ-გლეხური დაწესებულებანი წითელი ჰაიასტანის ქალაქებსა და სოფლებში—ყველაფერი ეს ახალი ლაბორატორიაა, საიდანაც გამოდიან ახალი ხალხი და ახალი მებრძოლნი საბჭოთა სოციალისტური სომხეთისათვის, კომუნიზმის განხორციელებისათვის.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნების მთელი მშრომელი მოსახლეობის სახელით განსაკუთრებული მხურვალე სიყვარულით ესალმება მოძმე საბჭოთა სომხეთის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების პირველი ათი წლის თავის გამო, რომელიც მხოლოდ გმირული შესავალია სოციალიზმ-კომუნიზმის სრული განხორციელების პერიოდში.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი გამოსთქვამს სრულ რწმენას და მტკიცე იმედს, რომ სომხეთი სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკა—დიადი საბჭ. კავშირის ტერიტორიის ეს სამხრეთ „პოლიუსი", მომავალშიაც გიგანტური, ბოლშევიკური ტემპებით გასწევს წინ ყველა იმპერიალისტთა და ყველა კონტრ-რევოლიუციონერთა და მავნებელთა სურვილის წინააღმდეგ, ყველა შინაპარტიულ ოპორტუნისტების და თვალთმაქცების სურვილის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მოძმე სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას მისი არსებობის მეათე წლის თავზე!

გაუმარჯოს ამიერ-კავკ. მთლიან ფედერაციას — ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. ფედერატიულ რესპუბლიკას — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა მთლიან კავშირში რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილს შეადგენს!

გაუმარჯოს დაუმახინჯებელ და გადაუხრელ ლენინიზმს — რევოლიუციონურ მარქსიზმს — მეცნიერულ კომუნიზმს!

გაუმარჯოს ლენინის დიად მონოლიტურ პარტიას — საკავშირო კომპარტიას (ბოლშევიკების)!

კიდევ ერთხელ მხურვალე სალამი წითელი და მშვენიერი ჰაიასტანის ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთ.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.

საქ. ცაკის მდივანი: **ს. თოდრია.**

საქ. სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს სახკომსაბჭო საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის სომხეთის მუშებს და გლეხებს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის და მისი განთავისუფლების გამო შინაური და გარეშე ბურჟუაზიის ბატონობისაგან. სომხეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის და თავისი შემოქმედებითი ძალების თავისუფალი განვითარების ათი წლის განმავლობაში, ამიერ-კავკასიის ხალხებთან ძმური ურთიერთობის სულ უფრო და უფრო განმტკიცების საფუძველზე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით შესძლეს აღედგინათ დაშნაკების მიერ განადგურებული ქვეყანა და ანხორციელებენ დიად სოციალისტურ მშენებლობას.

საქართველოს სახკომსაბჭო სრულ რწმენას გამოსთქვამს, რომ იმ მომენტში, როდესაც გარეშე და შინაური კონტრ-რევოლიუცია ამზადებს თავდასხმას საბჭოების ქვეყანაზე, საბჭოთა სომხეთის მუშები და გლეხები დიად საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად, კომპარტიის მეთაურობით, გაათკეცებენ თავიანთ ძალებს, რათა დადვან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და უზრუნველყონ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება და შემდგომი წარმატებები სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა სომხეთი ინდუსტრიალიზაციის გზით

საუბარი სომხეთის ს.ს.რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. ა. ერზინკიანთან

მუშები და მშრომელი გლეხები უთუოდ ზრუნავენ იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში.

ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ საბჭოთა სომხეთის მშრომელნი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში როგორც მრეწველობის, ასე სოფლის მეურნეობის სფეროში ჩამორჩებიან საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილებს. სომხეთის მშრომელთა მთავარი ყურადღება მიპყრობილია ელექტრობაზის გაძლიერებისაკენ. ჩვენი ქვეყნის ჰიდრავლიური ენერგია საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ თეთრი ნახშირის საკითხი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მთელი ჩვენი ქიმიური მრეწველობა. ამ მრეწველობის საფუძველი უკვე ჩაეყარა. კარაკლისში ვაშენებთ ციანამიდის დიდ ქარხანას, რომლის ძირითად ბაზას ძორაჰესის ენერგია წარმოადგენს. ძორაჰესის ენერგიის საფუძველზე ვფიქრობთ ავაშენოთ ქიმიური მრეწველობის მთელი რიგი დარგები. ქანაქერჰესმა, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებულია, ხელი უნდა შეუწყოს ერევნის ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ქანაქერჰესის შემდეგ უნდა გადავიდეთ სოლაკის ელექტრონის სადგურის მშენებლობაზე, რომლის გეგმაც უკვე მუშავდება. ამ ორი სადგურის მშენებლობა მჭიდროდ დაკავშირებულია ლორის ველის მორწყვის საკითხთან, რაც მოგვცემს მიწის ახალ ფართობს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

სევანის ტბის პრობლემის გადაჭრით ჩვენ მივიღებთ ახალ ელექტროსადგურებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბუმბერაზულ განვითარებას. სამთო მრეწველობის განვითარება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. საბჭოთა სომხეთს აქვს დიდძალი სამთომადნო სიმდიდრენი, რომლებიც მრავალ ადგილას ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

უახლოეს დროში ჩვენ უნდა შევისწავლოთ ჩვენი ქვეყნის ყველა სიმდიდრენი და მათი ღირებულება წარმოების თვალსაზრისით.

ამიერ-კავკასიის სპილენძის მრეწველობის მთავარი ბაზა სომხეთშია, სპილენძს ახლად აღმოჩენილ სამადნეებს აგარაკში (მეღრის რაიონში), როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით დიდი მომავალი აქვს. იქ ამჟამად სწარმოებს ფართო საგამომკვლევო მუშაობა. აღარას ვამბობ ალავერდის და ღაფანის სამადნოებზე. ალავერდში მალე დაიწყება სპილენძის სადნობი დიდი ქარხნის მშენებლობა, სადაც თავმოყრილი იქნება მთელი ამიერ-კავკასიის სპილენძის გამოდნობის საქმე.

ბაქო-ჯულფის რკინის გზა მომავალ წელს უნდა დამთავრდეს. ამ გზიდან განზრახულია შტოს გაყვანა ღათარის სამადნეებისაკენ. ეს შტო უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს ზანგეზურის სამადნოების განვითარებას. ერთ-ერთი უახლოესი ამოცანაა იმ საშენებელი მასალების ექსპლოატაციის საქმის განვითარება, რომლითაც სომხეთი მდიდარია. არტიკ-ტუფის ეხლავე შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება. არტიკ-ტუფის სამუშაოთა გაფართოება და მექანიზაცია ჩვენი ერთ-ერთი მორიგი ამოცანაა. იგივე შეიძლება ითქვას გრანიტის და მარმარილოს ექსპლოატაციის შესახებ. პემზის წარმოებამ უკვე საპატიო ადგილი დაიჭირა. ანი-პემზას ბუმბერაზული მიღწევები აქვს. სომხეთის სხვადასხვა რაიონებში საუკეთესო ხარისხის პემზის სამადნეებია. მათი ექსპლოატაციის საკითხი აგრეთვე დაკვირ[illegible]თი საკითხია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საშენებელი მასალების დამზადების საკითხს. ამჟამად დავალუში დაწყებულია ციმენტის ქარხნის მშენებლობა. იმავე დავალუში უკვე აგებული და ამუშავებულია კირის საწვავი დიდი ქარხანა. უახლოეს დროში დაიწყება მეორე ასეთი ქარხნის მშენებლობა. სომხეთის სხვადასხვა ადგილებში შენდება აგურ-კრამიტის ორი დიდი ქარხანა. მსუბუქი ინდუსტრიის სფეროში განზრახული გვაქვს განვავითაროთ საფეიქრო მრეწველობა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკა. იმავე ლენინაკანში მომავალ წელს უნდა ავაგოთ შაქრის დიდი ქარხანა. ბაიაზეთის რაიონში განზრახულია მომავალ წელს კრახმალ-ბადაგის ქარხნის აგება. მომავალი წლიდან ერევნის მექანიკურ ქარხანაში უნდა აშენდეს ახალი კორპუსები და საამქროები. ეს ქარხანა საბჭოთა კავშირში პირველი ქარხანა იქნება, რომელიც საკონსერვო წარმოებისათვის საჭირო მანქანებს დაამზადებს. მიმდინარე წელს ერევანში დამთავრდა დიდი საკონსერვო ქარხნის აგება. განზრახულია ასეთივე ქარხნის აგება სარდარაბადის რაიონში. იმავე ერევანში მიმდინარე წელს ვიწყებთ ხის დამმუშავებელი და სამკერვალო დიდი ფაბრიკების მშენებლობას.

გადავდივარ რა სოფლის მეურნეობის საკითხებზე, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად გზას წარმოადგენს ტეხნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარება. სოფლის მეურნეობის განვითარება შეუფერხებლად მიდის სოციალისტური მშენებლობის გზით. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის ფართოდ განვითარება —აი ის გზა, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინება.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარების სფეროში მომავალი წლიდან განზრახული გვაქვს მეცხოველეობის, მეხილეობის, მებამბეობის, მებაღეობის, მებრეშუმეობის და მებოსტნეობის მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს, მაგრამ მომავალ წელს ეს ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდება.

საკოლმეურნეო მოძრაობამ, დაშვებული შეცდომების გამოსწორების შემდეგ, ახალი სტიმული მიიღო. გაძლიერდა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

სოფლის მეურნეობის სფეროში ჩვენს წინაშე სდგას მისი მექანიზაციის საკითხი. სარდარაბადში ჩვენ უკვე გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგური. სამანქანო-სატრაქტორო სადგური ეწყობა ულუხანლუშიაც. ასეთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები განზრახულია მოეწყოს მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად დავალუში, ლენინაკანში, სტეფანავანში და ნორ-ბაიაზეთში.

სოფლის მეურნეობის სფეროში დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-საგამომკვლევო საქმესაც. მომავალი წლიდან ეს საქმე განსაკუთრებით განვითარდება და დაარსდება მთელი რიგი სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტები და სადგურები.

სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების საკითხი ფართოდ არის დაყენებული და კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. ერევანში გვაქვს ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტი. მომავალ წელს უნდა გაიხსნას ზოოტეხნიკური ინსტიტუტი. დაარსებულია დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც. საშუალო განათლების მქონე კადრების მომზადების საკითხი ჩვენ გადავჭერით მთელი რიგი, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო განხრის, ტეხნიკუმების დაარსებით. მომავალ წელს ამ ტეხნიკუმების ქსელი კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს გლეხობის ფართო ფენებში. ელემენტარული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების საკითხი ჩვენი ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

აი ის გზები, რომლებსაც მივყევართ სოციალიზმის აშენებისაკენ ჩვენს ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელიც დიდი საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენს.

საბჭოთა სომხეთს

ათი წლის თავზე

მივესალმები მხარეს ნაირის,
საბჭოთა სომხეთს, მეზობლად, აქვე.
არა ვართ მარტო მთქმელი შაირის,
არამედ, ვით ძმა, ვით მოქალაქე!
მივესალმები, როგორც პოეტი:
ჩაქუჩის, გრდემლის, ნამგლის, ტრაქტორის;
ვინც ჰგმო წარსულის სივიწროეთი
მძლე ხმით ტრიბუნის და ორატორის!..
ვინც ეს საბჭოთა აღმშენებლობა
იმავე თავით ცეცხლებრ აფრქვია
რომ ვერ სძლევს მტრობა, ვერც მავნებლობა
და უძლეველი ძლევა რომ ჰქვია...
გამოხატული არის ის სიტყვად.
თუ ხდება საქმეს ფოლადის ხელად,
მოწინავედ და ცხოვრების ბირთვად
წინ ყველაფერზე სდგას უეჭველად!..
მილიონიან შრომის არმიად
აწვება მკერდით საბჭოთა სივრცეს,
აჩქარებული ტემპებით ფრიად
სდგამს წინ გიგანტურ ნაბიჯებს, მტკიცეს!..
მივესალმები!.. „აღდგომა მკვდრეთით".
მე ბიბლიური მრწამსი აროდეს,
მაგრამ არ ვიტყვი, რომ დღეს სომხეთით
არ ვამაყობდე, არ მიხაროდეს...
რადგან... ეს იყო ათი წლით „გუშინ",
დაშნაკთა მტანჯველ ხელით ჩაგრული,
მას მტრის მახვილი რომ ესო გულში
და სჯიდა ბედი, უკულმართული!..
თუმც იყო ფიქრად: „სომხეთი დიდი",
წინ წარმატება—არც ერთი დრამა!
მხოლოდ-ღა მკერდზე—მმართველი, ფლიდი,
და მოშვერილი მტრის ხელით ყამა!..
ასე გართხმული მოძმის სხეული
მოძალადეთა ფეხ ქვეშ ჩნდა მსხვერპლად,
„დიდ იმედთაგან" გადაქცეული
მწარ სინამდვილის ნაცრად და ფერფლად!
მხარე, ისედაც ბნელით ბურვილი,
მხარე, ისედაც სუსტი და მწირი...
უსაზღვრო იყო მისი სურვილი
და მის ტანჯვის ზღვას არ უჩნდა ძირი...
აი, უტყუვრად ათის წლის წინად.
მოძმე ქვეყანავ, სურათი შენი!
მაგრამ გეწვია ცეცხლად და რკინად
ძალა, ახალი: მრღვევი და მშენი!..
მან ძორაჰესით შეგიმკო მკერდი
შემდეგ ტრაქტორმაც შენ გადაგსერა, —
წამოდგა გუმბრი და ალავერდი
და „გამარჯვება შენი"—დასწერა!..
ლენინაკანის კომბინატია,
თუ [illegible] დიდი ელვება,
რაც ამ ათი წლით შენ გიშატია,
ათიც სხვა ხომ მას წინ ეგებება..!.
და ვიცი: მკერდი გაიწევს შენი,
ვიცი: ვაჟკაცი დადგები მძლევი,
რადგანაც ძალა—მრღვევი და მშენი
გაქვს შთანერგილი გამოულევი!..
და არარატიც თავს რომ დაგყურებს,
ალბათ, უყვირის შორით ალაგეზს.
„ნეტა, თუ ითვლი შენც ამ აგურებს,
ეს ჭაბუკი რომ ჩვენს წინ ალაგებს?!.
ჩამოიშორე სიბერის ჩადრი,
შენც გაჭაბუკდი, მთაო-ნისლედო,
გესმოდეს ამ დღის აზრი და ყადრი
და ხუთი წლის საქმე—საოთხწლედო!
ეს ხომ საბჭოთა არის სომხეთი,
დამძიმებული წარსულთა მსხვერპლით,
დღეს ოქტომბრის მზემ ასე მოხედა,
ასე რომ ხდება ნაცრით და ფერფლით!.."

ნ. ზომლეთელი.

ამხ. რუძუტაკის დეპეშა სომხეთის ცაკს

მოსკოვი, 28 ნოემბერი. „მხურვალე სალამს ვუძღვნი სომხეთის მშრომელ მასებს იმპერიალისტთა ლაქიების—დაშნაკების დიქტატურის დამხობის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის გამო. გასულ 10 წელს სომხ. ს.ს. რესპ. სამეურნეო და კულტ.-სოციალურმა მშენებლობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ეს წარმატებები შესაძლებელი იყო მხოლოდ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სწორი ლენინური პოლიტიკის მეოხებით, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხების თავისუფალ ნაციონალურ განვითარებას და რომელიც მიმართულია მათი სამეურნეო და კულტურული აღორძინებისაკენ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე. სოციალისტური მრეწველობის და საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი ზრდა, ფართო მშრომელი მასების კეთილდღეობის გაუმჯობესება და სწრაფად განვითარებული კულტურული მშენებლობა გაშლილი სოციალისტური შეტევის შემდგომი წარმატებული განხორციელების და კლასობრივ მტერზე—კულაკზე ნეპმანზე—საბოლოო გამარჯვების საწინდარია.

გისურვებთ ამ გზაზე ყველა სიძნელეების წარმატებით გადალახვას და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უდიდესი ამოცანის უმოკლეს ვადაში დამთავრებას. გისურვებთ, რომ საბჭოთა სომხეთი ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვინც იბრძვის აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის". (ადს).

სომხეთის ათი წლის თავის აღსანიშნავად

მოსკოვი, 28 ნოემბერი. საბჭოთა სომხეთის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ გადასწყვიტა— გადასდოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან 3 მილიონი მანეთი ერევანში ტრამვაის და „საბჭოთა სომხეთის არსებობის ათი წლის თავის სახელობის" საუნივერსიტეტო ქალაქის ასაგებად (ადს).

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს, სახელმწიფო ოპერის თეატრში სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავის აღსანიშნავად შესდგა თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ—ფაბ.ქარხკომების, პროფკავშირების ცენტრალური გამგეობების წარმომადგენლები და საბჭოს სექციებზე მიმაგრებული მუშები.

სხდომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ —ამხ. ანდრო დოლიძე, ლ. ქართველიშვილი, მარ. ორახელაშვილი, ავაქოვი, შ. მათიკაშვილი და სხვ.

სხდომა თბილისის საბჭოს და საქ. პროფსაბჭოს სახელით გახსნა ამხ. ვ. ავაქოვმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელებისათვის.

ამხ. ავაქოვი შეჩერდა იმ წარმატებებზე, რომელიც მოიპოვა საბჭოთა სომხეთმა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და აღნიშნა, რომ განვლილი 10 წლის განმავლობაში სომხეთის მშრომელებმა ამიერ-კავკასიის სხვა ერებთან ძმური თანამშრომლობით შესძლეს დაშნაკური ხელისუფლების მიერ განადგურებული სომხეთის სახალხო მეურნეობის აღდგენა და 5-წლედის ორი პირველი წლების საწარმოო გეგმების შესრულება.

ამხ. შ. მათიკაშვილის სიტყვა

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქ. ცაკის და საქ. სახკომსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. შ. მათიკაშვილი.

— ყველას ახსოვს ის სამარცხვინო ხანა,— განაცხადა ამხ. მათიკაშვილმა,—როდესაც მენშევიკური და დაშნაკური მთავრობების [illegible] პოლიტიკის წყალობით ერთმანეთს სამხედრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს დაშნაკურმა სომხეთმა და მენშევიკურმა საქართველომ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ამიერ-კავკასია გადაიქცა სხვადასხვა ერთა ძმური თანამშრომლობის სამაგალითო კუთხედ. დღის უკვე ისტორიას ჩაბარდა ის ეროვნული შუღლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეფისა და მენშევიკური ბატონობის დროს ამიერ-კავკასიაში.

საქართველოს მშრომელთათვის სომხეთის მშრომელთა გამარჯვება იგივეა, რაც საკუთარი გამარჯვება. საქართველოს მშრომელნი დღეს ზეიმობენ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავს იმიტომაც, რომ თავის დროზე ეს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა მოასწავებდა საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებასაც.

საქართველოს მუშებისა და გლეხებისა სახელით, საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო ულოცავს სომხეთის მშრომელებს დიდ დღესასწაულს—საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავს.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ბურჯანაძემ და ს. ა. ლ. კ. კ. [illegible] სახელით ამხ. ნუცუბიძემ.

პროფ. გ. ახვლედიანის სიტყვა

საქართველოს სამეცნიერო ძალთა სახელით საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა პროფ. გ. ახვლედიანმა.

— საქართველოს მეცნიერული ძალებისათვის,—სთქვა ორატორმა,—დღეს უკვე აშკარა გახდა, რომ არასოდეს და არც ერთი ხელისუფლების დროს მეცნიერებას ისე ფართო და თავისუფალი ასპარეზი არ ჰქონია, როგორიც ეხლა აქვს. ამიტომ ჩვენთვის, საქართველოს მეცნიერთათვის, ისე როგორც სომხეთის და სხვა მოძმე ერთა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენ სიამოვნებით ვდღესასწაულობთ ამ ხელისუფლების დამყარების თარიღს.

საქართველოში მომუშავე სამეცნიერო ძალებმა [illegible] განვაცხადეთ, რომ ჩვენ მუდამ მზათა ვართ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, ჩვენ ვცდილობთ ყოველდღიური პრაქტიკით ამ ხელისუფლების განმტკიცებას და სოციალისტური მშენებლობის წარმატებაში ჩვენც საკუთარი წვლილი შეგვაქვს. ულოცავთ რა ამ ბრწყინვალე დღესასწაულს სომხეთის მშრომელებს და სამეცნიერო ძალებს, ავღნიშნავთ, რომ თუ საჭიროება მოითხოვს საქართველოს სამეცნიერო ძალები, სომეხ მოძმეებთან ერთად, კალამს ხმალზე შესცვლიან და წინ აღუდგებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოსულ მტერს.

პროფ. ახვლედიანის სიტყვა დაფარა მქუხარე ტაშმა და „ინტერნაციონალმა".

ამხ. სმოლინის სიტყვა

გაჭედილი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა აგრეთვე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წარმომადგენელს ამხ. სმოლინს.

— სომხეთის მშრომელთა დღევანდელი ზეიმი არის კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ზეიმიც. მუშურ-გლეხური წითელი არმია აცხადებს, რომ იგი ისევე მზად იქნება დაიცვას ამიერ-კავკასიის მშრომელთა მშვიდობიანი შრომა ყოველგვარი თავდასხმებისაგან.

შემდეგ ამხ. სმოლინმა აღნიშნა, რომ კავკასიის წითელდროშოვანი არმია წარმოადგენს ეროვნულ შეიარაღებულ სამხედრო ნაწილების ერთ მტკიცე ოჯახს. ასეთი ძლიერი არმიის შექმნა, როგორიცაა კავკასიის წითელდროშოვანი არმია, შეიძლება მხოლოდ ეროვნებათა ძმური თანამშრომლობის საფუძველზე, ასეთი თანამშრომლობა კი მარტო საბჭოთა ხელისუფლების დროს არის შესაძლებელი.

ამხ. სმოლინის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს—რკინის გზის მუშების სახელით—ამხ. კარტოზიამ, განათლების მუშაკთა სახელით —ამხ. ლაგვილავამ, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშებისაგან—ამხ. შატენკომ, ტრამვაელების სახელით—ამხ. ხარქისოვმა, 26 კომუნარების სახ. ქარხნიდან—ამხ. იახლოვსკიმ და საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის სომხური სექციის წარმომადგენელმა—ამხ. გრექმა.

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომის სახელით ერევნის საბჭოს საზეიმო სხდომას დარბაზიდან რადიოთი მიესალმა ამხ. ვარდანიანი.

დასასრულ საზეიმო სხდომის სახელით სომხეთის ცაკს და სახკომსაბჭოს გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

საბჭოთა სომხეთის სოფელი

საუბარი სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის მიწსახკომის მოადგილესთან ამხ. ვ. მამიკონიანთან

უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების გადაჭრა ჩვენში რამდენადმე უფრო მძიმე პირობებში ხდება, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში.

გასაბჭოებამდე სომხეთის ნათესი ფართობი ომის წინადროინდელი დონის 28 პროცენტს შეადგენდა. ამას უნდა დაუმატოთ შიმშილი და უამრავი ლტოლვილნი, რაც დაშნაკურმა მთავრობამ დაგვიტოვა. გასაბჭოების შემდეგ მთავრობისა და მიწსახკომის წინაშე წამოიჭრა ის საკითხი, რომ პირველ რიგში გვეხსნა ჩვენი ქვეყანა შიმშილისაგან და მიწასთან დაგვეკავშირებია მოხეტიალე ლტოლვილნი, რათა გამოგვეყენებია მათი შრომა სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში. პირველი საკითხი (შიმშილის საკითხი) პირველსავე წელს გადაიჭრა, ხოლო მეორე საკითხი შეიძლება მეტ წილად გადაჭრილად ჩაითვალოს პირველი სამი წლის განმავლობაში. ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას ის საკითხი, რომ აღვადგინოთ სოფლის მეურნეობა და ამასთან ერთად აღვადგინოთ მთელი რიგი კულტურული ნარგავებიც (ბამბა), რომლებიც დაიღუპა დაშნაკური მთავრობის სულელური პოლიტიკის გამო.

მიღებული ზომების და დიდი ფულად-დაბანდების წყალობით (საწარმოო სესხები აგროდახმარება, სათესლე სესხები), ჩვენ მოვახერხეთ იმ მდგომარეობამდე მიგვეყვანა სოფლის მეურნეობა, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა ხუთწლედის პირველი წლების წინ ომის წინადროინდელ დონეს გადააჭარბა. ამას შემდეგ ჩვენს წინაშეც წამოიჭრა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხი და ამ რეკონსტრუქციამ ამ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში დიდი მიღწევები მოგვცა. ამ მიღწევებზე დაყრდნობით ჩვენ 1931 წლისათვის ვადგენთ სოფლის მეურნეობის განვითარების უმაგალითო გეგმას. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ჩვენ მოვაწყვეთ 20 სხვადასხვა მიმართულების საბჭოთა მეურნეობა. კოლექტიურად გაერთიანებულია ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების 10,4 პროცენტი, ჩვენს მინდვრებში მუშაობს 350 ტრაქტორი, რომლებიც შემოტანილია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ხელს უწყობენ ულუხანლუს და სარდარაბადის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. ძლიერდება აგროდახმარება. მარცვლის საწმენდი მანქანების არსებული რაოდენობით ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ თესლის 100 პროცენტით გაწმენდა. ზოგიერთი რაიონების გამოკლებით, დანარჩენი რაიონები 100 პროცენტით უზრუნველყოფილია აგროპერსონალით. ხოლო იმ რაიონებში, სადაც ტეხნიკური კულტურები შენდება, 10-15 აგრონომი მუშაობს. აგროპერსონალის ნაკლებობის ლიკვიდაციის მიზნით ერევნის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი დამოუკიდებელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთდა. ხოლო ტეხნიკუმების რიცხვი 10-მდე აღწევს. ერევანში გახსნილია ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტი. ტარდება სასოფლო-სამეურნეო დარაიონება, რომლის დროსაც მხედველობაში მიღებულია რაიონის გეოლოგიური და კლიმატიური პირობები. საბოლოოდ განსაზღვრულია მეცხოველეობის და ძვირფასი კულტურების რაიონები, რომელთა განვითარებამაც უდიდესი როლი უნდა ითამაშოს საბჭოთა სომხეთის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ გადაიქცეს ტეხნიკური კულტურებით მდიდარ ქვეყნად. სოფლის მეურნეობის ყველა დარგებიდან თავისი ტემპით ჯერ-ჯერობით შედარებით ჩამორჩენილია მეცხოველეობა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს საჭიროება და ამიტომ დავაარსეთ მთელი რიგი სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტები და სადგურები, რომლებმაც უაღრესად დადებითი შედეგები მოგვცეს.

სომხეთის მშრომელმა გლეხურმა მასებმა, რომელნიც სომხეთის გასაბჭოების მე-11 წელიწადში შედიან, წარსული წლების მიღწევებზე დაყრდნობით, ყველა დადებითი ცდების გამოყენებით უნდა მოიკრიბონ მთელი ძალღონე იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი წარმატებით შეასრულონ ყველა საწარმოო დავალებანი, ვიდრე წარსულში.

ყველა არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებით, წარსულის ყველა შეცდომების გამოსწორებით, ყველა მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული ტენდენციების უკუგდებით უნდა შევქმნათ პირობები კოლმეურნეობებში ახალი მასების ჩაბმისათვის.

ათი წელი

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საბჭოთა სომხეთის არსებობისა და ბრძოლის 10 წლის თავს. ჩვენში თითქოს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ რესპუბლიკის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარება. მაგრამ სომხეთის გასაბჭოების 10 წლის თავს როგორც თვით სომხეთისათვის, ისე საერთოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში არც ერთ რესპუბლიკას გასაბჭოებამდე იმდენი ნგრევა და ძარცვა არ განუცდია, იმდენი მსხვერპლი არ შეუწირავს ეროვნული შუღლისათვის, რაც განიცადა სომხეთმა მსოფლიო ომის წინ, მაუზერიზმის დროს. სომხეთის ფიზიკური არსებობა პირდაპირ იხსნა საბჭოთა ხელისუფლებამ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ. მეორე, იმიტომ, რომ ჩვენი საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთ ნაწილში, არც ერთ ქვეყანაში, კაპიტალისტურ-ფეოდალურ ჟანდარმულ სახელმწიფო აპარატის გვერდით არ ყოფილა ისეთი მძიმე უღელი, როგორიც იყო დაშნაკების ბურჟუაზიულ-ფაშისტური პარტიის. ეს პარტია, ხმბაპეტების და მაუზერისტების პარტია, მუდამ მუცელზე ხოხავდა მეფის სატრაპების წინაშე, ხოლო მშრომელებისადმი დამოკიდებულებაში ულმობელ სისასტიკეს იჩენდა და შავრაზმული შოვინიზმის პოლიტიკას აწარმოებდა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იგი ძალადობას მიმართავდა სომხეთის მშრომელთა ყველა ფენების მიმართ და უსაშინელეს პირობებს ჰქმნიდა. სამწუხაროდ, ის ახერხებდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შოვინიზმის შხამით მოეწამლა ხალხი, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, თავისი „ბატონობის" 2-3 წლის განმავლობაში.

ამრიგად, საბჭოთა სომხეთის მშრომელნი დღეს დღესასწაულობენ იმ ეროვნული შუღლისაგან განთავისუფლებას, რომელსაც ჰქმნიდა მეფის რეჟიმი და დაშნაკელთა საზიზღარი პარტია; სომხეთის მშრომელნი აღნიშნავენ ნგრევისაგან, „ცრემლის ველისაგან", ძარცვისა და სისხლისღვრელი ეროვნული შუღლისაგან განთავისუფლების ათი წლის თავის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ განთავისუფლების შედეგის უმაგალითო სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევანი და კულტურულ-ეკონომიური აღორძინება, ყოველივე ეს მიღწეულია მშრომელი მასების ღონისძიებებით, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის დროშის ქვეშ და ლენინური ბოლშევიკური პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით. საბჭოთა სომხეთის მაგალითის მიხედვით ერთხელ კიდევ აშკარა შეიქნა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მთელი სისწორე. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის დღესასწაულს და სწორედ ამიტომ განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავენ ამ დღეს როგორც საბჭოთა სომხეთის, ისე მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელი მასები. მაგრამ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც სცდილობს მიაფუჩეჩოს ეს ფაქტი. ცხადია, რომ ასეთი ხალხის პირველ რიგებში დგანან ისინი, ვინც სამუდამოდ გაძევებულია ჩვენი ქვეყნიდან—დაშნაკელები და მათი თანამოაზრენი. სასაცილო იქნებოდა დავა გაგვემართა ამ საკითხების ირგვლივ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ კლასობრივ მტრებთან—დაშნაკელებთან, მაგრამ ზედმეტი არ იქნება ორიოდე ფაქტით უკუვაგდოთ ყველა მათი „ცდები".

დაშნაკცუტუნი სცდილობს დაივიწყებას მისცეს ის ფაქტი, რომ იგი ამ.-კავკასიაში თამაშობდა მეფის სატრაპის აშკარა აგენტის როლს, რომ მისი ლიდერები მხოლოდ სიტყვიერად „იბრძოდნენ" (იბრძოდნენ-კი?) ცარიზმის წინააღმდეგ, ხოლო სინამდვილეში, როგორც ეს კოლონიალური ბურჟუაზიის უბადრუკ „რევოლიუციონურ" პარტიას შეეფერება, მუცელზე ხოხავდნენ ვორონცოვების წინაშე.

თუმცა ჩვენ ყველას გვახსოვს, მაგრამ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ამონაწერი დაშნაკცუტუნის ორგანოს „ჰორიზონ"-ის იმ სამარცხვინო მოწინავე წერილიდან, რომელშიაც იგი სალამს უძღვნიდა მეფე ნიკოლოზს კავკასიაში ჩამოსვლას მსოფლიო ომის პირველ დღეებში, დაშნაკცუტუნის ლიდერების ხელით „ჰორიზონ"-ი 1914 წლის 27 ნოემბერს სწერს: „**რაც უფრო ხშირად ექნება კავკასია ბედნიერება იხილოს თავისი ხელმწიფე, რაც უფრო ხშირად ექნება მას საშუალება გამოააშკარაოს მეფის წინაშე თავისი სურვილები და ზრახვები, მით უფრო მალე წარმატებით დაგვირგვინდება მისი (ე. ი. კავკასიის ა. ვ.) მისწრაფებანი**".

ასეთი ლაქიური და სულმდაბალი აბსოლუტურად მონარქისტული და შავრაზმული ორგანო ბედავს უწოდოს თავს სოციალისტური პარტიის ორგანო. ვის მოტყუებას ფიქრობენ დაშნაკელები, როდესაც სცდილობდნენ „რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით" დაფარონ თავიანთი აშკარა ფაშისტური, მონარქისტული ბუნება და კოლონიალურ ბურჟუაზიულ-ფაშისტური პარტიის ხასიათი. ისინი, ეხლა, რა თქმა უნდა, ვერავის ვეღარ მოატყუებენ, თვით საზღვარგარეთ მყოფ სომხეთა ფართო მშრომელ მასებს, რომლებსაც არა თუ მოუსმენიათ მათი სიტყვები, არამედ თავიანთ ზურგზედაც განუცდიათ დაშნაკური რეჟიმის მთელი სიმძიმე და ავანტიურისტული სისხლისღვრის საშინელებანი. დაშნაკელების „გმირები" და მმართველები, ხატისოვიდან აღბალიანებამდე, თუმცა ფრთხილად, მაგრამ მაინც სცდილობენ უარჰყონ ის ფაქტი, რომ მათი ბატონობის პერიოდში სომხეთში ადგილი ჰქონდა ძარცვა-გლეჯას, ნგრევას და ეროვნულ შუღლსა და სისხლისღვრას, მაგრამ აი მაგალითები მათი საკუთარი ნაწერებიდან: ვრაციანი „ჰარაჯ"-ის მოწინავე წერილში (1919 წ. № 24) სწერს: „იმ მხეცობას, რასაც თურქები სჩადიან, ემატება ჩვენი ბარბაროსობის მხეცობა, ასეთი ბარბაროსობაა სოფლის წურბლები და ძარცვა-გლეჯით ცხოვრების მსურველი სხვადასხვა პირები. ბევრ ადგილას ასეთ ბარბაროსობას ხელს უწყობენ და მონაწილეობასაც კი იღებენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები".

„სოფლად არ არსებობს არც კანონი და არც ხელისუფლება. სოფელი მიმინავს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, სხვადასხვა ბანდიტების ხელში. გლეხმა არ იცის, ვის მიმართოს და როგორ დაიცვას თავისი უფლებები. უქრთამოდ ვერაფერს გააკეთებ. ჩვენს გლეხს კი არა თუ ქრთამის გაღება არ შეუძლია, არამედ ბავშვებისათვის ლუკმა პურიც არ მოეპოვება".

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდნილა დაშნაკების დროინდელი სოფელი, როდესაც დაშნაკი ვრაციანიც კი აკრიტიკებს მდგომარეობას (რატომ იქნება ბ. ვრაციანი მარტო სოფელს, განა უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ ქალაქის მუშები და მშრომელნი?).

ნუ თუ დაივიწყებენ ქალაქის და სოფლის მშრომელნი, რომლებსაც თავიანთი ბავშვებისათვის ლუკმა პურიც კი არ მოეპოვებოდათ, და უფსკრულის პირას იყვნენ მისულნი, იმ უსაშინლეს დღეებს, რომლებიც შეჰქმნა დაშნაკელთა „ხელისუფლებამ".

მეორე შემთხვევაში „ცნობილი" ნიკოლ აღბალიანი „გაკვირვებას" გამოსთქვამს იმის გამო, რომ დაშნაკელების დროს „საკუთრებას უფრო აფასებდნენ, ვიდრე ადამიანის სიცოცხლეს". ხედავთ, როგორი როსკიპულ გულუბრყვილობას იჩენს აღბალიანი იმავე „ჰარაჯ"-ში (1920 წლის № 108); „საკვირველია, სახელმწიფო სახალხოა (კარგი სახალხო სახელმწიფოა! ა. ვ.), პარტია და პარლამენტიც სახალხოა (დაშნაკური პარტია და დაშნაკური პარლამენტი სახალხოა? ა. ვ.), სახელმწიფო ხალხის დამცველია, გლეხის ხარი და ცხვარი კი ჩალის ფასად იყიდება პურის შესაძენად, **მომაკვდავი ბავშვი პურის გამოცხობას ვეღარ უცდის და საკუთარ თითს სწოვს!** (ხაზი ჩემია. ა. ვ.), უნდა გამოჩნდეს თუ არა მტკიცე ხელი, რომელმაც ორმოებიდან ამოიღოს პური და ბოსლებიდან გამოიყვანოს პირუტყვი, რათა გაუნაწილოს გაჭირვებულთ"?

ამ თავიდან ბოლომდე იეზუიტურ და ცრუ წერილს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ აღბალიანებიც კი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ მათი ხელისუფლების დროს ბავშვები პურის უქონლობის გამო საკუთარ თითებს სწოვდნენ.

იმ ბავშვების უმრავლესობა, რომლებიც აღბალიანების მთავრობის დროს სიკვდილის პირას იყვნენ და საკუთარ თითებს სწოვდნენ, დღეს სწავლობს სომხეთის მრავალ უმაღლეს სასწავლებლებში, მუშფაკებსა და ტეხნიკუმებში, მუშაობს ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკის მკვირცხლ დაზგებთან, ძორაჰესში, ქანაქერჰესში და მრავალ სხვა ჰიდროელსადგურში, რომლებიც საბჭოთა სომხეთში შენდება.

ნუ თუ დაშნაკელები ფიქრობენ, რომ იმათ, ვინც სიკვდილის პირას იყო მისული, სრულებით აღარ ახსენდებათ ის შიმშილი, ის ნგრევა, ის სისხლისღვრა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, რომლებსაც აწყობდა დაშნაკური პარტია! როდესაც ამ მასებს დაშნაკელების დროინდელი საშინელებები აგონდებათ, ისინი აღშფოთებით მუშტს უღერიან დაშნაკელების ლიდერებს და მაუზერისტებს. ნუ თუ დაშნაკელები ასე სულელი და გულუბრყვილონი არიან! ან რაღა უნდა გააკეთოს დაშნაკცუტუნის პარტიამ, რომელსაც „გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენია", რომელმაც რის დანგრევაც კი შეიძლებოდა, თავის დროზე უკვე დაანგრია და დააქცია, რა ძალადობის და სისხლისღვრის ჩადენაც კი შეიძლებოდა, უკვე ჩაიდინა. და მართლაც, ამ მიმართულებით მას გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენია. და სწორედ ამიტომ შექმნილი მდგომარეობის გამო აღშფოთებულმა მასებმა გააძევეს დაშნაკცუტუნი სომხეთიდან და ჯვარი დასწერეს ამ პარტიისა და კაპიტალიზმის ბატონობას.

მეტი „აღიარება" და ფაქტები აღარ გვესაჭიროება. მოვიდა ის მტკიცე ხელი (რა თქმა უნდა, არა ის იმპერიალისტური ხელი, რომელზედაც აღბალიანები ოცნებობდნენ), რომელმაც არა თუ ამოიღო ორმოებიდან პური, არამედ შესძლო უმაგალითო შემოქმედებითი აღფრთოვანების შექმნა ახალი ცხოვრება მშრომელი მასებისათვის, რომელმაც შესძლო ელექტროფიკაციის შუქით გაენათებია სომხეთის გაწამებული სოფლები და ტრაქტორების და მანქანების საშუალებით წინ წაეწია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიადი საქმე. ის მტკიცე ხელი იყო პროლეტარიატის ხელი, რომელიც უღელში, სწედა აღვირახსნილ მაუზერიზმს და 1920 წლის ნოემბრის დღეებში დაამხო კაპიტალიზმის თავგამოდებული დამცველნი. აქ შეიძლებოდა რამოდენიმე ციფრის მოყვანა იმ უდიდეს მიღწევათა დასახასიათებლად, რომლებიც გვაქვს ამ ხელის მეოხებით, რომლებიც უსაზღვრო აღფრთოვანებას გვინერგავენ და რომლებიც ცხადყოფენ, რომ, ყველა დაბრკოლებების მიუხედავად, სოციალიზმის აშენება უზრუნველყოფილია სომხეთშიც. მაგრამ ამ ციფრების მოყვანა საჭირო აღარ არის, ვინაიდან ფართო მასებისათვის ისინი უკვე ცნობილია.

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით სომხეთის მშრომელთა დიდ დღესასწაულს, სოციალისტური რეკონსტრუქციის, მშენებლობის ტემპების და უდიდესი აღორძინების დიად მიღწევათა დღესასწაულს. ამ ქვეყნის გასაბჭოებამ ფართო გზა მისცა ამ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას. აღმოსავლეთის მიჯნაზე შეუდრეკლად სდგას საბჭოთა სომხეთი, რომელიც ლენინური შეუდრეკელობით, ბოლშევიკური აღფრთოვანებით აგებს თავისი ახალი ცხოვრების სოციალისტურ შენობას, ამაგრებს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლებს, აცავა სოციალისტური მშენებლობის დროშას ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად. და თუ კლასობრივი მტრები, იმპერიალისტი ინტერვენტები, მაუზერისტთა პარტია დაშნაკცუტუნი და მათი თანამოაზრენი გაბედავენ სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ და იარაღი აღმართონ საბჭოთა სომხეთზე და მის მიღწევებზე, დეე ახსოვდეთ, რომ მათ საქმე ექნებათ არა მარტო სომხეთის პროლეტარიატთან, არამედ მთელი დიადი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთანაც. ვერავინ ვერ შესძლებს ჩაშალოს თუნდაც ერთი დარგი ჩვენი მშენებლობისა, რომელიც სწარმოებს ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგებით, ლენინის პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ფოლადისებური ხელმძღვანელობით, ცენტრალური კომიტეტის, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. სტალინი.

როგორც საბჭოთა სომხეთის, ისე მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელნი, განაგრძობენ თავიანთ ძლევამოსილ გზას. ბოლშევიკური ტემპით ყველა ფრონტებზე, რა ხრიკებსაც არ უნდა მიმართავდნენ ჩვენ წინააღმდეგ იმპერიალიზმის მავნებელი ძალები, რამდენიც არ უნდა იჩურჩულონ ჩვენში მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებმა, კლასობრივი მტრის ამ უბადრუკმა აგენტებმა პარტიის რიგებში.

უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. უფრო და უფრო გავაძლიეროთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიური ბაზა, გავაძლიეროთ ცეცხლი ნაციონალისტური განწყობილებების და უწინარეს ყოვლისა მთავარი საფრთხის— დიდმპყრობელობის წინააღმდეგ, აგრეთვე ჩვენთვის განსაკუთრებით საზიზღარი ადგილობრივი ნაციონალიზმისა და დაშნაკიზმის სხვადასხვა ვარიანტებისა და ნაშთების წინააღმდეგ. ამ ბოლშევიკურ ლენინურ გზებზე უზრუნველყოფილია მსოფლიო პროლეტარიატის, საბჭოთა კავშირის, კერძოდ საბჭოთა სომხეთის პროლეტარიატის და გარდაქმნის გზაზე დამდგარი სოფლის მშრომელთა საბოლოო გამარჯვება. უფსკრულ მეფის დროინდელ, კოლონიალურ, ჩამორჩენილ სომხეთს, აჰარონიანისა და ვრაციანის მიერ შიმშილის ბრჭყალებში მოქცეულ სომხეთს, ისტორიული „ცრემლის ველის" სომხეთს, სომხეთის პროლეტარიატი, მისი პარტია და ამ პარტ. ცენტ. კომიტეტი უპირისპირებს სოციალისტური მშენებლობით აღფრთოვანებულ, კულტურული მშენებლობის გზაზე შემდგარ, თავისუფალ და დამოუკიდებელ საბჭოთა სომხეთს, რომელიც დიდი საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენს.

ალ. ვარდანიანი.

„ალავერდი.—ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის სპილენძის ქარხანა

საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები პროლეტარულ სასამართლოს წინაშე

26 ნოემბრის საღამოს სხდომა

ბრალდებულ ჩარნოვსკის ჩვენება

მოსკოვი, 28 ნოემბერი. კალინიკოვის შემდეგ 26 ნოემბრის საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულ **ჩარნოვსკის** დაკითხვა. ჩარნოვსკიმ ილაპარაკა თავისი შესვლის შესახებ მავნებელთა ცენტრში 1927 წელს და ამ ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ. შემდეგ ის დაწვრილებით ჩერდება სამრეწველო პარტიის კავშირზე უცხოეთთან. მავნებლებს ძალიან იზიდავდნენ ისინი, ვინც სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტში იყო. ამ კომიტეტის ზურგს უკან იდგნენ უფრო მძლავრი ძალები, პირველ რიგში საფრანგეთი თავისი ფინანსიური და ტექნიკური დახმარებით და გენერალური შტაბით. უშუალო შემსრულებლად კი უნდა ყოფილიყვნენ პოლონეთი, ფინეთი და ლიმიტროფები. ეს მტკიცედ წარმოთქმული სიტყვები დიდ აღშფოთებას იწვევს დარბაზში. თავმჯდომარე იძულებულია მოითხოვოს—დაიცვან სიწყნარე.

შემდეგ ჩარნოვსკი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებაზე პირდაპირი გავლენის მოხდენა და გარეშე ძალების თავდასხმა ძირითადი მიზეზი იყო კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის შექმნისა, რომელმაც მიზნად დაისახა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ჩარნოვსკი ადასტურებს, რომ გლეხური მეურნეობის მიმართ გეზი აღებული იყო ღონიერ გლეხზე. ჩარნოვსკი ამბობს, რომ ამას მეტად დაჟინებით მოითხოვდა სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი.

სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებამ,—ამბობს ჩარნოვსკი,—„სამრეწველო პარტიის" წინაშე დასახა ინტერვენციის დაჩქარების საკითხი. აქ იგი მეტად დაწვრილებით ჩერდება საგეგმო მუშაობის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ შექმნილ იქნა მთელი მავნებლური სისტემა. ადგენდნენ გადაჭარბებულ ანგარიშებს. იმპერიალიზმის აგენტები სცდილობდნენ სახელმწიფო ჩაეთრიათ დიდი თანხების უნაყოფო ხარჯვაში. ამზადებდნენ ახალი წარმოებების პროექტების შედგენას. ჩარნოვსკის ხელში გაიარა 200-ზე მეტმა პროექტმა. ყოველი პროექტი ხუთჯერ და მეტჯერ იცვლებოდა. ორთქლმავლების სამშენებლო ქარხნები და გაერთიანებული წარმოებანი წლობით მოელოდნენ რეკონსტრუქციას. ვარიანტები ათობით მუშავდებოდა და საბოლოოდ არც ერთი არ დამტკიცებულა. მავნებლები აფერხებდნენ სვერდლოვსკისა და კრამატორსკის მანქანათსაშენი ქარხნების მშენებლობას, ამ ქარხნებს კი თვალსაჩინო როლი უნდა ეთამაშათ სამთო მრეწველობისათვის მოწყობილობის მიწოდებაში.

სასამართლოს თავმჯდომარე ეკითხება — რითი აიხსნება დეფექტები სხვადასხვა ოლქების დაგეგმვაში.

ჩარნოვსკი უპასუხებს, რომ ამ მხრივ გავლენას ახდენდა მავნებელ ინჟინერთა ცენტრი, რომელიც მავნებლურ დირექტივებს იძლეოდა.

ამის შემდეგ ჩარნოვსკი ეხება იმ დავალებებს, რომლებიც მიღებულ იქნენ საფრანგეთის გენერალური შტაბისაგან. ეს დავალებები შეეხებოდნენ მავნებლობას მრეწველობის სხვადასხვა დარგში. მათში მოქცეული იყო ის მრეწველობაც, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების თავდაცვისათვის. სადივერსიო დავალებების მიზანს შეადგენდა ელექტრომომარაგების, ტრანსპორტისა და სატელეგრაფო კავშირის დეზორგანიზაცია. კაპიტალის ერთ წერტილზე გაყინვის ტიპიურ ცდას წარმოადგენს ახალი სორმოვო, მაგრამ ამ ცდას არ მოჰყოლია პრაქტიკული შედეგი.

ამით გათავდა საღამოს 11 საათზე უზენაეს სასამართლოს სპეციალურ საკრებულოს სხდომა.

27 ნოემბრის დილის სხდომა

გრძელდება ჩარნოვსკის ჩვენება

ბრალდებული ჩარნოვსკი განაგრძობს ჩვენების მიცემას. ჩარნოვსკი გადადის თავის პირად მონაწილეობაზე მავნებლურ მუშაობაში და ჩერდება მავნებლური მუშაობის მეთოდებზე. „მე ბრალს ვდებ ჩემს თავს და ჩემს ამხანაგებს იმაში, რომ ჩვენ, ვისახავდით რა მავნებლურ მიზნებს, ისე ვაყენებდით საკითხს, რომ მშენებლობის რაიმე გეგმების მაქსიმუმს და მინიმუმს არ ვამყარებდით არავითარ ანგარიშებზე. ასეთი შეგნებული პასუხისმგებლობა ინჟინრების მხრით ნაკარნახევი იყო მავნებლური ორგანიზაციის მიერ. ბურჟუაზიული ინჟინრობის ზედა ფენას სამრეწველო მშენებლობა არ მიაჩნდა საკუთარ საქმედ, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ინტერესები, ამიტომ იგი ბუნებრივად მოექცა მავნებელი ინტერვენტების ბანაკში. შემდეგ ჩარნოვსკი ხაზგასმით აღნიშნავს: თვითეული ინჟინერი, რომ გამსჭვალული ყოფილიყო მორალური პასუხისმგებლობის გრძნობით, მაშინ საკითხი მავნებლობის შესახებ არ წამოიჭრებოდა. ჩარნოვსკიმ აღნიშნა, რა როლს თამაშობდა იგი სამრეწველო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, როგორც შუამავალი სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტსა და ლითონის მრეწველობის მავნებელთა ორგანიზაციას შორის. ჩარნოვსკი თავისი ჩვენების ბოლო ნაწილში ამბობს:

„ვცნობ რა თავს დამნაშავედ, მე სრულებითაც არ ვცდილობ შევამსუბუქო ჩემი დანაშაული. მე მიმძიმს გამოვტყდე, რომ ინჟინრები და მეც მათ შორის დავშორდით ხელმძღვანელობის საუცხოვო როლს სამრეწველო რეკონსტრუქციის დიად საქმეში, იმ რეკონსტრუქციის, რომელიც ესოდენ ფართო მასშტაბით სწარმოებს და ეს როლი გავცვალეთ კაპიტალის მსახურთა როლზე და იარაღად გადავიქეცით მტრული გარემოცვის ხელში".

ბრალდებულ კუპრიანოვის ჩვენება

კუპრიანოვიც თავს დამნაშავედ აღიარებს. იგი მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას საფეიქრო მრეწველობაში. კუპრიანოვის სიტყვით, ეს მავნებლური მუშაობა საფეიქრო მრეწველობაში დაიწყო ჯერ კიდევ 1919 წელს. ლოპატინმა, რომელსაც კავშირი ჰქონდა საფეიქრო საწარმოების ყოფილ პატრონებთან, ინჟინრებს ამოცანად დაუსახა წარმოებების შენარჩუნება. საჭირო იყო წინააღმდეგობა გაეწია მანქანების ერთი ფაბრიკიდან მეორეში გადატანისათვის. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ მავნებლურ მუშაობას სხვა მიმართულება მიეცა. საჭირო გახდა ფაბრიკების შეკეთება, რომ ისინი შემდეგში იჯარით გადასცემოდა ყოფილ პატრონებს. ამ დროს ჩამოყალიბდა საფეიქრო მრეწველობაში მავნებლური ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ ლოპატინი, ფედოტოვი, დერჟავინი, კუპრიანოვი, კირპოტენკო, კოლცოვი და სიტნინი.

კუპრიანოვი შემდეგ დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, რა საშუალებებით აწარმოებდა მავნებელთა ჯგუფი რამდენიმე წლის მანძილზე მავნებლურ მუშაობას საფეიქრო მრეწველობაში. ეს მავნებლობა გამოიხატებოდა ისეთი ფაბრიკების მშენებლობაში, რომლებიც არ იყო საჭირო, ხანგრძლივი დროისათვის გათვალისწინებულ კაპიტალურ ხარჯებში, ნედლეულის არა რაციონალურად გამოყენებაში, ისეთი ქსოვილების ასორტიმენტის დასამზადებლად, რომლებიც არ შეეფერებოდა ბაზრის მოთხოვნილებას, ჩვენი ქვეყნის შიგნით საფეიქრო მანქანათ-მშენებლობის შეფერხებაში, საიმპორტო მოწყობილობის შემოტანაში და მავნებლობაში 5-წლიანი გეგმის შედგენის დროს. თუ რა როლს თამაშობდა კუპრიანოვი ინტერვენციის მომზადებაში, ამის შესახებ იგი ახალს არაფერს ამბობს და იმეორებს იმას, რაც უკვე სთქვეს წინად სხვა ბრალდებულებმა.

ბრალდებულ ფედოტოვის ჩვენება

ბრალდებული პროფესორი ფედოტოვი, საფეიქრო - სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის კოლეგიის თავმჯდომარე თავის ჩვენებას იწყებს საფეიქრო მრეწველობაში მავნებელთა ჯგუფების შექმნის და მათი მუშაობის მეთოდის დახასიათებით. ყველაზე უფრო გავლენიანი მავნებლური ჯგუფი საფეიქრო მრეწველობაში იყო ის ჯგუფი, რომელიც ბამბის ქსოვილების მრეწველობაში მუშაობდა. ეს ჯგუფი დაარსა 1920 წელს ინჟინერმა ლოპატინმა. თავდაპირველად ჯგუფი მიზნად ისახავდა ინჟინერთა მატერიალური ინტერესების დაცვას, ფიქრობდნენ, რომ ჯგუფში შემავალი ინჟინრები შეთანხმდებოდნენ სხვა საკითხებშიაც, რომლებიც საფეიქრო მრეწველობის ცალკე დარგებში წამოიჭრებოდა, რათა ერთსულოვნად გამოსულიყვნენ და არ შეელახათ ერთმანეთის ავტორიტეტი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ჯგუფის ამოცანები არც ისე მარტივი იყო და რომ მას აუცილებლად მოუხდებოდა მხარი დაეჭირა უცხოელი კაპიტალის ინტერესებისათვის და მიეცა საშუალება ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი პატრონებისათვის კვლავ შემოსულიყვნენ რუსეთში კონცესიონერების სახით. განსაზღვრული დროს გავლის შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ იმედები ფართო კონცესიებზე არ მართლდება, ჯგუფში, მისი ორგანიზატორის ინჟინერ ლოპატინის გავლენით, მიღებულ იქნა ის აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა იმ იდეებისა და მიმართულებისათვის ყოველნაირად მხარის დაჭერა, რომლებიც ცნობილია „მემარჯვენე გადახრის" სახელწოდებით. ის იდეები, რომლებსაც ამ გადახრის წარმომადგენლები ქადაგებდნენ, იმდენად შესაფერისად გვეჩვენებოდა ჩვენი მიზნებისათვის, რომ ამ იდეებისათვის მხარის დაჭერა სასურველად და აუცილებლად იყო მიჩნეული. ამ თვალსაზრისით ჩვენ ვცდილობდით გამოგვეყენებინა პრესაში ჩვენი გავლენა—დაწესებულებათა პასუხისმგებელი ხელმძღვანელების გავლენა, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო, პრაქტიკული გაკვეთილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა საზოგადოებრივი აზრისათვის, რომ მემარჯვენე გადახრა სწორად აფასებს მდგომარეობას და რომ პარტიის გენერალური ხაზი მარცხდება, მაგრამ იმისათვის, რომ იგი ნამდვილად დამარცხებული ყო, ჯგუფის ხელმძღვანელების აზრით, საჭირო იყო გარკვეული ზომების მიღება. აქ დაიწყო მავნებლობა.

რაში გამოიხატებოდა მავნებლობა? თავდაპირველად საფეიქრო ჯგუფის მავნებლებს აზრად არ მოსვლიათ შეეფერხებინათ მშენებლობა, პირიქით, მიუხედავად პარტიის მითითებისა, უმთავრესად ლითონის მრეწველობის განვითარების აუცილებლობაზე, მავნებლები ყოველნაირად ცდილობდნენ საფეიქრო დარგის მშენებლობის განვითარების დაჩქარებას. ასეთი მიმართულება სავსებით ეთანხმებოდა იმას, რასაც შემარჯვენე უკლონისტები მოითხოვდნენ. მავნებლობა გამოიხატებოდა აგრეთვე იმ საქონლის არა სწორად შერჩევაში, რომელიც საფეიქრო ფაბრიკებში უნდა დამზადებულიყო, მაგრამ შემდეგ უცხოეთიდან ცენტრალური საბჭოს მეშვეობით მიღებული დირექტივების თანახმად, მავნებლობა დაიწყო გეგმების დარღვევის ხაზით. გეგმები იმგვარად უნდა შედგენილიყო, რომ მრეწველობის ყოველ დარგში ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ შეუსაბამობას. შეუფარდებლობას ნედლეულსა და წარმოებას შორის, აგრეთვე სხვადასხვა საამქროების შეუფარდებლობას წარმოებაში, რასაც საგეგმო მავნებლობა გამოიწვევდა, შედეგად უნდა მოჰყოლოდა ფაბრიკების შეჩერება და იმ საქონლის რაოდენობის შემცირება, რომლის მოთხოვნილებაც ბაზარზე იყო. ასეთ მდგომარეობას თავის მხრით მუშებსა და მთელ მოსახლეობაში უნდა გამოეწვია უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ბრალდებული დაწვრილებით ახასიათებს საფეიქრო მრეწველობის მავნებლური ორგანიზაციის ცალკე ხელმძღვანელი წევრების როლს და განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის მუშაობა მთავარ მიზნად ისახავდა ხუთწლედის გეგმების და ყოველწლიური საკონტროლო ციფრების საწარმოო პროგრამის ჩაშლას. მავნებლური ორგანიზაციის ფულადი სახსრები შესდგებოდა ნაციონალიზაციაქმნილი ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი პატრონების მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ თანხებიდან და საკურტაჟო ანარიცხებიდან, ე. ი, როგორც თვითონ ფედოტოვმა აღიარა, „არსებითად ქრთამისაგან", რომელსაც ორგანიზაცია ღებულობდა მოწყობილებაზე და ნედლეულზე ჩვენი დაკვეთების შემსრულებელ უცხოეთის ფირმებისაგან.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ბრალდებულის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც გვიხატავს თეთრი ემიგრაციის სურვილებს ინტერვენციის შესახებ. თეთრგვარდიელთა ბანაკში ინტერვენციის იდეა არასოდეს არ გამქრალა. ემიგრანტების შეხედულებებს ამ საკითხის შესახებ, ბრალდებული კარგად იცნობს იმ ლაპარაკიდან, რომელიც მას ჰქონდა უცხოეთში მივლინებების დროს სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენლებთან კარპოვთან. 1925 წელს სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის მონაწილეთა შორის უკვე შეიქმნა მტკიცე რწმენა ინტერვენციის შესაძლებლობის შესახებ. მთელი საქმე, როგორც მათ ეჩვენებოდათ, მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ინტერვენციის განსახორციელებლად მოეხდინათ შესაფერი წინასწარი მზადება როგორც საბჭოთა კავშირის შიგნით, ისე მის გარეთ. სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი ასრულებდა ამოცანას—დაემტკიცებინა კაპიტალისტური ევროპის საზოგადოებრივი აზრისათვის ინტერვენციის აუცილებლობა მისივე ინტერესების სასარგებლოდ, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ზრდისა და განმტკიცების მაგალითი დიდ ცდუნებას წარმოადგენს დასავლეთის მუშებისათვის. ემიგრანტების იმედები ინტერვენციის შესახებ, რაც თავდაპირველად ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, დროთა მსვლელობაში სავსებით დამთავრებულ ფორმაში ჩამოყალიბდნენ.

„1928 წლის აგვისტოში,—განაგრძობს ბრალდებული ფედოტოვი,—როცა ბერლინში ვიყავი, ჩემს სანახავად იქ ჩამოვიდა კარპოვი. მან მაცნობა, რომ ინტერვენცია არა თუ შესაძლებელია, არამედ იგი განხორციელდება კიდეც, ინტერვენციას უკვე ამზადებს საფრანგეთის გენერალური შტაბი. კარპოვმა გადმომცა, რომ პუანკარემ მიიღო სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის დეპუტაცია, რომელიც შესდგებოდა მისი სამი ცნობილი წარმომადგენლისაგან: ლიანოზოვის, რიაბუშინსკის და ტრეტიაკოვისა. გან. კარპოვმა მითხრა, რომ ამ საკითხის დეტალების დამუშავება დაევალა სპეციალურ კომისიას საფრანგეთის გენერალურ შტაბთან პოლკოვნიკ ჟუანვილის ხელმძღვანელობით. ბერლინში კარპოვის ჩამოსვლის მიზანს შეადგენდა ის, რომ ჩემი საშუალებით „სამრეწველო პარტიისათვის" მიეცა გარკვეული დირექტივები და მითითებები იმ წინასწარ პირობებზე, რომლებიც აუცილებელია ინტერვენციის განსახორციელებლად მისი სიტყვით, ინტერვენცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირში ამისათვის მომზადდება ნიადაგი და თუ გამოაშკარავდება გარკვეული უკმაყოფილება მუშებს შორის, სასურველია გლეხებს შორისაც. კარპოვმა გამოსთქვა იმედი, რომ ამ მიზნის მისაღწევად საფეიქრო მრეწველობის ინჟინერთა ორგანიზაცია, [illegible], ინჟინერთა ორგანიზაციების კავშირი მთლიანად, უფრო ენერგიულ მავნებლურ ზომებს მიიღებენ, ვინაიდან იმ მუშაობას, რომელსაც ისინი მანამდე აწარმოებდნენ, ინტერვენტები სრულიად არა დამაკმაყოფილებლად სთვლიდნენ, კარპოვს საჭიროდ მიაჩნდა ზომების მიღება პროდუქციის გამოშვების შესამცირებლად თვით ფაბრიკებში, ე. ი. წარმოების შეფერხება. კარპოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ინტერვენციით დაინტერესებულნი არიან კაპიტალისტური ქვეყნების არა მარტო მთავრობის წრეები, არამედ საქმიანი წრეებიც, რომლებიც უფრო და უფრო მეტად არიან შეშფოთებულნი საბჭოთა კავშირის ეკონომიური სიძლიერის განუწყვეტელი ზრდით. კარპოვი ამბობდა, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ პერიოდს, როცა საჭიროა შეუდგეთ ინტერვენციასაც. ამ ინტერვენციის დრო დადგა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ძალა უკვე თვალწინ გვაქვს, ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება მალე განვახორციელოთ ინტერვენცია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სრულიად შეუძლებელი შეიქნება".

თავისი ჩვენება ინტერვენციის გეგმის შესახებ ფედოტოვმა დაამთავრა დაგვიანებული მონანიებით და „გულუბრყვილობაზე" მითითებით (როგორც თვითონ ამბობს), რომელიც მან გამოიჩინა, რადგან ფიქრობდა, რომ ინტერვენტები თავიანთი დახმარებისათვის დაკმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ხელსაყრელი კონცესიებით, არ დაანგრევდნენ რუსეთს და არ ჩამოაჭრიდნენ მას ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაწილს.

27 ნოემბრის საღამოს სხდომა

გრძელდება ფედოტოვის ჩვენება

საღამოს სხდომაზე ახსნა-განმარტების მიცემას განაგრძობს ბრალდებული ფედოტოვი. იგი არ ზოგავს ფერადებს იმ ბნელი საქმის დასახასიათებლად, რომლის განხორციელებასაც ფიქრობდნენ ბრალდებული და მისი თანამებრძოლნი საბჭოთა ქვეყნის მიმართ.

ამგვარად,—დასკვნის თავის ჩვენებას ფედოტოვი,—არსებითად პატარა ორგანიზაციიდან, რომელიც ერთ გარკვეულ დარგში მუშაობდა, ჩვენ მივედით „სამრეწველო პარტიასთან" კავშირის დამყარებამდე. რომელიც ბევრად უფრო ფართო მიზნებს და ამოცანებს ისახავდა. ჩვენ თანდათან მივედით სახელმწიფო ღალატამდე და ინტერვენციის აღიარებამდე, მასთან ისეთი ინტერვენციის, რომელსაც რუსეთი უნდა დაენგრია. აი ის გზა, რომელიც თანდათან განვლეთ ჩვენ ყველამ და ყველაზე მეტად მე, რომელიც „სამრეწველო პარტიის" ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი".

ბოროტმოქმედების გზაზე ბრალდებულის, მისი სიტყვით, დააყენა ჯგუფურმა ფსიქოლოგიამ და მის გარშემო არსებულ წრის ზეგავლენამ. მაგრამ პატიმრობაში ყოფნის დროს მან ბევრი რამ შეიგნო. ფედოტოვმა უწინარეს ყოვლისა შეიგნო, რომ საბჭოთა ხელისუფლება—ხალხის ხელისუფლებაა და რომ ყველა ისინი, თვით მეცნიერები და საჭირო ხალხიც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიან, წინასწარ განწირულნი არიან. ბრალდებული მეტად მხატვრულად ახასიათებს იმ ბრწყინვალე პერსპექტივებს, რომლებიც იშლება საბჭოთა ქვეყნის წინაშე მოწინავე ტექნიკისა და ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებული მასების უდიდესი შემოქმედებითი ენთუზიაზმის შეთანხმებით. მას არ ავიწყდება აგრეთვე მოიხსენიოს ის, თუ რა ხათუთად ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლება მეცნიერებასა და მის პატიოსან წარმომადგენლებს.

თავის ახსნა-განმარტებას ფედოტოვი ამთავრებს სიტყვებით: „მე დამნაშავედ ვცნობ თავს ყველაფერში და ვფიქრობ, რომ ყოველგვარი სასჯელი, რომელსაც სასამართლო მომისჯის, სავსებით დამსახურებული და აუცილებელი იქნება ჩემი დანაშაულის გამოსასყიდად. თუ შეიძლება იმედი ვიქონიო მუშაობაზე, მე აღთქმას ვდებ—მთელი ჩემი ძალები მოვახმარო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და ჩემი დანაშაულის გამოსწორებას. თუ ეს შეუძლებელია, გადაწყვეტილ სასჯელს შევხვდები იმის სრული შეგნებით, რომ მე იგი დავიმსახურე".

ბრალდებულ ოჩკინის ახსნა-განმარტება

„მე,—აცხადებს ოჩკინი,—დამნაშავედ ვცნობ თავს ჩემ მიერ ჩადენილ ყველა ბოროტმოქმედებაში, რომლის შესახებაც ლაპარაკია საბრალმდებლო დასკვნაში". „სამრეწველო პარტიაში" ოჩკინი შეიყვანა რამზინმა. თავისი მუშაობით თბოტექნიკურ ინსტიტუტში და თავისი როლით, რომელსაც იგი თამაშობდა „სამრეწველო პარტიის" ცენტრალურ კომიტეტთან და მოსკოვში მყოფ საფრანგეთის აგენტებთან— კ. და რ.-სთან ურთიერთობის დროს, ბრალდებულს მჭიდრო კავშირი ჰქონდა რამზინთან. მოსალოდნელი იყო, რომ ოჩკინი უზენაეს სასამართლოს უფრო დაწვრილებით გააცნობდა თავის მონაწილეობას „სამრეწველო პარტიის" დანაშაულებრივ ზრახვებში. მაგრამ იგი პირველ სიტყვებიდანვე იბნევა, იმეორებს ძველი ინჟინრების, უმთავრესად მათი ზედაფენის დახასიათებას, რომელიც მოცემულია სხვა ბრალდებულთა ჩვენებებში. ეს ზედაფენა ძალიან შიშობდა დაეკარგა გავლენა ინჟინერთა მასებზე, ვინაიდან სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარება ინჟინრებს უმრავლესობას აუცილებლად განუმტკიცებდა რწმენას ამ მშენებლობის გამარჯვებაში. რაღა დარჩენოდათ ინჟინერთა ცენტრის აგიტატორებს? ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყოველგვარი სიძნელე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, რათა დაემტკიცებიათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ ძალუძს გადასწყვიტოს სახალხო მეურნეობის განვითარების რთული ამოცანები. ისინი განსაკუთრებით ადვილად დასარწმუნებელ სპეციალისტებს უნერგავდნენ იმ აზრს, რომ ჩვენ ქვეყანაში ბურჟუაზიული წყობილების დამყარებით ინჟინრები კვლავ დაიჭერდნენ მბრძანებელ ადგილს. იმსხვრეოდა აქაც რიაბუშინსკების, გუკასოვების და დენისოვების უკანასკნელი იმედები. მაშინ სამრეწველო პარტიას მოუვიდა დირექტივა—გაეძლიერებია მავნებლური მუშაობა, პირველ ყოვლისა, ენერგეტიული მეურნეობის დარგში. ოჩკინი ახალ ცნობებს უმატებს რამზინის და ლარიჩევის ჩვენებებს. მავნებელთა ღონისძიებები მიმართული იყო არა მარტო იქეთკენ, რომ ჩაეშალათ მუშაობა დონეცის და კუზნეცკის ბასეინებში, არამედ იქითკენაც, რომ შეეფერხებინათ ადგილობრივ სათბობზე გადასვლა. ამით აიხსნება ის, რომ ამ სათბობის გამოსაყენებლად ჩვენ არ გვქონდა საჭირო კონსტრუქციები და ქარხნები მათი მასიური დამზადებისათვის. „სამრეწველო პარტიის" მავნებლები არ ზოგავდნენ ძალებს, რათა შეეფერხებინათ მუშაობა რაციონალიზაციისა, კადრების მომზადებისა და სასარგებლო სამეცნიერო გამოგონებათა რეალიზაციისათვის.

„სამრეწველო პარტიის" ძირითადი გეზი

სამრეწველო პარტიას,—ამბობს ოჩკინი,—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში არ შეეძლო საკუთარ ძალებზე დაემყარებია იმედი, მას არ შეეძლო არ შეეგნო, რომ მშრომელი გლეხური პარტიის დახმარებითაც ვერ მოახერხებდა თავის მიზნების განხორციელებას. ამიტომ იგი მივიდა შემდეგ დასკვნამდე—აწარმოოს დივერსიული მუშაობა ხელსაყრელი ნიადაგის მოსამზადებლად ინტერვენციისათვის და გააბას მჭიდრო კავშირი უცხოეთის კონტრ-რევოლუციონურ წრეებთან. 1929 წლის დამლევს რამზინმა აცნობა ოჩკინს, რომ ინტერვენცია გადადებულია 1930 წლის ან 1931 წლის დამლევისათვის.

ოჩკინი შეჩერდა უცხოეთის აგენტებთან კავშირზე, 1928 წელს მან რამზინისაგან შეიტყო, რომ დამყარებულია კავშირი საფრანგეთის მთავრობის წრეებთან მათი აგენტის კ.-ს საშუალებით, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა. ერთხელ, 1928 წლის დამლევს, რამზინმა თავისი სამსახურის კაბინეტში მოიწვია ოჩკინი და გააცნო მას (გამოტოვებულია) კ. რამზინმა წინადადება მისცა ბრალდებულს—იქონიოს კავშირი ამ უცხოელ აგენტთან. ერთი თვის შემდეგ რამზინმა კვლავ მიიწვია ოჩკინი თავის კაბინეტში და გადასცა მას პაკეტი კ.-სთვის. იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე, მთავარ ფოსტის შენობის მახლობლად, მიასნიცკის ქუჩაზე ოჩკინმა გადასცა ეს პაკეტი აგენტს. ორი თვის შემდეგ რამზინმა კვლავ გადასცა ოჩკინს პაკეტი, რომელიც მან ჩააბარა კ.-ს სვერდლოვის მოედან. „მეტროპოლ"-ის მახლობლად. შემდეგ ოჩკინი გაეცნო საფრანგეთის მეორე აგენტს რ.-ს. პირველი შეხვედრა ამ უკანასკნელთან მოხდა რამზინის ბინაზე 1928 წლის ნოემბერში. ოჩკინს წინადადება მიეცა—მოაწყოს ექსკურსია ფრანგ ინჟინრების ჯგუფისათვის, მან ეს დავალება შეასრულა. რ.-ი ღებულობდა პაკეტებს რამზინისაგან ოჩკინის საშუალებით. ასე, მაგალითად, 1929 წლის თებერვალში მან რ.-ს გადასცა პაკეტი ინჟინერთა ასოციაციის შენობაში, შემდეგ კიდევ გადასცა ერთი პაკეტი, რომელიც მიიღო რამზინისა და კალინიკოვის მითითებით.

საიდუმლო საუბარი

ოჩკინს რ.-თან კიდევ ჰქონდა ერთი შეხვედრა. 1929 წლის ნოემბერში რამზინმა დაურეკა ბრალდებულს და სთხოვა ნება დაერთო მისულიყო მასთან. მალე რამზინი რ.-თან ერთად გამოცხადდა ოჩკინთან. ჯერ ლაპარაკი ჩამოვარდა ფრანგ ინჟინრების ექსკურსიაზე თბოტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ რამზინმა საუბარი გადაიტანა ინტერვენციის საკითხზე. ამ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ინტერვენცია გადადებულია 1931 წლამდე. რას ეხებოდა რამზინის და საფრანგეთის აგენტის შემდეგი საუბარი, ოჩკინმა არ იცის, რადგან მან დასტოვა ისინი. ნახევარი საათის შემდეგ რამზინი და აგენტი წავიდნენ ოჩკინის ბინიდან. ამ მომენტში რამზინმა რ.-ს გადასცა დიდი პაკეტი, რომლის შინაარსიც ბრალდებულმა ვერ შეიტყო.

მავნებლების და ინტერვენტების ბერკეტი

ოჩკინი თავის ჩვენებას ათავებს იმის აღნიშვნით, რომ „სამრეწველო პარტია" დღით-დღე რწმუნდებოდა იმაში, რომ იგი ვერ შესძლებს თავისი ამოცანების გადაჭრას და რომ მის იმედებს აქარწყლებენ მუშათა კლასის აღფრთოვანების გაძლიერება და სოციალისტური მშენებლობის წარმატება. როგორც არხიმედი ეძებდა დასაყრდენ წერტილს იმისათვის, რომ მთელი მსოფლიო გადაებრუნებინა, ისე „სამრეწველო პარტია" ეძებდა ბერკეტს თავისი მიზნების განსახორციელებლად. ასეთი ბერკეტი მისთვის აღმოჩნდა მავნებლობა და ინტერვენცია.

„საბჭოთა ხელისუფლებამ,—ამბობს ოჩკინი,—თავის დროზე აღმოაჩინა ეს შეთქმულება. ამ პროცესმა უნდა შეაჩეროს ბევრი ინჟინერი და აუხილოს მათ თვალი, პროცესმა უნდა აჩვენოს მათ ის გზა, რომელიც აირჩია (გამოტოვებულია), გამცემლობის გზა.

ბრალდებულ სიტნინის ჩვენება

სასამართლოს უკანასკნელად ჩვენებას აძლევს ბრალდებული სიტნინი. იგი, როგორც სხვა ბრალდებულები, სავსებით აღიარებს თავის დანაშაულს. სიტნინი აღნიშნავს, რომ იგი ფაბრიკის მოსამსახურის ოჯახიდან არის გამოსული და ამით ხსნის თავის გატაცებას „მემარცხენე იდეებით". ოქტომბრის რევოლუციამ მოუსწრო მას სართავი ფაბრიკის გამგის თანამდებობაზე ტვერში. მრეწველობის დანგრევამ ომისა და ბლოკადის წლებში აიძულა იგი ეჭვი შეეტანა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის შესაძლებლობაში. ეს სიტნინისათვის იყო იმის დასაწყისი, რომ მისულიყო მავნებლობამდე და ინტერვენციისათვის ხელის შეწყობამდე. თავის ჩვენებაში სიტნინი დიდ ადგილს უთმობს იმ გავლენას, რომელიც მასზე მოახდინა ლოპატინმა—მავნებლობის ამ ენერგიულმა იდეოლოგმა და ორგანიზატორმა. ინჟინრებისათვის გამოსავალს წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის ჩაშლა. საფეიქრო სინდიკატში, ბამბის მომარაგების განყოფილებაში სიტნინი აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას; მებამბეობის მთავარი კომიტეტის მავნებლებთან ერთად, იგი ცდილობდა შეედგინა გადაჭარბებული გეგმები, რამაც გამოიწვია დისპროპორცია საფეიქრო მრეწველობაში. მავნებლები იმის წინააღმდეგნი იყვნენ, რომ საფეიქრო ფაბრიკებში შემოეღოთ განუწყვეტელი სამუშაო კვირა და მუშაობის ამერიკული მეთოდები. სიტნინი აღიარებს, რომ მან ერთი მავნებლური მოქმედება კიდევ ჩაიდინა. საქმე იმაშია, რომ იგი ფედოტოვის ენერგიული თანამშრომელი იყო ოპერაციების განხორციელებაში მებამბეობის ინგლისურ ფირმებთან, რომლებიც მავნებლებს აძლევდნენ ნახევარ პროცენტ კურტაჟს. ეს ოპერაცია სიტნინმა ჩაატარა ამერიკაშიაც. იგი იქ მოელაპარაკა ზოგიერთ ფირმას, რომ გადაერიცხათ თანხები მავნებელთა სასარგებლოდ. ეს ანარიცხები, სიტნინის სიტყვით, აღწევდნენ ასი ათას მანეთს წელიწადში. ამერიკიდან გამობრუნების დროს სიტნინი შეჩერდა პარიზში, სადაც შეხვდა სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელებს, მათგან მან მიიღო ინფორმაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადების შესახებ. დასასრულ სიტნინი აცხადებს, რომ ერთი წლის წინად დაპატიმრებამდე, სოციალისტური მშენებლობის წარმატების ზეგავლენით, იგი თანდათან შორდებოდა ძველ იდეოლოგიას. ამჟამად მას სურს, თუ ეს შესაძლებელი იქნება, სავსებით ჩაება იმ შემოქმედებით მუშაობაში, რომლითაც გატაცებულია მთელი ჩვენი ქვეყანა.

უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულოს სხდომამ ცოტა ხნით შესწყვიტა და შემდეგ კვლავ განახლდა. ვინაიდან ზოგიერთმა ბრალდებულმა სასამართლოს მიმართა თხოვნით მიეცით მათ დამატებითი ახსნა-განმარტების საშუალება, სასამართლოს თავმჯდომარე ვიშინსკი სიტყვას აძლევს რამზინს.

ბრალდებულ რამზინის განცხადება

რამზინი აცხადებს, რომ, რადგან მისი ჩვენება მეტად ვრცელი იყო, მას გამორჩა რამდენიმე არსებითი გარემოება, რომელიც ეხლა უნდა დამატებით აღნიშნოს. ამ გარემოებებს შორის პირველია ის ფაქტი, რომ 1930 წლის ზაფხულში ბერლინში უნდა მომხდარიყო რამზინის შეხვედრა სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენელთან, დენისოვთან. მაგრამ ბერლინიდან გამგზავრების გამო, რამზინმა ვერ მოახერხა დენისოვთან შეხვედრა, რადგან ამ დროს ბერლინში იმყოფებოდა „სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის მეორე წევრი, სახელდობრ პროფ. ოსადჩი, ამიტომ დენისოვთან შეხვედრა მას დაევალა. ეს შეხვედრა რომ მომხდარიყო, მას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ინტერვენციის მომზადების შესახებ უკანასკნელი ცნობების მიღების მხრივ.

მეორე არსებითი გარემოება შეეხება, კოქსბენზოლის და ქიმიური მრეწველობის შესახებ ცნობების მიღებას საფრანგეთის გენერალური შტაბისათვის გადასაცემად. კრასვეცის და კამზოლკინის დაპატიმრების შემდეგ, „სამრეწველო პარტიის" ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰკარგა კავშირი მრეწველობის ამ დარგებთან. ამ ხაზით ინფორმაციის მიღების აღდგენა დაევალა ს.-დ. შეინს, ამ მიზნით რამზინმა შეინი გააცნო კ.-ს გაცნობა მოხდა 1929 წლის შუა რიცხვებში მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ცენტრალურ კომიტეტის ბიბლიოთეკაში.

რამზინის მესამე დამატება შეეხება „სამრეწველო პარტიის" მთავარი მავნებლური მუშაობის ჩაშლის მიზეზების ახსნას. ეს ჩაშლა აშკარა გახდა 1929 წლის დამლევს და 1930 წლის დასაწყისში. მუშათა კლასის გაძლიერებულმა აღფრთოვანებამ, რაც სხვათა შორის, გამოიხატა შემხვედრ სამრეწველო-საფინანსო გეგმების მოძრაობაში, ჩაშალა „სამრეწველო პარტიის" ყველა გეგმები და მავნებლობა ამ ხაზით. შემხვედრმა სამრეწველო-საფინანსო გეგმებმა გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს საგეგმო მავნებლობას და ბოლო მოუღეს „სამრეწველო პარტიის" მუშაობას ამ მიმართულებით.

რამზინის უკანასკნელი დამატებანი ნათელს ჰფენენ საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად ვრცელდებოდა „სამრეწველო პარტიის" გავლენა საბჭოთა კავშირის საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკებზე, ორი ათასი პირი, რომელიც, რამზინის აზრით, ამა თუ იმ სახით მოექცა „სამრეწველო პარტიის" გავლენის ქვეშ, შეადგენს საინჟინერო-ტექნიკური კადრების მთელი მასის 6-7 პროცენტზე არა უმეტეს. განწყობილებათა დახასიათება, რომელიც რამზინმა მოგვცა თავის პირველი გამოსვლის დროს, თავისთავად ცხადია, შეეხება ინჟინრების მხოლოდ ზედა ფენას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო სამრეწველო პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან.

ბრალდებულ ჩერნოვსკის განცხადება

დამატებით განმარტებას იძლევა აგრეთვე ბრალდებული ჩერნოვსკი. იგი განმარტავს, თუ რატომ არ იკრიბებოდა ე.-წ. საკონტაქტო ხუთეული, რომელიც დაარსდა მშრომელ გლეხთა პარტიასთან კავშირის დასაჭერად". „სამრეწველო პარტიის" ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა რამდენიმე სხდომა მშრომელ გლეხთა პარტიასთან ერთად და, თავისთავად ცხადია, ამ სხდომების დროს ხუთეულის მუშაობა ზედმეტი იყო. შემდეგ ჩერნოვსკი დაწვრილებით ეხება საკითხს თავისი კანდიდატურის შესახებ მომავალი მთავრობის წევრთა პირველ სიაში და აგრეთვე საკითხს იმ 800 ათასი მანეთის განაწილების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა საზღვარგარეთიდან ლითონის მრეწველობაში მავნებლობის მოსაწყობად.

ბრალდებულ კალინიკოვის განცხადება

კალინიკოვიც იძლევა განმარტებას იმ ფულის განაწილების შესახებ, რომელიც მან ლარიჩევისაგან მიიღო ქიმიურ-სამხედრო და ქაღალდის მრეწველობაში მავნებლობის მოსაწყობად. 100 ათასი მანეთი კრასვეცის და შეინის მეშვეობით მან გადასცა ქიმიურ მრეწველობაში გასანაწილებლად, 75 ათასი მანეთი ხრენიკოვის მეშვეობით გადასცა სამხედრო მრეწველობისათვის და 25 ათასი მანეთი მეიერის მეშვეობით — ქაღალდის მრეწველობისათვის. საფრანგეთის აგენტთან კ-თან შეხვედრის შესახებ კალინიკოვი ამბობს, რომ მასთან შეხვედრა მოხდა სულ ოთხჯერ—ერთხელ რამზინთან, ერთხელ თეატრში და ორჯერ ლარიჩევთან. გარდა ამისა, რამზინის შეხვედრას მეორე აგენტთან რ-თან დაესწრო ლარიჩევი, რომელმაც ამ აგენტს გადასცა მიმდინარე მასალა.

პროკურორ კრილენკოს გამოსვლა

უზენაეს სასამართლოს სპეციალურ საკრებულოს, მას შემდეგ, რაც მან მოისმინა ბრალდებულთა ახსნა-განმარტებანი, საბრალმდებლო დასკვნის გამო და მათი დამატებითი განცხადებანი, გადადის პროცესის შემდეგომი მსვლელობის წესის განხილვაზე. კრილენკო სახელმწიფო ბრალდების სახელით კითხულობს მე-282 მუხლს, რომელშიაც ნათქვამია, რომ „თუ ბრალდებული დაეთანხმა საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულ გარემოებებს, სწორად სცნო მისთვის წაყენებული ბრალდებანი და მისცა ჩვენებანი, სასამართლოს შეუძლიან აღარ მოახდინოს შემდგომი გამოძიება და გადავიდეს მხარეთა კამათზე".

მიუხედავად ამისა, კრილენკო ფიქრობს, რომ თუმცა ამ შემთხვევაში ბრალდებულებმა სავსებით აღიარეს დანაშაული, მაინც საქმის მრავალი გარემოება არ არის საკმაოდ გამორკვეული. ბრალდების განკარგულებაში არსებული მასალა იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ცალკე მომენტები ბრალდებულთა ახსნა-განმარტებაში არ შეეფერებიან სავსებით და აბსოლუტურად იმას, რაც იყო ნამდვილში. ამავე დროს ირკვევა, რომ ბრალდებულთა მავნებლური მუშაობის შინაარსი საშუალებას იძლევა წაუყენოთ მათ ბრალდება არა მარტო მე-58 მუხლის 3, 4, და 6 პუნქტების მიხედვით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლების მიხედვითაც. ამიტომ კრილენკო ბრალდების სახელით შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე გამოწვეულ იქნან მთელი რიგი მოწმეები, რომელთაც უნდა გააშუქონ „სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ზოგიერთი მხარე. ეს პირები, რომელნიც ბრალდებულთა მახლობელი თანამშრომელნი იყვნენ მავნებლურ მუშაობაში მრეწველობის ცალკე დარგებში, ამჟამად დაპატიმრებულნი არიან და ხდება მათი საქმის წინასწარი გამოძიება. ამხ. კრილენკო შუამდგომლობს გამოძახებულ იქნან მოწმეებად შემდეგი პირები: ა. ა. ნოლდე— საფეიქრო მრეწველობის ხაზით, ინჟინერი კირპოტენკო — ხელის მრეწველობის ხაზით, ლ. ნ. იუროვსკი — კონდრატიევის და ჩაიანოვის ჯგუფთან არსებული კავშირის საკითხების გამო, პ. ი. კრასოვსკი — ტრანსპორტის ხაზით, ინჟინრები: დ. მ. მიხაილენკო, პ. ვ. ციდლერი, რ. კ. სპარრო და ვ. პ. ხოროცინსკი გარდა ამისა, რამდენადაც ბრალდებულთა განმარტებებში „სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის წევრების სახით მოხსენიებულნი იყვნენ ყოფილ საზოგადოებრივი ბრალმდებელნი შახტის მავნებელთა პროცესზე ო. ს. ოსადჩი და ს. დ. შეინი, ამხ. კრილენკომ საჭიროდ მიაჩნია ოსადჩის გამოწვევა, ამასთან იტოვებს უფლებას გამოიწვიოს შეინიც, თუ ამას მოითხოვს საკითხის განვითარება, რადგან ოსადჩი და შეინი საბჭოთა კავშირის ცაკის წევრები არიან, ამ პირების მდგომარეობა რამდენადმე განსაკუთრებულია. ნებართვა ამ პირთა საქმის წინასწარი გამოძიების შესახებ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნებართვას მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საბჭოთა კავშირის ცაკის ამ წევრების გასამართლების საკითხი რჩება განსაკუთრებულ საკითხად, რომელსაც გადასჭრიან საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

დასასრულ ამხ. კრილენკო აცხადებს, რომ იგი უფლებას იტოვებს იშუამდგომლოს, პროცესსუალური ნორმების თანახმად, რათა საქმეს დაერთოს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ ბრალდებულთა მავნებლურ მუშაობას და რომელთაც შეუძლიან საქმის დამატებით გაშუქება. გარდა ამისა, ამხ. კრილენკო შუამდგომლობს — მიეცეთ პროკურატურას და დამცველებს საშუალება გამოიყენონ განსაკუთრებული დრო ბრალდებულთა ჩვენებების კლასიფიკაციისათვის და სასამართლოს გამოძიების წარმოების გეგმის შესადგენად. საკითხების საფუძვლიანად გაშუქების მიზნით, ოცეპი, დამცველთა სახელით, მხარს უჭერს პროკურატურის შუამდგომლობას მოწმეების გამოძახების, დოკუმენტების საქმეში დართვის და ჩვენებათა კლასიფიკაციისათვის განსაზღვრული დროის მიცემის შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო გადის სათათბიროდ და ადგენს შემდეგს:

უზენაეს სასამართლოს სპეციალურ საკრებულოს დადგენილება

სპეციალური საკრებულო, რომელმაც განიხილა სახელმწიფო ბრალდების შუამდგომლობა სხვადასხვა პირების გამოწვევის შესახებ მოწმეებად და მოისმინა დამცველთა დასკვნა ამ საკითხის გამო, ადგენს, საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-25 მუხლის თანხმად, ამავე კოდექსის 115, 253, 272 მუხლებთან შეფარდებით, მოწმეებად ამ საქმის გამო გამოწვეულ იქნან ნოლდე, კირპოტენკო, იუროვსკი, კრასოვსკი და ინჟინრები: მიხაილენკო, ციდლერი, სიროცინსკი, სპარრო და ოსადჩი. იმ დოკუმენტების დართვის შესახებ, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმისათვის, სპეციალურმა საკრებულომ დაადგინა: 272 მუხ. თანახმად, საკითხი დატოვებულ იქნას ღიად მხარების მიერ დასაბუთებული კონკრეტული წინადადებების შემოტანამდე. საკრებულომ დაადგინა აგრეთვე — მიღებულ იქნას სახელმწიფო ბრალდების და დამცველთა წინადადება იმის შესახებ, რომ მათ მიეცეთ ვადა სასამართლოს სპეციალური საკრებულოს შემდგომი გამოძიების გეგმის წარმოსადგენად და დაევალოთ ბრალმდებელს და დამცველებს წარმოუდგინონ სასამართლოს იმ ძირითადი თემების კონკრეტული ნუსხა, რომელნიც, ბრალდებისა და დამცველების შეხედულებით, უნდა გახდენ უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულოს შემდგომი ყურადღების საგნად.

შემდეგი სხდომა დაინიშნა 28 ნოემბრისათვის, საღამოს 6 საათზე.

პურის დამზადების გეგმა დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს

საქ. კ.-პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 1930 წ. 27 ნოემბრის დადგენილება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1930 წლ. 27 ნოემბრის დადგენილებისა შესასრულებლად პურის დამზადების კამპანიის მსვლელობის შესახებ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1) ჩაითვალოს, რომ 20 ნოემბრისათვის თავ-თავიანი მარცვლეულის დამზადების გეგმა, რომელშიაც შედის სათესლე სესხიც, **შესრულებულია** შემდეგ რაიონებში:

1. ერწო-თიანეთის, 2. მანგლის-ალბულაჩაურის, 3. ადიგენის, 4. ლიუქსემბურგის, 5. ბაშკიჩეთის, 6. ახალციხის, 7. ტოლოშის რაიონებში.

ამ რაიონებში თავთავიანი მარცვლეულის დამზადება გაგრძელდეს 1930 წლის 5 დეკემბრამდე. 2) აღინიშნოს, რომ თავთავიანი მარცვლეულის დამზადების გეგმა, რომელშიაც შედის სათესლე სესხიც, 20 ნოემბრისათვის არ შეუსრულებიათ ყველა დანარჩენ რაიონებს.

3. აღინიშნოს, რომ პურის დამზადების გეგმის შესრულების საქმეში **სამარცხვინოდ ჩამორჩნენ** შემდეგი რაიონები:

1. გორის, 2. კასპის, 3. მცხეთის, 4. ბორჩალოს, 5. გორელოვკის რაიონები.

თავთავიანი მარცვლეულის დამზადების უკანასკნელ ვადათ დაწესდეს 5 დეკემბერი.

4) რაიონებში, რომელთაც არ შეუსრულებიათ დამზადების გეგმა, რომელშიაც შედის სათესლე სესხიც, ორი დღის განმავლობაში გაიგზავნოს თითო პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც რაიკომს დახმარებას გაუწევს დაკვრითი მუშაობის მოწყობაში დამზადების გეგმის სავსებით შესასრულებლად 5 დეკემბრისათვის, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1930 წლ. 27 ნოემბრის გადაწყვეტილების განსახორციელებლად (მე-4, 5, 6 მუხ.) და აგრეთვე სათესლე სესხის აკრეფის გეგმის მთლიანად შესასრულებლად.

5) 1930 წლ. 8 დეკემბერს ქ. სენაკში მოწვეულ იქნას დამამზადებელ რაიონების რაიკომთა მდივნების და მემინდვრეობის კავშირების თავმჯდომარეთა თათბირი სიმინდის დამზადების საკითხზე. თათბირის ჩასატარებლად და აგრეთვე იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად არიან რაიონები მომზადებულნი სიმინდის დამზადებისათვის, სენაკში მივლინებულ იქნან ამხ. **ელერდაშვილი, ხოშტარია, გვარამია** და „სოიუზხლებ"-ის წარმომადგენელი.

6) საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სასწრაფოდ შეამოწმოს ცენტრალური ორგანოების და ადგილების მომზადება სიმინდის დამზადების კამპანიისათვის.

7) აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებამ მოახდინოს 37 პასუხისმგებელი მუშაკის მობილიზაცია და გაგზავნოს ისინი სიმინდის დამზადებაზე: ორ-ორი დასავლეთ საქართველოს თვითეულ რაიონში და თითო—აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში.

8) შესაცვლელად წინათ არსებულ გადაწყვეტილებებისა სიმინდის დამზადების ვადების შესახებ, დამზადება დაწყებულ იქნას დაუყოვნებლივ, რათა იგი დამთავრდეს 1931 წლის 1-ლ იანვრისათვის.

9) წინადადება მიეცეს საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დროულად წარადგინოს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ცნობები პურის დამზადების მსვლელობის შესახებ რაიონების მიხედვით.

ვინ იგზავნება პურის დამზადებაზე

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 1930 წლის 27 ნოემბრის დადგენილების მე-4 მუხლის შესასრულებლად ცენტრალურ კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილება მობილიზაციის წესით გაწვეულად აცხადებს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, რომელთაც დახმარება უნდა გაუწიონ რაიკომებს დაკვრითი მუშაობის მოწყობაში დამზადების გეგმის ა.-წ. 5 დეკემბრისათვის შესასრულებლად.

ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ 29 ნოემბერს დილის 10 საათზე ცენტრალურ კომიტეტში და მეორე დღესვე გაემგზავრონ რაიონებში.

1 **ალ. ბუჩიაშვილი** (საქართველოს მერძეობის კოოპ. კავშირი)—გურჯაანში, 2. **გვილავა** (პროკურატურა)—ლაგოდეხში, 3. **შუშანია** (ჯანმრთ. სახ. კომ-ტი)—გორში, 4. **ეფუქიძე** (წითელი ჯვარი)—კასპში, 5. **ლაშხი** (უზენაესი სასამართლო)—მცხეთაში, 6. **მაშმანოვი** (საქალაქთაშორისო სადგ.)—ბორჩალოში, 7. **გოგიბერიძე** (ულმერთოთა კავშირი)—გარე-კახეთში, 8. **ბოკერია** (ულმერთოთა კავშირი)—გარეუბანში, 9. **მახარაძე** (მკერავი)—ოსეთში, 10. **საბუროვი** (ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი)—გორელოვკაში, 11. **ზირაქაშვილი** (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი)—დუშეთში, 12. **ალექსანდრე მახარაძე** (საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტი)—თელავში.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.-წ. 27 ნოემბრის დადგენილების მე-7 მუხლის შესასრულებლად ცენტრალურ კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილება აცხადებს ქვემოდ დასახელებული ამხანაგების მობილიზაციას სიმინდის დასამზადებელ რაიონებში გასაგზავნად. მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ 1930 წლის 29 ნოემბერს დილის ორ საათზე ცენტრალურ კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებაში. 1. **ხანდრო ორაგველიძე** (განათ. სახ. კომ-ტი), 2. **დავით ჭყონია** (სამრეწველო მასალების მომარაგების ტრესტი), 3. **ნ. კალანდაძე** (გლარუჯა), 4. **შ. კიკაჩეიშვილი** (მემინდვ. კავშ. უჯრედი), 5. **ვლ. მახარაშვილი** (შრომის სახ. კომ-ტი), 6. **ლუკა ორაგველიძე** (შრომ. ბირჟა), 7. **დ. ლობაძე** (ამიერ-კავ. შრ. სახ. კომ-ტი), 8. **პოლიკარპე დოლიძე** (საქართველოს ვაჭრ. სახ. კომ-ტი), 9. **დავით ბლაგაძე** (ინსტიტუტი), 10. **იოსებ სიჭინავა**, 11. **ლომინაძე** (განათლ. სახ. კომ-ტი), 12. **ხუციბერიძე** (საფ. კოოპ. ინსტ.), 13. **კვანტალიანი** (საქართველოს ფინ. სახ. კომ-ტი), 14. **დმ. ღოღობერიძე** (მუშკოოპი), 15. **ცაგარეიშვილი** (ცენტრ. პარტსკოლა), 16. **ნიკ. გვაზავა** (სამრეწველო ეკონომიური ტექნიკუმი), 17. **შალვა პაპავა** (სასოფლო-სამ. მუშფაკი), 18. **ლადო კვირკველია** (მერძეობის და მესაქონლეობის კავშირი), 19. **ზარამიძე** (შრ. სკ. ლექტორი), 20. **აფხაიძე**—(საქართველოს მუშფაკი), 21. **დემეტრაძე** (ცენტრ. პარტსკოლა), 22. **წილოსანი** (თავდაცვა-ავიაქიმი), 23. **ქურასბედიანი** (კომ. აკად.), 24. **კომახიძე** (საქიმიო ინსტიტუტი), 25. **ჩერქეზიშვილი ჟ.**, 26. **გაფჩარაძე** (ტელეგრაფი), 27. **ბენდელიაშვილი** (სოცდაზღვ. კომიტ.), 28. **ხომერიკი**, 29. **ელიაშვილი ივანე** (ცენტრ. კომიტეტი), 30. **პ. დარახველიძე** (ცეკა), 31. **ებრალიძე სერგო** (ცეკა), 32. **შ. ჭანტურია** 33. **ბ. გოგოლაძე** (ცეკა), 32. **კამკამიძე** (ტელ სადგური), 35. **აკ. კარგარეთელი** (ცეკა), 36. **მაჭავარიანი** (ცეკა), 37. **მარტინოვი** (წითელი ჯვარი).

ცენტ. კომ-ტის აგიტმას განყოფილების გამგე ხოშტარია.

გაზეთ „კომუნისტი"-ს შესახებ

(საქ. კომპ. (ბ) ცეკას დადგენილება)

აღინიშნოს, რომ გაზეთი „კომუნისტი", როგორც ამას სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა 21 ნოემბრის „პრავდა" პრესის მიმოხილვაში, სრულიად არასაკმაოდ განუმარტავდა მასებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 3 სექტემბრის მიმართვის და მისი ძირითადი დებულებების აზრსა და მნიშვნელობას. ორი თვის განმავლობაში (მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 7 ნოემბრამდე) „კომუნისტში" არ არის მოთავსებული არც ერთი წერილი, მიძღვნილი ცეკას მიმართვის პოპულიარიზაციისათვის იმ დროს, როდესაც ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა ფარულად იქნა განმარტებული ლომინაძის ჯგუფის ამ დოკუმენტის ანტიპარტიულ ოპორტუნისტულ დებულებათა კრიტიკის გარეშე.

გაზეთმა „კომუნისტმა" ფრიად სუსტად გაშალა ბრძოლა ორ ფრონტზე — მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სრულიად არა საკმაო ბრძოლა „მემარცხენე" უკლონისტებისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ. სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე - „მემარცხენე" ბლოკის ანტიპარტიულ გამოსვლისა და ამიერ - კავკასიაში ლომინაძის „მომემარცხენო" ჯგუფის ფრაქციული მუშაობის პირობებში „კომუნისტმა" არ გაშალა ბრძოლა ორპირ ფრაქციონერების წინააღმდეგ, არ გამოაშკარავა სირცოვ-ლომინაძის ბლოკის მემარჯვენე ოპორტუნისტული პლატფორმის კაპიტულიანტური ბუნება.

ცეკა აღნიშნავს როგორც აბსოლუტურად დაუშვებელ ფაქტს, რომ „კომუნისტმა" ოქტომბერ - ნოემბრის თვეების მანძილზე მოათავსა მთელი რიგი მეთაურები უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებზე და მათში ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია ბრძოლა მემარჯვენეებთან და „მემარცხენეებთან" და შემარიგებლობასთან ოპორტუნიზმის ამ ორივე სახეობისადმი და ამით არასწორი ორიენტაცია მისცა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს.

გაზეთი არ გამოეხმაურა და სათანადო პასუხის გარეშე დასტოვა ანტიპარტიული გამოსვლები ზოგიერთ რაიონულ პარტკონფერენციებზე, როგორც მაგალითად თელავში და გურჯაანში.

ცეკა აღნიშნავს გაზეთ „კომუნისტი"-ს დაბნეულობას ლომინაძის ორპირულ ჯგუფთან ბრძოლაში საქართველოში. გაზეთი დიდი დაგვიანებით შეუდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის ოპორტუნისტული არსის მხილებას და საქართველოს პარტორგანიზაციებში ლომინაძის მომხრე ნიღაბ ამოფარებულ ოპორტუნისტების გამოაშკარავებას. გაზეთ „კომუნისტმა" აგრეთვე არა თავ[illegible] მოაშკარავა ის პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების მიერ მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკის — სირცოვ-ლომინაძის მეთაურობით — გამოსვლის შეფასებაში.

გარდა ამ შეცდომებისა, ცეკა აღნიშნავს, რომ გაზეთ „კომუნისტს" ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა რეკონსტრუქტიულ პერიოდის ამოცანების შესასრულებლად. გაზეთმა ვერ შესძლო საკმაოდ მობრუნება პირით უმნიშვნელოვანეს სამეურნეო პოლიტიკური ამოცანებისაკენ და დაუზოგავი ბრძოლის გაშლა ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე, ოპორტუნიზმის ყველა კონკრეტულ გამოხატულებასთან პრაქტიკაში. გაზეთი მეტად სუსტად აშუქებდა სოფლად კლასობრივი ბრძოლის საკითხებს.

ამასთან ერთად ცეკა აღნიშნავს გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის მასიური მუშაობის უაღრესად სუსტად დაყენებას.

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე პირობებში გაზეთი „კომუნისტი"-ს წინაშე ისმება უაღრესად საპასუხისმგებლო პოლიტიკური ამოცანები — საქართველოს პარტიული ორგანიზაციების და მშრომელი მასების იდეურად კიდევ უფრო დასარაზმავად საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის განახლებული ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინური ცეკას და მისი გამობრძმედილი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო.

პარტიის გენერალური ხაზისთვის, მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" ოპორტუნისტების, სირცოვ - ლომინაძის ორპირულ ბლოკის და ოპორტუნიზმის ყოველგვარ სახეობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლასთან ერთად, გაზეთი „კომუნისტი" სათავეში უნდა ჩაუდგეს და მოაწყოს მასების ახალი აზვირთება სიძნელეების დასაძლევად ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ეკონომიური ძლიერების გასადიდებლად და ახალი გამარჯვებებისათვის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

გაზეთ „კომუნისტი"-ს ხაზის გამოსასწორებლად ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ სასწრაფოდ გამოიკვლიოს გაზეთი „კომუნისტი" და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ბიუროს მორიგ სხდომაზე განხილულ იქნას იმ ღონისძიებების საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფენ გაზეთის ჭეშმარიტად ბოლშევიკურ მუშაობას პარტიის გენერალური ხაზის ნამდვილად გასატარებლად.

ისინი ალაპარაკდნენ

უკვე ორი დღეა მავნებლები „სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტიდან აძლევენ ჩვენებას უზენაეს პროლეტარულ სასამართლოს თავიანთი კონტრ-რევოლუციონური მუშაობის შესახებ. რამზინის შემდეგ თავის დანაშაულებრივ გეგმებსა და მუშაობას ააშკარავებს ლარიჩევი. მავნებელთა ჩვენება სასამართლოში მთლიანად და სავსებით ადასტურებს საბრალმდებლო დასკვნას, რომელიც წინასწარი გამოძიების მასალებს ეყრდნობა.

ამ ვაჟბატონებს სურდათ ახალი ომი მოეხვიათ თავზე ჩვენი საბჭოთა ქვეყნისათვის და მილიონობით ჩვენი მუშები და გლეხები უცხოელ მტაცებელთა ტყვიამფრქვევების და მხრჩოლავი გაზების მსხვერპლად გაეხადათ. ისინი სცდილობდნენ გაეცამტვერებინათ ის ნაყოფი, რომელიც მოჰყვა საბჭ. კავშ. მშრომელთა მრავალი წლის თავგამოდებულ მუშაობას ჩვენი მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მათ სურდათ უცხოელთა აეროპლანებს უმოწყალოდ განადგურებინათ ჩვენი ფაბრიკები, ქარხნები და მუშათა სახლები. მათ სურდათ ზღვა სისხლი დაეღვარათ.

რა მიზნით?

იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების კისერზე დაესვათ ჩვენი ქვეყნიდან განდევნილი მემამულეთა და კაპიტალისტთა ხროვა და მოეკლათ მისი შურისძიების წყურვილი, დაეჩრდილათ პარიზის კომუნის განადგურების, 1905 წლის რევოლუციის ჩაქრობის ყველა საშინელებანი და თეთრგვარდიელთა კონტრ-რევოლუციონური ბანდების სამოქალაქო ომის და ინტერვენციის დროინდელი მთელი სიმხეცე, რათა საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისათვის თავზე მოეხვიათ იუნგის გეგმის მეორე გამოცემა, დაერღვიათ და დაექუცმაცებინათ მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო და მსოფლიო იმპერიალიზმის კოლონიად გადაექციათ ჩვენი ქვეყანა.

„სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის ზურგს უკან მდგომმა ბატონმა ფრანგმა მინისტრებმა და გენერლებმა უკვე უჩვენეს თავიანთ დაქირავებულ ყაჩაღებს თავიანთი გულუხვობა ჩვენი მიწა-წყლის ხარჯზე პირველი ინტერვენციის დროს.

ჩვენი ბესარაბია მათ საჩუქრად მიართვეს რუმინელ ჟანდარმებსა და ჯალათებს, რომელნიც უკვე 12 წელიწადია აწამებენ მას. რუმინეთის რეჟიმი ბესარაბიაში თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს, თუ რა ბედს უმზადებენ ბატონ პუანკარეები საბჭოთა კავშირის ხალხებს.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ამ ვაჟბატონებმა თავის დროზე დაადასტურეს პოლონეთის მიერ დასავლეთ უკრაინის და ბელორუსიის მიწების ოკუპაცია.

ჩვენ თვალწინ პოლონელი იმპერიალისტები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან დასავლეთ უკრაინის მშრომელ მასებს და თვალსაჩინოდ ააშკარავებენ, თუ რა ბედი მოელის მარჯვენა მხარის უკრაინას, რომლის მირთმევასაც აპირებდნენ მისთვის დახმარების სამაგიეროთ ბატონი პუანკარეები, სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი და „სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტი. „სამშობლოს პატრიოტები" სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტიდან და „სამრეწველო პარტიიდან" თანხმდებოდნენ საბჭოთა კავშირის დაქუცმაცებაზე, ანაწილებდნენ ჯერ კიდევ მოუკლავი დათვის ტყავს და გულუხვად აჯილდოებდნენ ინტერვენციის მონაწილეებს ტერიტორიალური დათმობით, ოღონდ კი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მშრომელი მასები დაემონებიათ.

ბურჟუაზიული პროფესორები და სპეციალისტები, რომლებიც ბრალდებულთა სკამზე სხედან, ეხლა იძლევიან ჩვენებას, თუ როგორ ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის მუშების აწიოკებას, როგორ ამზადებდნენ თოკს მათ ჩამოსახრჩობად, როგორ ყიდდნენ საბჭოთა მიწაწყალს.

ინტერვენციის გეგმა სწორად გათვალისწინებული იყო 1930 წლისათვის. პირველი იერიში უნდა მოეტანა რუმინეთს, რომელსაც ბესარაბია არ ჰყოფნის და ოდესაზე და საბჭოთა მოლდავიაზე ილესავს კბილს. რუმინეთის არმიას, რომელიც დღემდე უდიდეს გმირობას იჩენდა თავისი საკუთარი ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებაში, მაგრამ მარცხდებოდა ყველა საკარეო ომებში, უნდა დაეწყო შეტევა პოლონეთის არმიასთან ერთად და დაეკავებია უკრაინა დონეცის ბასეინითურთ, უკრაინის დაკავების შემდეგ განზრახულ იყო იერიში მოსკოვზე პოლონელებისა და რუმინელებისათვის დახმარება უნდა გაეწიათ ვრანგელის ბანდებს, თუმცა მათ ბევრად უკეთ შეისწავლეს გზა ყირიმიდან სტამბოლისაკენ, ვიდრე მოსკოვისაკენ. შავი ზღვის ჩრდილოეთ-კავკასიის ნაპირზე უნდა გადმოსულიყვნენ კრასნოვის ყაზახები (მართალია, ამ ათი წლის წინად უკვე ადგილი ჰქონდა ასეთ დესანტს, რომელიც ვერც თუ დიდი გამარჯვებით დამთავრდა). იმედი ჰქონდათ სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის სამხედრო დახმარებისაც. ჩრდილოეთისაკენ ამზადებდნენ იერიშს ლენინგრადზე ბალტიის სახელმწიფოების სამხედრო ძალებით და ფლოტის დახმარებით.

საერთოდ ასე ხატავს რამზინი იმ ინტერვენციის გეგმას, რომელიც 1930 წლისათვის მზადდებოდა მხოლოდ სურათის სისრულისათვის საჭირო იყო უფრო დაწვრილებით შეჩერება ამიერ-კავკასიაზე. პარიზში, სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტთან, ვრანგელის მიმდევართა სამხედრო ცენტრთან, ესერების, კადეტების და მონარქისტების ნაშთებთან ერთად სხედან ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები, აზერბეიჯანის მუსავატისტები და მთელი თეთრგვარდიელობა. სავაჭრო სამრეწველო კომიტეტში დენისოვებთან და რიაბუშინსკებთან ერთად სხედან აგრეთვე ნობელები და ლიანოზოვები. ამიერ-კავკასია—ეს ბაქოს ნავთია, რომლისკენაც მიმავალი გზა საბჭოთა საქართველოზე გადის. პოლონეთის გენერალური შტაბი, რომელსაც ინტერვენციის გეგმებში უაღრესად დიდი როლი აქვს დათმობილი, ინახავს არა მარტო პეტლიურას მიმდევართა „მთავრობას", რომელსაც საკმაო გამოცდილება აქვს საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის უკრაინის მშრომელი მასების მიყიდვის საქმეში (გამოტოვებულია). პოლონეთის გენერალური შტაბი, სავსებით სწორი ცნობებით, დახმარებას უწევდა და უწევს ამიერ-კავკასიის თეთრგვარდიელებს და პირველ რიგში ქართველ მენშევიკებს. 1928 წელს ქართველი მენშევიკები საზეიმოდ მიესალმენ პილსუდსკის მომხრეთა საარჩევნო გამარჯვებას, რაც მაშინ მიღწეულ იქნა დაახლოებით ისეთივე მეთოდებით, როგორც ამჟამად. საფრანგეთის და პოლონეთის სამხედრო ინტერვენციის გეგმაში უეჭველად შედის საბჭოთა ამიერ-კავკასიის დაკავება უკრაინასთან, შავი ზღვის მთელ სანაპიროებთან და სხვ. ერთად.

ინტერვენციის მომმზადებელნი საბჭოთა კავშირის შიგნით საფრანგეთის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი აგენტები და დისპროპორციის, „კრიზისების", „ჩამორჩენების" და სასურსათო სიძნელეების ორგანიზატორები დანაშაულის ადგილზე დაიჭირეს და მათ პასუხი უნდა აგონ პროლეტარულ სასამართლოს წინაშე.

მაგრამ მათთან ერთად დაჭერილი და გამოაშკარავებულნი არიან მათი უშუალო სულის ჩამდგმელნი--საფრანგეთის იმპერიალისტები. „ფორვერტს"-ს და „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ის საზიზღარი მენშევიკი კალმოსნები ირონიულად გაკვირვებას გამოსთქვამდნენ, თუ რატომ არ მართავდა საბჭოთა ხელისუფლება ამ ბოლო დროს მავნებელთა საჯარო პროცესებს.

რაღას იტყვიან ახლა ბურჟუაზიის ეს უსირცხვილო, საზიზღარი, გათახსირებული ლაქიები.

თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, იტყვიან, რომ რამზინები, ლარიჩევები და სხვ. ტყუილს უგონებენ თავიანთ თავს და საფრანგეთის გენერალური შტაბის უცოდველ კრავებს, რომელნიც, ცხადია, ალპის მწვერვალების თოვლზე უსპეტაკესი არიან.

მავნებელნი ინტერვენციასა და ომს ამზადებდნენ. ისინი ყოველნაირად სცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ ჩვენს მეურნეობაში, რათა გაეადვილებიათ ინტერვენტებისათვის საბჭოთა ქვეყნის ხელში ჩაგდება, დამონება და გაძარცვა. ისინი ყოველნაირად სცდილობდნენ გაეძლიერებიათ და გაემწვავებიათ ჩვენი სიძნელეები. ამასთან ისინი გულუბრყვილოთ ამყარებდნენ იმედს ჩვენი პარტიის მთლიანობის დარღვევაზე და მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების შინაგან გამხრწნელ მუშაობაზე, კერძოდ სირცოვ-ლომინაძის „უახლესი" მემარჯვენე-„მომემარცხენო" ბლოკის მუშაობაზე, რომელმაც უპრინციპობისა და თვალთმაქცობის ყველა რეკორდები აიღო და თავის მხრივ აკეთებდა ყოველსავე ობიექტიურად შესაძლებელს, რათა გაეადვილებია მავნებელთა მუშაობა და სახალხო მეურნეობის დეზორგანიზაცია. ამით ოპორტუნისტები თავის მხრივ ობიექტიურად გზას უკაფავდნენ ინტერვენტებს. მაგრამ იმ უპრინციპო ოპორტუნისტების მუშაობას, რომლებსაც პარტია აძევებს, ხოლო მათ ნაცვლად პარტიაში ათეულ ათასობით მოწინავე დამკვრელი მუშები შედიან, არ ძალუძს შეაჩეროს სოციალისტური მშენებლობის სწრაფი ზრდა.

მავნებლობის მუშაობის მიუხედავად, კაპიტალისტური ელემენტების და კულაკობის გააფთრებული წინააღმდეგობისა, მიუხედავად ოპორტუნისტების ჩურჩულის, საბოტაჟისა და პანიკიორული პროგნოზების მიუხედავად, ჩვენ ძლევამოსილად ვსძლევთ ჩვენს სამეურნეო დაბრკოლებებს, სწრაფი ტემპებით მივყავს წინ სოციალისტური მშენებლობა და დღითი-დღე ვამაგრებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარს.

საფრანგეთის იმპერიალისტებმა, მთელი თავიანთი ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოახერხეს ინტერვენციის მოწყობა 1930 წელს. საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელნი, ხოლო პირველ რიგში საფრანგეთის პროლეტარები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ინტერვენციის გეგმები 1931 წელსაც ჩაიფუშოს.

„პრავდა", 28 ნოემბერი.

ამერიკის ბურჟუაზიული ეკონომისტები

აღიარებენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში

საბჭ. კავშირი მზად არის შეასრულოს

ვალდებულება შეიარაღების შემცირების საქმეში

ინტერვიუ ამხ. ლიტვინოვთან

ბერლინი, 28 ნოემბერი. ამხ. ლიტვინოვმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ბერლინელ კორესპონდენტთან საუბრის დროს კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მისი ჟენევიდან წასვლა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიის დამთავრებამდე და მილანში გამგზავრება, განაცხადა:

„საბჭოთა დელეგაცია, სანამ კიდევ იყო მცირედი იმედი იმისა, რომ შესაძლებელი გახდებოდა ე. წ. განიარაღების კონფერენციის პროექტის შევსება რეალური შინაარსით, ფაქტიურ მონაწილეობას იღებდა კომისიის მუშაობაში. მაგრამ ყოველგვარი იმედი გაჰქრა, როცა სათანადო საბჭოთა შესწორებები უარყოფილი იქნა. ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ კონფერენციის პროექტები, რომელთა შედგენასაც კომისიამ 30 სახელმწიფოს მონაწილეობით ხუთი წელიწადი მოანდომა და რომელთა შედგენაც ერთი კვირის განმავლობაში ასეთივე წარმატებით შეეძლო რამდენიმე კეთილსინდისიერ მოხელეს, შეიძლებოდა გამომდგარიყო ჩარჩოდ დისკუსიისათვის უფრო განიარაღებაზე უარის თქმის, ვიდრე შეიარაღების ნამდვილი შემცირების შესახებ. კომისია ამჟამად გულმოდგინედ იხილავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის „ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლა“ და „საჯაროდ განხილვა“. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ დელეგატს მხედველობაში აქვს შესცვალოს განიარაღება „საჯარო განხილვით“. მაგრამ საჯარო განხილვა თავისთავად არა თუ არ შეაჩერებს სახელმწიფოების შეჯიბრებას შეიარაღების საქმეში, არამედ შეიძლება იგი გადაიქცეს ამგვარი შეჯიბრების გამოსავალ წერტილად იმ შემთხვევისათვის, თუ მომავალი კონფერენცია მაინც მიიღებს რამე ზომებს შეიარაღების შესამცირებლად. კომისიაში შეტანილია წინადადებები, რომელთა თანახმადაც საკმაოა რომელიმე სახელმწიფომ განაცხადოს, რომ მას საფრთხე მოელის, რათა მიიღოს კონვენციის დარღვევის უფლება. ამგვარი წინადადებების მიღების შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი წინასწარ თავისუფალი იქნება კონვენციის ყოველგვარი ვალდებულებისაგან, ვინაიდან იგი არა თუ სუბიექტიურად გრძნობს თავს საფრთხეში, არამედ საფრთხე იქნება ყოველდღიურად, მას პრესაში აშკარად იხილავენ და მოიპოვება საფრთხის არსებობის ობიექტიურად უდაო დამამტკიცებელი საბუთები. საბჭოთა კავშირი არ მოითხოვს თავისთვის რაიმე გამონაკლისს და მზად არის გადაუხრელად და ნებაყოფლობით შეასრულოს ყოველგვარი ვალდებულება შეიარაღების არსებითი შემცირების საქმეში სხვა სახელმწიფოებთან თანაბრად. საერთო შთაბეჭდილება, გამოტანილი საბჭოთა დელეგაციის მიერ კომისიის მუშაობიდან, ისეთია, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ, რომელმაც თავისი შეიარაღების რიცხვობრივი და ხარისხობრივი უპირატესობის გამო გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა მსოფლიო ასპარეზზე და რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს და გააფართოოს თავისი ბატონობა მტკიცედ გადასწყვიტა არავითარ შემთხვევაში არ შეამციროს თავისი სამხედრო ძლიერება“.

მილანში მოგზაურობის შესახებ ამხ. **ლიტვინოვმა** სთქვა: „ურთიერთობამ საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის, რომელიც 7 წელიწადია არსებობს და ვითარდება, საჭირო გახდა ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს შორის აზრთა გაცვლა - გამოცვლა ამ ურთიერთობისა და სხვა საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ყოველწლიურად და უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, თითქოს არაფერი არანორმალური არ უნდა დაენახათ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის შეხვედრაში იმ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც საბჭოთა კავშირთან აქვთ არა მარტო ფორმალურად თავაზიანი, არამედ ნამდვილად ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა. ამგვარ შეხვედრას შიშის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ იმათში, ვინც მშვიდობიანობის მოყვარეობის ნიღაბს ქვეშ ცდილობს განაცალკევოს და შეასუსტოს საბჭოთა კავშირი ან სხვა რომელიმე სახელმწიფო, ლაპარაკობენ პან-ევროპიზმზე და ამავე დროს აკრიტიკებენ ევროპის ორი ქვეყნის დაახლოების ცდებს. საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარეობა უტყუარ ფაქტებზე ეყრდნობა და მისი ყოველი დაახლოება სხვა ქვეყნებთან შეიძლება ემსახუროს მხოლოდ მშვიდობიანობის საქმეს. მშვიდობიანობის ნამდვილ მეგობრებს ეს დაახლოება მხოლოდ უნდა ახარებდეს“ (ადს).

სიმართლე საბჭოთა „დემპინგის“ შესახებ

ლონდონი, 28 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონსერვატორ დეპუტატთა ახალი გამოლაშქრების გამო, რასაც ისინი მიმართავენ „დემპინგის“ წინააღმდეგ ბრძოლის მომიზეზებით, ლეიბორისტმა დეპუტატმა ხეიკოკმა, რომელიც თვითონ კანადელია, განაცხადა, რომ კანადამ შემოიტანა ინგლისის ბაზარზე ასჯერ მეტი ხორბალი ვიდრე საბჭოთა კავშირმა. „თუ,—სთქვა მან,—რუსებს აგინებენ მოჩვენებითი დემპინგის გამო, მაშინ კანადელებს, კიდევ უფრო უნდა ვაგინებდეთ ვინაიდან ისინი ნამდვილად ეწევიან დემპინგს. დაბალი ფასების არსებობაში, რასაც ამჟამად ადგილი აქვს, დამნაშავენი არიან არა რუსები, არამედ კანადელები“ ო.

ხეიკოკმა დაცინვით მოიხსენია ანტისაბჭოთა ჭორები, გავრცელებული კონსერვატორების მიერ, რომლებმაც თემთა პალატაში შეიტანეს რეზოლუცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული. მან მიუთითა იმ უდიდეს განსხვავებაზე, რომელიც არსებობს 1919 და 1930 წლებს შორის. „განსხვავება, — განაცხადა მან ირონიულად,— მდგომარეობს, სხვათა შორის, იმაში, რომ მაშინ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება ხდებოდა კვირაში ორჯერ, ახლა კი — მხოლოდ თვეში ორჯერ, ვინაიდან რიგა დაიღალა და მას აღარ შეუძლია დაკმაყოფილოს მოთხოვნილება“.

ლიბერალების უმრავლესობამ კონსერვატორების რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა. მაგრამ ხუთმა მათგანმა მხარი დაუჭირა კონსერვატორებს. სხდომაზე მყოფმა ლოიდ ჯორჯმა თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან (ადს).

ტევფიკ რუშტი-ბეი იტალიაში

ჟენევა, 28 ნოემბერი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ რუშდი-ბეი იტალიაში გაემგზავრა (ადს).

მარტის გაუგრძელეს პატიმრობის ვადა

პარიზი, 27 ნოემბერი. როგორც „ლ-იუმანიტე“ იუწყება, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა — პატიმრობის ვადა გაუგრძელოს მარტის. იუსტიციის მინისტრს დაევალა მოამზადოს ამისათვის „ლეგალური საფუძველი“. როგორც ცნობილია, მარტის 5 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი მარშალ ფოშისადმი მიმართული ღია წერილის გამოქვეყნებისათვის. ამ წერილში მარტი ააშკარავებდა ფოშის ცდებს, მიმართულს საფრანგეთ - გერმანიის მთლიან იმპერიალისტური ფრონტის შექმნისაკენ ბოლშევიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ლ-იუმანიტე“ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ახალ ღონისძიებას მარტის წინააღმდეგ მიმართავენ საბჭოთა კავშირში კონტრ - რევოლუციონური შეთქმულების ამოჩენის მომენტში. რუსი კონტრ - რევოლუციონერები, საფრანგეთის მთავრობის დახმარებით, იმპერიალისტურ ინტერვენციას ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის ფაშისტური ღონისძიება, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ამზადებს მარტის მიმართ, „ლ-იუმანიტე“-ს აზრით, ცხადჰყოფს ომისა და საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მოახლოებას (ადს).

ძლიერი მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 28 ნოემბერი. მოხდა ძლიერი მიწისძვრა სიცუოკის პრეფექტურაში, ნახევარკუნძულ იცუზე (იაპონიის სამხრეთ-აღმოსავლეთით). დაზარალდნენ ქალაქები მისი, კუმაცუ, ნირაიამა და მრავალი სოფელი. (ადს).

დისპუტი საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. საგარეო პოლიტიკის ასოციაციამ მოაწყო დისპუტი საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, ჟურნალისტებმა და ბევრმა იმათგანმა, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინად საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდნენ.

პროფ. ჰუვერი თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ „მახლობელი ათი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს კაპიტალიზმის რეფორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბურჟუაზიული ცივილიზაცია დაიღუპება“-ო.

პროფ. ლორვინი, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინად ინახულა საბჭოთა კავშირი, იცავდა „მსოფლიო ეკონომიური მომწესრიგებელი ორგანოს“ შექმნის იდეას. როგორც ლორვინმა, ისე ჰუვერმა აღიარეს, რომ ზოგიერთ დაბრკოლებების მიუხედავად, საბჭოთა კავშირს აქვს გარკვეული მიღწევები ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ჟურნალისტმა ლიმ, რომელიც ახლო სდგას „სტანდარტ ოილ“-ის ნავთის კომპანიასთან და ზოგიერთ სხვა დიდ საწარმოებთან, განაცხადა, რომ „საბჭოთა სისტემა სარგებლობს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობის მხარის დაჭერით“. ლი გამოვიდა ანტისაბჭოთა „დემპინგის კომპანიის“ წინააღმდეგ. „საბჭოთა დემპინგის“ შესახებ ჭორების გავრცელების წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე შეერთებული შტატების უდიდესი ფირმის პატრონმა კემპბელმა.

უმუშევართა რაოდენობა საფრანგეთში

პარიზი, 28 ნოემბერი. „ლ-იუმანიტე“, ოფიციალური მასალის მიხედვით, 50,000 კაცით განსაზღვრავს უმუშევართა რიცხვს საფრანგეთში. გარდა ამ ციფრისა, რომელიც შეეხება მხოლოდ იმ პირებს, ვისაც არავითარი სამუშაო არა აქვს, საფრანგეთში არის რამდენიმე ასი ათასი მუშა, რომელნიც კვირაში მუშაობენ 3, 4 და 5 დღეს. სამუშაო კვირის შემცირებას თან სდევს ხელფასის შემცირება 17-დან 60 პროცენტამდე. შემდეგ გაზეთს, ოფიციალური მასალის მიხედვით, მოჰყავს ცნობები ეკონომიური კრიზისისა და უმუშევრობის შესახებ საფრანგეთის მთელ რიგ ადგილებში (ადს).

აზნავთი არ ასრულებს ბოლშევიკურ დავალებებს

გარდატეხა მიღწეულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ

ყველა ძალები ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის

ბაქო, 28 ნოემბერი. ნოემბრის 25 დღის განმავლობაში „აზნავთმა“ ამოიღო 786.582 ტონა ნავთი, რაც შეადგენს გეგმის 89,9 პროცენტს. ნავთიანი ადგილებიდან გეგმა გადაჭარბებით შეასრულა მხოლოდ არტემის კუნძულმა. ცალკე სარეწაოებიდან მხოლოდ ბიბიეიბათის რაიონის პირველ და მეორე სარეწაოს აქვს გადაჭარბებით შესრულებული გეგმა. დანარჩენი რაიონები საგრძნობლად ჩამორჩნენ. ლენინის მოედანმა 25 დღის განმავლობაში გეგმა შეასრულა 94,5 პროცენტით, სურახანის—87,2 პრ., ბინაგადის—87,2. სავსებით რეალურია იმის საფრთხე, რომ ნოემბრ. განმავლობაში გეგმის შესრულება ჩამორჩება 100.000 ტონით, რადგან ჩამორჩენა ხუთი ხუთდღიურის განმავლობაში შეადგენს 84.000 ტონას.

დეკემბერი უნდა გადაიქცეს დამკვრელი მუშაობის ნიმუშად, რათა დაფარულ იქნას წინა ორი თვის ჩამორჩენა, რაც რგვალ ციფრებში 150.000 ტონას უდრის (ადს).

ჩამორჩენა ღრმავდება

აზნავთის მთელ რიგ განსაკუთრებულ კვარტალის პროგრამას ჩაშლა მოელის

ბაქო, 28 ნოემბერს „აზნეფტ“-ის ნავთის ამოღების სამმართველოში ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს: ჩამორჩენამ ნავთის ამოღების საქმეში ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ეს საფრთხის წინაშე აყენებს ნავთის ამოღების პროგრამას მთელი განსაკუთრებული კვარტალის განმავლობაში. განსაკუთრებული კვარტალის პირველი ორი თვე იძლევა ნავთის ამოღების დაკლებას საშუალოდ 150 ათასი ტონით, იმისათვის, რომ შესრულდეს დეკემბრის პროგრამა და დაიფაროს ეს ჩამორჩენა, აზნავთმა დეკემბერში საშუალოდ უნდა მიიღოს 1.225 ათასი ტონა, ე. ი. 40 ათასი ტონა დღე-ღამეში. მაგრამ ამ ციფრის მიღება ნაკლებად შესაძლებელია. ყოველი ღონისძიებაა მიღებული, რომ შენელებულ იქნას ჩამორჩენის სიმწვავე. შედგენილ იქნა განსაკუთრებული კალენდარული გეგმა, რის შედეგადაც, თუ მოხერხდა მთელი რიგი შემთხვევითი მოვლენების თავიდან აცილება, ჩამორჩენა შენელებული იქნება.

პირდაპირ კითხვაზე—შესრულებული იქნება თუ არა განსაკუთრებული კვარტალის პროგრამა, ნავთის ამოღების სამმართველოში გადაჭრილი პასუხი არ მოუციათ. იქ იმ აზრისა არიან, რომ ჩამორჩენა ნავთის ამოღების საქმეში მთელ კვარტალში უდრის 100-დან 150 ათას ტონამდე, ე. ი. კვარტალური პროგრამა შესრულებული იქნება 95—97 პროცენტით. ნავთის ამოღების სამმართველოს მომუშავეთა აზრით, მთავარ დაბრკოლებას პროგრამის შესრულებაში წარმოადგენს ახალი ჭაბურღილების ხშირი დაცობა, აგრეთვე წყლის საგრძნობლად ჩადგომა ჭაბურღილებში. ნავთის ამოღების სამმართველოში ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროდ მიაჩნიათ ახალი მეთოდების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ დამკვრელი ბურღები ბურღვას დროზე ათავებენ, ჭაბურღილების ექსპლოატაციის მოგვარებას დიდი დრო უნდება, შემდეგ ხდება მათი დაცობა, რომლის ასაშენებლადაც მიმართავენ პირველყოფილ საშუალებებს. ჭაბურღილების გასაწმენდათ უნდა გადიდდეს ტუმბოების რიცხვი. (ადს).

ნავთის ამოღება 26 ნოემბერს

ბაქო, 28 ნოემბერი. აზნავთის ყველა სარეწაოებში ამოღებულია 31.991 ტონა—დღე-ღამის პროგრამის 91,4 პროცენტი. **ლენინის რაიონში** დღე-ღამის განმავლობაში ამოღებულია 10.181 ტონა—93,4 პროცენტი; **ბალახანის რაიონში**—4.655 ტონა—91,5 პროც.; **საბუნჩიში**—3.170 ტონა—99,7 პროც.; **რამანის რაიონში**—2.356 ტონა—89,6 პროც.; სურახანაში ამოღებულია 9.060 ტონა—84,7 პროც.; პირველ სარეწაოში—1.900 ტონა—82,6 პროც., მეორე სარეწაო—3.420 ტონა—97,7 პროც., მესამე სარეწაო—3.640 ტონა—76,8 პროც., **ბიბი-ეიბათში** სულ ამოღებულია 10.230 ტონა—97,8 პროც.: პირველი სარეწაო—1.400 ტონა—101,1 პროც.; მეორე—2.280 ტონა—118,1 პროც.; მესამე (ნავთსადგური)—3.430 ტონა—95,8 პროც., მეოთხე (ნავთსადგური)—2.820 ტონა—87,8 პროც., **ბინაგადი**—1110 ტონა—86,7 პროც.; პირველი სარეწაო—230 ტონა—76,9 პროც.; მეორე სარეწაო—575 ტონა—90,14 პროც.; მესამე სარეწაო—305 ტონა—88,4 პროც.; **პუტა**—240 ტონა—68,2 პროც.; **არტემის კუნძული**—720 ტონა—107,9 პროც.; **კარაჩუხური**—340 ტონა—69,7 პროც. და **შუბანი**—110 ტონა—67,1 პროც. (ადს).

შავი ზღვის ესკადრა ბათომში

(საკუთარი კორესპონდენტისა გან)

ბათომი, 28 ნოემბერი. ბათომის ნავთსადგურში გაჩერდა შავი ზღვის ესკადრა. ესკადრაში სხვა გემებთან ერთად შედიან კრეისერი „შაუმიანი“ და „ძერჟინსკი“.

ესკადრის ეკიპაჟის პატივსაცემად ბათომის წითელ არმიის სახლში შესდგა საზეიმო სხდომა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აჭარისტანის ცაკის და პროფსაბჭოს წარმომადგენლები. ესკადრის პოლიტიკურ განყოფილების უფროსმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ესკადრის ჩამოსვლის მიზნების შესახებ შემდეგი განაცხადა: ესკადრა ატარებს მორიგ ოპერაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამოსწავლო პროგრამით. ესკადრის პირადი შემადგენლობა სწავლობს სამხედრო საქმეს და ამავე დროს ამყარებს მჭიდრო კავშირს მოსახლეობასთან და წითელი არმიის ნაწილებთან. როგორც უფროსთა შემადგენლობა, ისე მეზღვაურები დიდი კმაყოფილი არიან იმ ყურადღებით, რომელიც გამოიჩინა ჩვენდამი აჭარისტანის რესპუბლიკის მთავრობამ და ბათომის გარნიზონმა.

ქრონიკა

საქ. საბჭოთა მწერლების დელეგაცია სომხეთში

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავის ღირსშესანიშნავ დღესასწაულზე დასასწრებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გაგზავნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ალ. მაშაშვილი, არ. ჭუმბაძე, სიმ. ჩიქოვანი, ნ. მიწიშვილი, მარკარ აეტისიანი, ტიციან ტაბიძე, ვ. ლუარსაბიძე.

სხვადასხვა

მოხსენება საფინანსო კოოპ. ინსტიტუტში

კვირას, 30 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, **საქ. საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტში** შესდგება ინსტიტუტის ყველა კათედრების ღია სხდომა სტუდენტობასთან ერთად.

დღის წესრიგშია ამხ. ალ. ურქმაიშვილის მოხსენება „კონდრატიევშჩინა ჩვენს სინამდვილეში“.

მოხსენების შემდეგ კამათი.

— **29 ნოემბრიდან** 1 დეკემბრამდე სას.-მეურნეობის მუშათა კავშირის შენობაში იწარმოებს კავშირის უმუშევარ წევრთა რეგისტრაცია ამომრჩეველთა სიების შესადგენად. უმუშევართა გამოცხადება სავალდებულოა.

— **საბჭოთა სამართლის და აღმშენებლობის** ინსტიტუტის რვასემესტრ მოსმენილი სტუდენტები ვალდებული არიან ჩააბარონ გამოცდები დარჩენილ საგნებში 1931 წლის 1 თებერვლამდე, რის შემდეგ გამოცდების მიღება შეწყდება.

— **დღეს, 29 ნოემბერს**, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში განსახკომთან არსებული ნორჩ პიონერთა კოლექტივის სასარგებლოდ ეწყობა საღამო-კონცერტი — ოპერისა და დრამის მსახიობების და მწერლების მონაწილეობით.

შაბათს, 29 ნოემბერს საღ. 7 საათზე სახ. კინმრეწვის ბინაზე საქ. რევოლ. კინემატ. მუშაკთა საზ-ბა აწყობს ახალი სურათის „ამერიკანკა“-ს საზოგადოებრივ განხილვას. რეჟ. ლ. ესაკია. განხილვაზე შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ფიზკულტურა და სპორტი

„დინამო“—„შემკეთებელი ქარხანა“

დღეს, საღამოს 4 საათზე, „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება „დინამო“-სა და სტალინის სახ. ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის გუნდს შორის.

პირველობის გათამაშება კრივში

დღეს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში იწყება ქ. თბილისის პირველობის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ: ვართანოვი, პოლიაკოვი, შიშინაძე, ფურცელაძე, ლუდუშაური, ენგიბაროვი, ჯანაშია, ავეტისოვი, ოგანოვი და სხ.

შემოსავლის ნაწილი გადაიდება დირიჟაბლ „პრავდა“-ს ფონდის გასაძლიერებლად.

თადარიგის შეთაურთა საყურადღებოდ

თადარიგის უფროსმადგენლობის ქვემოდ-ჩამოთვლილ პირებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ 29 ნოემბერს დილის 9 საათზე თბილისის სამხედრო კომისარიატში (ჯორჯიაშვილის ქ. № 10) სამხედრო-სააღრიცხვო ბილეთებით. ვინც არ გამოცხადდება პასუხისგებაში იქნება მიცემული.

ნ. ვ. ჩიქოვანი, გ. მ. ჩტრიან-ტერგრიგორიანი, თ. ი. ჩატალბაშევი, ვ. ნ. ჩერკასოვი, ხ. პ. შევჩენკო, ვ. კ. შნეიდერი, გ. ლ. შველუგა, ი. ნ. შაქარიშვილი, ა. გ. შერენცი, გ. ს. შიფიცინი, ნ. ს. შანშიაშვილი, ა. გ. შმიდტი, ს. პ. ჩხენკელი, ა. პ. ჩერნიაევი, ვ. გ. ჩისტიაკოვი, ლ. ა. ჩანკვეტაძე, ა. მ. ჩიბუხჩიანი, ე. ვ. ჭარხალაშვილი, გ. გ. ჩაჩიძე, ა. გ. ჭუჭუა, ს. დ. ჩიგოგიძე, ი. დ. ჩაჩიბაია, კ. ა. ჭყონია, ე. რ. ჩოლოყავა, ნ. შ. შავიშვილი, შ. ი. შავბუდაძე, ს. ფ. შეველევი, ა. ა. შახიანი, ა. პ. შენგელაია, ვ. ე. შენგელია, ს. ა. შენგელია, ი. პ. ელიაშვილი, ა. ე. ემიხი, ი. ი. ელისაბედაშვილი, ნ. ა. ელიოზოვი, ვ. გ. ერისთავი, რ. ზ. აკოპოვი, ნ. მ. იაკუბოვიჩი, გ. ს. იარალოვი, გ. ს. იაშვილი, ჰ. მ. ცირეკიძე, ი. მ. იუზბაშევი, ე. ს. წერეთელი, მ. ა. ოგანესიანი, ა. პ. ცუპპა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ სოფლად მდებარე საწარმოებისათვის, ქალაქებთან შეერთებულ სოფლებისათვის და აჭარისტანის ავტონ. სსრ-ის სოფლებისათვის

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. ნოემბრის 9-ს თარიღით დამტკიცებული „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის ინსტრუქციის დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ საწარმოებში მომუშავე პირები (საწარმოს მუშები და მოსამსახურეები), რომელნიც იმყოფებიან სოფლებში ან იმ ქალაქებში, სადაც სასოფლო საბჭო დაარსებულია, აირჩევენ დეპუტატებს სასოფლო საბჭოსათვის იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე.
2. დეპუტატები საქალაქო საბჭოსათვის იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შეერთებული (ტფილისთან, ქუთაისთან და ფოთთან შეერთებული სოფლები), აირჩევენ იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 100 მცხოვრებზე.
3. აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სოფლებში დეპუტატები სასოფლო საბჭოსათვის აირჩევიან იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 50 მცხოვრებზე, ხოლო დელეგატები სარაიონო საბჭოთა ყრილობისათვის აირჩევიან იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 250 მცხოვრებზე.

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
ს. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 24
ტფილისი — სასახლე.

შემთხვევები

— **თავის დაჭრა.** მაქსიმ გორკის ქუჩაზე ალექსანდრე ტარასოვმა რევოლვერით დაიჭრა თავი. დაჭრილი მოათავსეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. თავის დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია.

— **დაპატიმრება.** მილიციამ ქურდობისთვის შეიპყრო პლატონ დრაგუნოვი.

— **ქურდობა.** გაქურდეს ალექსანდრე ანთაძის ბინა (ყაზბეგის ქ. № 3), საიდანაც მოიპარეს 1200 მან. ნივთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 3 ნახევარ საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში (რუსთაველის პროსპ. 23, ოთახი № 56) შესდგება უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების და პარტკოლექტივების მდივნების და კულტპროპგანყოფილებათა გამგეების თათბირი, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, სუბტროპიკული, პედაგოგიური, ფინანსიურ-კოოპერატიული, საბჭოთა სამართლის და მშენებლობის და საექიმო ინსტიტუტების, მუშათა უნივერსიტეტის, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსების, ფინანსიური კურსების, პედაგოგიური მუშაკის, სასოფლო-სამეურნეო მუშაკის, საექიმო მუშაკის, საფინანსო კოოპერატიული მუშაკის პარტგანათლების ქსელის გაშლის შესახებ.

სავალდებულოა აღნიშნულ უჯრედების მდივნების და კულტპროპგანყოფილებათა გამგეების დასწრება.

—:—

დღეს, 29 ნოემბერს, დღის 12 საათზე საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპის ბეჭდვითი სიტყვის სექტორში მოწვეულია სახელგამის მუშაობის გამომკვლევი კომისიის სხდომა, რომელსაც დაუგვიანებლივ უნ და დაესწრონ ამხ. მურადოვა (საქ. მუშგლეხნი), და ტოროშაძე („კომუნისტი“-ს გამომცემლობა).

—

დღეს, საღამოს 6 საათზე, ყოფ. სახ. უნტის კლუბში მოწვეულია საფ.-კოოპ. ინსტიტუტის პარტუჯრედის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგშია ამხ. იმედაძის მოხსენება.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგიტმასგანყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. დავით კომახიძეს, სოკრატ ჩანკვეტაძეს, მარგალიტაძეს და თოფურიას (ა.-კ. მელიორატიული ინსტ.) გამოცხადდნენ აგიტმასგანყოფილებაში ამხ. ხოშტარიასთან დღეს, 29 ნოემბერს, დღის სრულ 12 საათზე.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში 29 ნოემბერს, დღის 12 საათზე შესდგება თათბირი. ამხ. დევდარიანის, შარიას (განსახკომი), ვაშაყმაძის (პედ. ინსტიტუტი), გაბრიჩიძის (სააღმშ. ინსტ.), თუმანოვის (საბჭოთა სამართლის ინსტ.), ჩახვაძის და მელაძის (ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტ.) გეგენავას (ა.-კ. კომ. უნ-ტი), ინედაძის (პროფსაბჭო), ერქომაიშვილის (საფინანსო-კოოპ. ინსტ.) დასწრება სავალდებულოა.,

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში 30 ნოემბერს მოწვეულია თათბირი უმაღლეს და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების დარაიონების საკითხზე. აუცილებელია შემდეგი ინსტიტუტების დირექტორების და ბიურო-კოლექტივების მდივნების დასწრება: პედაგოგიურის, ფინანს. კოოპერატიულის, საბჭოთა სამართლის და აღმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო, სუბტროპიკულის, სატყეოს, სამთო-მეტალურგიული და საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, განსახკომის, პროფსაბჭოს კადრების განყოფილების გამგეები და ამხ. შარია (განსახკომი).

—:—

დღეს, 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშა-ახალგაზრდობის თეატრის შენობაში (ყოფ. კინო „სოლეი“), შესდგება **საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის აქტივის კრება** მოხსენებით საქ. კ. პ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის და საოლქო საკონტრ. კომისიის და საქ. კ. პ. (ბ) ც.-ის და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის და საქ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტ. მე-16 გაფართოებული პლენუმის შედეგების შესახებ, საქ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქ. ა. ლ. კ. კ. ც.-კ-ის და თბილისის ორგანიზაციის რაიკომების წევრები შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენები ბილეთებს მიიღებენ სათანადო რაიკომებში.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კიკნაძეს („ბუგელის“) და „წითელი დეპოელი“-ს და „თბილისის მეთამბაქოე“-ს რედაქტორებს გამოცხადდნენ ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში (ოთახი № 12).

ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომლებიც ც. კ-ის განკარგულებაში არიან უნდა გამოცხადდნენ დღეს, 29 ნოემბერს, დღის პირველ საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგიტმასგანყოფილებაში ამხ. ხოშტარიასთან: ივ. ელიაშვილი, დარახველიძე, ემსანიძე, ჩილტურიძე, ელიზბარ კალანდაძე, შალვა გოგოლაძე, ანა კარგარეთელი, პეტრე ქერქაძე და მაჭავარიანი.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) 26 კომ. სახ. რაიკომი იუწყება, რომ 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1) მოწვეულია უჯრედების მდივნების თათბირი უჯრედებში პარტმუშაობის გარდაქმნის საკითხებზე. უჯრედების მდივნების დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

სახელმწ. ოპერა

შაბათს, 29 ნოემბ. | კვირას, 30 ნოემბერს | ორშაბათს, 1 დეკემბ.

ოპ 3 აროხ. მე-4 წარმ. ჯამბაზები კონცერტი

დილით დაისი ფასები 30 კ. 2 მან. დე დასაწყ. 12 ს. 30 წ.

საღამოთი მე-11 აბ. მე-2 წარმ. ტოსკა

მე-13 აბ. ხე-2 წარმ. გაზლევაა

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათ. და 30 წუთ. მე-3, 4, 7, 8, 10, 12 და მე-16 აბონ. შესატანი მიიღება სალარო № 2 (ქანდარა), დაარჩენი აბონ. კი—სალარო № 3-ში დილის 11-დან 2 საათამდე. საღამოთი 6-დან 8 საათამდე. ბ. 1957

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
ალან ხელ, ფილის ხევერ სურათში
მფრინავი კუს კაპიტანი

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.
კირა ანდრონიკაშვილი, ა. იმედაშვილი, ქ. ყარალაშვილი იხატერულ სურათში
ელისო

სპარტაკი საღამოს სეანსები
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
ახალი ამერიკული ფილმი
ზედამხედველის მათრახი
პროგრ გარეშე, „ძირს აკვანი“ მუჯირის ნამუშევარი.

საზამთრო დარბაზი
I სეან. იწყება 6-30, II—8-30, III—10-30.
მე-2 კვირა
წითელი ეშმაკუნები
დიდი წარმატება.

კინო პალასი
1-ლი სეანსის დასაწ. 6—30
ახალი მხატვრული ფილმი
მკვდარი სული
მთავარ როლებში ანა ზარჟიცკაია, ა. კოსტრიჩკინი, ბ. გარდინი.

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მინიონი)
1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.
ახალი საზღვარგარეთული ფილმი
უკანასკნელი გაფრენა
სტასი ნაპერკოვსკაიას მონაწილეობით.

თბილისის სახ. ცირკი

დღეს და ყოველდღე მოსკოვის პირველი სახ. ცირკის გასტროლები
გრანდიოზული პროგრამა
საბჭოთა კავშირის და უცხოეთის საუკეთესო მსახიობები და ატრაქციონები. დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება, როგორც მიმდინარე წარმოდგენაზე, ისე წინასწარ. სალარო ღიაა ყოველდღე 11 ნახ. ს. 2 საათამდე და 5-დან 9 საათამდე. კოლექტიური განცხადებები მიიღება სახ. ცირკის კანტორაში.
კვირას, 30 ნოემბ., სრული პროგრამით დღის დიდი წარმოდგენა ბავშვები უფროსებთან ერთად ზედიან უფასოდ დასაწ. დღის 2 ს.

საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტ. დირექტორატი

ამით აცხადებს ინსტიტუტის ყოფილი მესამე, მეოთხე კურსების სტუდენტების და ასპირანტების საყურადღებოდ, რომ ისინი

ვალდებული არიან ნოემბრის 29-ს დილის 9—4 საათამდე გამოცხადდენ ინსტიტუტის კანცელარიაში რეგისტრაციისათვის გამგის ასაკრეფ კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

ის სტუდენტები, რომელნიც არ გამოცხადდებიან, ყოველ მიზეზის გარეშე გამორიცხული იქნებიან ინსტიტუტიდან.

ბ 1950 2—2 დირექტორატი.

საფინანსის სააუქციონო კამერა

ამით აცხადებს, რომ კვირას 30 ნოემბერს დღის 11 საათიდან ხაზინის ქ. № 3-ში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საფინანსისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ გაიყიდება როიალი, შიფონერკა. ბუფეტის შკაფი, კამოდები და სხვა და სხვა საოჯახო ნივთები.

ბ. 1952

ექიმი
ქ. თ. ტუეშელაშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება
კანის და ვენერიული სნეულებანი.
ბელგიის ქ. № 1 (ყოფილ მიხეილოვის საავადმყოფოსთან)
დილით 8—9 საათ. საღამოს 6—8
25—3 66511

ექიმი
დავით ერმალოზის-ძე კაპიტაშვილი
დაბრუნდა და განაახლა შინაგანი ავადმყოფობის მიღება. სპეც. კუჭ ნაწლავების და ნივთიერებათა გაცვლა გამოცვლის სნეულებანი (პოდაგრა, სიმსუქნე და სხვა).
კრილოვის ქ. № 8, საღ. 5—7 ს.
25—1 5956

ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად ექიმობს სიფილისის და სქესობრივი ფუნქციონალურ მოშლილობას სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპია. მიღ. დილით 10½—12 საათ., საღ. 6—8 საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22.
25—1 6008

ექიმი
ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

კ. ს. ფოხ-ირტელი
სპეც. საშარდე და სასქესო ორგანოების (სქესობრივი სისუსტე, ნერვების სისუსტე), სიფილისის, კანის ავათმყოფობის, ვენერიულის (რიპტერი) და ქირურგ. ავათმყ. (სიმსივნე, ბუასილი). ავათმყოფების მიღება დილის 9—12 და საღ. 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად.
13—8

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჰონქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირადღეების ა. ტელ. 28—68
25—12 5116

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 8 9 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელ. 1 - 90. 25—10

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ელსმენი № 5—90. 243

სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
პლეხანოვის პრ. № 126), დაიწყო ავადმყოფების უფასოდ მიღება (პირის ღრუს, კბების და კბილების მკურნალობა). ხელოვნური კბილების ჩასმა კი იწარმოებს თვითღირებულების ფასებში. ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის საათებში.
2э—2 6653

ექიმი
ს. ანდრეევისა
განაახლა ავადმყოფების მიღება ჯირკვლების და ძვლების ტუბერკულოსი. მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით (კვარტ-ტერაპია).
ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29 ყოფ. ვერის ხიდთან. 2—51

30 ნოემბერს საღამოს სრულ 8 საათზე,
საკავშირო სუბტროპიკულ ინსტიტუტის პროფკომის ოთახში შესდგება
ინსტიტუტის სტუდკორთა და პროფაქტივის საერთო კრება
შემდეგი დღის წესრიგით:
1. სტუდკორთა ამოცანები რეკონსტრუქციის ხანაში.
2. სარედაქციო კოლეგიის არჩევნები.
დასწრება სავალდებულოა.

საქ. ს. ს. რ. საინჟინერო-სააღმშენებლო ინსტიტუტი

ამით აცხადებს, რომ საარქიტექტურო ფაკულტეტის არქიტექტურულ-მგეგმავი სპეციალობის ყველა სტუდენტები, რომლებიც გადმორიცხულ არიან საქართველოს ყოფ. „უ ს ტ ე ხ ი ნ ი“-დან, უნდა გატარდენ აღრიცხვაზე ა-წ. 1 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე სათანადო დამამტკიცებელი საბუთებით შევსებული ანკეტების წარმოდგენით.

ანკეტების ფორმები გამოკიდულია ინსტიტუტის საარქიტექტურო ფაკულტეტის საგანცხადებო დაფაზე.

აღრიცხვა და ანკეტების მიღება იწარმოებს საარქიტექტურო ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან მისაღებ დღეებსა და საათებში.

აღრიცხვაზე გაუტარებელი სტუდენტები მექანიკურად გამორიცხული იქნებიან ინსტიტუტიდან.

7727 დირექცია.

ექიმი ქალი
ნინო მირიანაშვილი
განაახლა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი: ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6 -8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14 - 23
25—3

„სოფლის კავშირი“-ს ადგილკომს
დაეკარგა
მუშკოოპში შეტანილ გოსტნეულობის ავანსის 65 მან. ქვითარი მიმდინარე წლის 5 ნოემბრიდან № 1302, ჩ. გ.
7702

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— ფართლით ვაჭრობის მოწმობა, გაცემული ზესტაფონის ფინინსპექტორის მიერ, და პირადობის მოწმობა გაცემული საჩხერის რაიაღმასკომის მიერ—ხაიმ დავითის ძე ბინიამშვილის სახ. 7713
— პირადობის მოწმობა—ბესარიონ ექვთიმეს ძე ლაჭბაშიძის სახ. 7716
— სპეციალისტთა აღრიცხვის წიგნაკი—ბესარიონ ექვთიმეს ძე ლამბაშიძის სახელზე 7715
— შეშის ორდერი № 799—მე-16 სერია ბათლომე გუდუშაურის სახელზე. 7713
— საავგარიშო წიგნაკი—ეკატერინე ბესელიას სახ. 7711
— პურის წიგნაკი—კონდრატე ჩახვაძის სახ. 7709
— საპენსიო წიგნაკი № 6767—მარკალიტა კაციტაძის სახ. 7708
— ქალთა კონსულტაციის წიგნაკი № 4730 - ბაბილინა ჯიშკარიანის სახელზე. 7707
— მუშკოოპის წიგნაკი № 141557—გრიგოლ გვარამაძის სახ. 770
— რძის წიგნაკი № 38688—მარო ქურთიშვილის სახ. 7705
— მუშკოოპის წიგნაკი № 126064—ნინო ელბაქიძის სახ. 7704
— პასპორტი -ანელია დევეიკის სახ. 7701
— კავშირის წიგნაკი—ანელია დევეიკის სახელზე. 7700
— პირადობის მოწმობა—ანელია დევეიკის სახელზე. 7699
— პურის წიგნაკი - ელენე ქელიძის სახ. 7697
— სამხედრო ნუსხა № 380—ალექსანდრე ცერცვაძის სახ. 7696
— სამხედრო აღრიცხვის ბარათი -სიმონ ოქრუაშვილის სახ. 7695
— პურის წიგნაკი № 34085—ალექსანდრე ნახობაშვილის სახ. 7694
— პურის წიგნაკი—გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელზე. 7693
— პურის წიგნაკი № 70647—შალვა კაკულიას სახ. 7691
— პურის წიგნაკი № 875/9—შალვა ყუბანეიშვილის სახ. 7689
— პურის წიგნაკი—თეკლე პარკაძის სახ. 7688
— მუშკოოპის წიგნაკი № 110257—თედორე მორჩილაძის სახ. 7687
— მუშკოოპის წიგნაკი № 186059—ანიჩკა ბალდავაშვილის სახ. 7686
— მუშკოოპის წიგნაკი № 40700—ლევან მიქელაძის სახ. 7685
— პირადობის მოწმობა მორდეხ დავითის ძე ბააზოვის სახ. 7692
— კოოპერატივის წიგნაკი № 931—ნიკო მაქსიმეს ძე პატარაიას სახ.
— პირადობის მოწმობა და ხმის უფლების მოწმობა—ისაკო წიწვაშვილის სახ. 7692
— სამხედრო სააღრიცხო ფურცელი—მიხა კიკვიძის სახ. 7692
— მუშკოოპის წიგნაკი № 226 კონდრატე ჯაჯენაიას სახ. 7692
— კოოპერატივის წიგნაკი № 1477—ალექსანდრე მიხას ძე ხვიჩიას სახ.
— პასპორტი № 3—აგა აბას ოღლის სახელზე. 7692

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ბაგრატი და მარო, ცოლი ეკატერინა, სიდედრ სიმამრი: რაჩიელ და მიხეილ ნაკაშიძეები, ცოლის ძმა და დები: მიტო, სონია და ცუცო, ცოლის ბიძაშვილი მარო, დეიდაშვილი ელო იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე

მიხეილ (მიშა) ბაგრატის-ძე ტეხაშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან დღეს 5 საათზე მაგისტრალის ქ. № 87., დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 7723

ღრმად დამწუხრებული ნათლია ზაქარია ცოლით ლუბა და შვილით გრიშა ტეხაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ 26 ნოემბერს უდროოდ გარდაიცვალა სიცოცხლით აღსავსე, ნიჭიერი ახალგაზრდა

მიშა ტეხაშვილი

(ს)

საქ. თბილისის საფუძვ. კომ-უჯრედი და ადგილკომი აუწყებენ საზოგადოებას ამავე უჯრედის აქტიური წევრის სიცოცხლით სავსე

მიშა ტეხაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. ბინიდან—მაგისტრალის ქ. № 87. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 7714

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: ნაზარაშვილი, გ. პავლიაშვილი, კუდუხაშვილი, გ. კუპრაძე, ა. პატარძალაშვილი, რაშიშვილი, ეგნატაშვილი დასტირიან ამხანაგის და მეგობრის

მიშა ტეხაშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ საათზე. 7719

უახლოესი მეგობრები: ვ. ფანცულაია, ვლ. ვაჩაძე, ა. მაჩაბელი, ძ. აბაზაძე, მ. ჯღოევა, მ. თავდიშვილი, ს. მახარაძე, შ. ძიძუა და ს. მერებაშვილი დასტირიან საყვარელი მეგობრის და ამხანაგის

მიშა ბაგრატის-ძე ტეხაშვილის

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება დღეს 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 7718

უახლოესი მეზობლები: პელა და ანანო ელიაძეები, სესე და ლიზა თარსაგიძეველები, სოფიო და ნატაშა ოქრომჭედლობები დასტირიან მათთვის დაუვიწყარ ძმას, პატარა მსახიობს

მიხეილი (მიშა) ბაგრატის-ძე ტეხაშვილის

უდროოდ დაკარგვას. 7724

პლეხანოვის სახ. კლუბის კულტსაბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე კლუბის აქტიური წევრის

მიშა ტეხაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, 29 ნოემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე. 7720

დამწუხრებული მეუღლე მარო, შვილები: სერგო, სოსო (სოლომონი), ვარდო, პაშუ, სარა და ჯულიეტა; ძმები ვლადიმერ და ბესარიონ ცოლშვილით; რძლები: პატო და ნინა; სიძეები კოდრათი ლომაძე და მაკარი ქილიფთარი; დები: ქრისტინე, ელისაბედ და პელაგია თავიანთ ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე მასხულია

დაკრძალვა კვირას, 30 ნოემბერს, ს. აცანა, მამათი (ოზ. რაიონი). ბ. 1956

დათიკო მინდაძე და ალიოშა გუნცაძე მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოესი ამხანაგის სოსო მასხულიას მამის

ალექსანდრე მასხულიას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას, 30 ნოემბერს, სოფელ მამათში (გურია). 7710

უახლოესი მეგობრები: ვ. ბრეგაძე, შ. მანჯავაძე, ზ. ბაევა, თ. კოდერიძე, ა. ძანდენოვა, ქ. ნოდია, ლ. ხახუტაშვილი, ა. გუ ცაძე, ქრ. თხინვალელი, შ. სახაძე მწუხარებით იუწყებიან მათი საყვარელი ამხანაგის სოსო მასხულიას მამის

ალექსანდრე მასხულიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 30 ნოემბერს. სოფ. აცანა-მამათი (ოზ. რაიონი). ბ. 958

მწუხარებაში მყოფი: დედა ელისაბედ (ცირა), მამა ბესარიონ, და თამარა, ბებია ელისაბედ გეგენავები, ბაბუა მიხეილ, დეიდა შუშუ ქადუები, გამზრდელი ფაშუ ფანცულაია იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ უდროოდ დაკარგულ პატარა

რეზიკო (გოგა) გეგენავას

ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 30 ნოემბერს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 77 7

ზუგდიდის ინვალიდთა არტელი „დახმარება“-ს გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება არტელის წევრი

ამხ. ბაგრატ გახვას-ძე შენგელიას

გარდაცვალებას. დასაფლავება 30 ნოემბერს, კვირას, ქ. ზუგდიდში. ბ. 1954

ზუგდიდის ინვალიდთა არტელი „დახმარება“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ არტელის წევრ

ბაგრატ გახვას-ძე შენგელიას

გარდაცვალების გამო. დასაფ., 30 ნოემბერს, ქ. ზუგდიდში. ბ. 1954

სამტრედიის რკინის გზის საფაბრიკო საქარხნო შვიდ წლედის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეები მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის მეექვსე ჯგუფის მოწაფის

ნინო დავით გენძეხაძის ასულის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ქ. ქუთაისში, კვირას, 30 ნოემბერს. ბ. 1955

სამტრედიის რკინის გზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მეექვსე მეორე ჯგუფის მოწაფეები იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის

ნინო დავით გენძეხაძის ასულის

მოულოდნელად გარდაცვალებას. ბ. 1955

ეპრაფინა გუგუშვილი და ადრო შუბლაძე თავის შვილებით: გივი, ნათელა და ციალათი აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველის აღმზრდელი და მოძაგე დეიდა.

ბარბალე თედორეს ას. ჩოჩია

რომლის დასაფლავება მოხდება სოფ. თეკლათში, 29 ნოემბერს. 7690

ღრმათ დამწუხრებულნი დეიდაშვილები შოთა გოგუა, გრიშა და ოლია კობახიძეები, შურა და ქენია გოგუა აუწყებენ ყველას მათთვის დაუვიწყარ

შალვა ოქროპირის-ძე ვასაძეს

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუფსაში, 29 ნოემბერს. 7698

ქმარი ტროფიმე პანასიუკი, მშობლები ტატიანა და დომენტი, დები—ანიკო, ოლია და ვალენტინა, ძმები: იოსებ და აბესალომი, სიძეები: ისაკო დარჩია, დათიკო ლომთაძე მეუღლით ღრმესი მწუხარებით იუწყებიან. რომ მოულოდნელათ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი მოძაგე

მარიამ დომენტის ასული ლომაძე-პანასიუკისა

სამოქ. პანაშვიდი დღეს, 6 საათზე. გამოსვენება ბინიდან 4 საათზე, მალაკნის ქუჩა № 40. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 702

მწუხარებაში მყოფი შშობლები: ვასიკო კარსევაძე და ანასტასია მაქსიმეს ასული სამხარაძეები შვილებით: ვახტანგი, კოწია, ბიკენტი და ნინა აუწყებენ საზოგადოებას, რომ 27 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ქრისტინე სამხარაძე

დაკრძალვა სოფ. შროშაში კვირას, 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. (დეპ)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ბაბუცა, კობა ცოლშვილით, კოლია, შვილიშვილი ტუნა გუგუნავასი, ძმა ანდრო, დები: სოფიო ჩხეტიასი და ცაცუ ლეჟავასი აუწყებენ რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 27 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ბესარიონ ივანეს ძე ხოჭოლავა

დაკრძალვა ქ. ახალსენაკში კვირას, 30 ნოემბერს. (ს)

ტირაჟი—64.806 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904